Forbes Woman GEORGIA

მთავარი რედაქტორი
ანი ერისთავი

დიზაინერი
მარინა ბალავაძე

ლიტერატურული რედაქტორი
ირინა ბიაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
სოფო ობოლაშვილი, ბექა მაისურაძე,
სალომე ჭიპაშვილი

ფოტოგრაფები:
ხათუნა ხუციშვილი, ირაკლი ბლუიშვილი,
დიმიტრი ჩიკვაიძე, მიხეილ ბოჟაძე

ჟურნალ FORBES WOMAN GEORGIA-ს გამოსცემს
სააქციო საზოგადოება MEDIA PARTNERS

გამომცემელი:
მაია მირიჯანაშვილი

გაყიდვების მენეჯერი
ლელი მირიჯანაშვილი

რედაქციის მისამართი:
საქართველო, 0160, თბილისი, დ.გამრეკელის ქ. 19
ტელ: +995 32 223 77 07; www.forbes.ge

Copyright 2014 სააქციო საზოგადოება Media Partners, საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივ ან მთლიანად გამოყენება აკრძალულია. Copyright 2014 Forbes, as to marials published in the US Edition of Forbes. All rights reserved.
სამარკო ნიშანი Forbes წარმოადგენს Forbes Inc.-ის საკუთრებას. გამოყენების უფლებით სარგებლობს სააქციო საზოგადოება Media Partners შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულებით.
Forbes Georgia is published by the Media Partners JSC under a license agreement with Forbes Media LLC, 60 Fifth Avenue, New York, New York 10011. Forbes is a trademark used under the license from FORBES LLC.

ISO 9001:2008

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: 00 995 322 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

სარჩევი

აქსესუარები

6 | მზის სათვალის უახლესი ტრენდები: ყველაზე პოპულარული მოდელები

10 | როგორ მოხვდა საქართველო მსოფლიო მოდის რუკაზე ახალბედა დიზაინერების წყალობით

მოსაზრება

16 | ქეთი ბოჭორიშვილი ახალი ინდუსტრიული კონცეფცია

20 | ნინო მენთეშაშვილი სპორტი თუ ყოველდღიური ვარჯიში, როგორც ცხოვრების წესი?

ივნისი 2018

პროფილი

22| ეტლი, რომელსაც გამარჯვებამდე მიჰყავხარ

32| ახალი სტანდარტი

რეიტინგი

30| მსოფლიოს 100 ყველაზე გავლენიანი ქალი

კარიერა

44| გლობალური ქსელის თბილისელი შვილობილი

48| 8 მარტივი რამ, რასაც განსხვავებულად აკეთებენ ადამიანები, რომლებმაც მიმზიდველი პერსონალური ბრენდების შექმნა შეძლეს

54| წარმატებასთან დაკავშირებული 11 შემაფერხებელი წარმოდგენა

58| ამერიკის ახალი „სილამაზის ინდუსტრიის“ მილიარდერი, რომელმაც ქალების წარბებზე ორიენტირებული იმპერია შექმნა

60| ათი კრეატიული ანტრეპრენიორის რჩევა, თუ როგორ დავიცვათ ბალანსი კარიერასა და პირად ცხოვრებას შორის

სტარტაპი

64| Vinted შეაბიჯეთ მეორეული მოდური საქონლის მსოფლიოს უმსხვილეს ბაზარზე

66| როგორ აქცია 26 წლის დამფუძნებელმა თავისი ბლოგი Pink Peonies მილიონდოლარიან ბიზნესად

მოგზაურობა

70| 25 საუკეთესო სანაპირო ევროპაში

TIME OUT

80| რეჟისორი ქალების გადარჩენილი ახალი ქართული კინო

86| დაიკარგა თორმეტი ქალი ვინ რჩება ისტორიაში და ვინ – მის გარეთ?

84| სარა მუნი: „არასდროს არ ვცდილობ, ჩემი ფოტომოდელები ლამაზად წარმოვაჩინო – ისინი ისედაც ლამაზები არიან. ჩემი საქმე შუქ-ჩრდილზე მუშაობაა“.

GEORGE KEBURIA

KENDALL + KYLIE

MARQUES'ALMEIDA

მზის სათვალის უახლესი ტრენდები: ყველაზე პოპულარული მოდელები

გასული წელი უდავოდ წვრილი სათვალის წელი იყო და თითქოს ყველა რეტროს სტილში გადაწყვეტილ, რაც შეიძლება მცირე ზომის სათვალეს ატარებდა. სწორედ აქედან გამომდინარე გაგვიჩნდა კითხვა: განა შესაძლებელია, რომ ასეთი მცირე ზომის სათვალემ სათანადოდ დაიცვას თვალები მზისაგან? ეს მართლაც საკამათო საკითხია. და თუ თქვენ გგონიათ, რომ შეუძლებელია 2018 წელს ამაზე უცნაური ფორმის მზის სათვალე იყოს მოდაში, ძალიან ცდებით. სულ ცოტა მოთმინება იქონიეთ და ნახავთ, რას გვიმზადებს ეს წელი. პატარა მინიშნებას გავაკეთებთ: წვრილი ფორმა არამცთუ დარჩა მოდაში, არამედ ახალი სეზონისათვის კიდევ უფრო ახალ (უფრო წვრილ) ვერსიად გარდაიქმნა.

მოემზადეთ იმისათვის, რომ ყველა, ვისაც თქვენ Instagram-ზე თვალს ადევნებთ, სწორედ ასეთი ფორმის, სტილისა და ფერის სათვალეში ნახოთ. ალბათ ფიქრობთ, რომ ჩვენ საერთოდ გავგიჟდით, როდესაც ვაცხადებთ, რომ ნეონის ფერებსა და სპორტულ სტილში გადაწყვეტილი სათვალე იქნება წელს ყველაზე ტრენდული, მაგრამ ცოტაც და თავად დარწმუნდებით ჩვენი სიტყვების სიმართლეში. ჩვენ მზად ვართ, ფსონს ჩამოვიდეთ, რომ წელს ჩვენ მიერ ჩამოთვლილი მზის სათვალის ოთხი ტრენდი გახდება ყველაზე აქტუალური. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დროა, ახლავე დაიწყოთ საუკეთესო სათვალის ძებნა, ვიდრე სხვები დაგასწრებენ.

ILLESTEVA MARIANNE

ულტრაწვრილი

ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ შეუძლებელია, სათვალე ამაზე წვრილი იყოს, მაგრამ ნურას უკაცრავად, ამ გაზაფხულის ტრენდია: რაც უფრო წვრილია ჩარჩო, მით უკეთესი.

Illesteva Marianne-ის მზის სათვალე ($190)

ეს წითელი სათვალე განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყურება შავ ტანისამოსთან კომბინაციაში.

George Keburia-ს შავი სათვალე ($200)

თქვენ ვერსად ნახავთ ამაზე პატარა ზომის „წვრილ“ მზის სათვალეს.

მზის სათვალე Roberi and Fraud Frances ($250)

მზის სათვალე, რომელიც ალბათ უკვე შეამჩნიეთ კენდალ ჯენერსა და მის მეგობრებზე.

ANDY WOLF

ფუტურისტული

ბაზარზე გამოჩნდა სპორტული სტილით შთაგონებული ყველაზე „უსახური“ ფერის ფუტურისტული სათვალე, რომელიც იმდენად არაელეგანტურია, რომ ელეგანტურია. იმედია, ხვდებით, რას ვგულისხმობთ.

Andy Wolf-ის მზის სათვალე Ojala ($350)

წარმოიდგინეთ, რომ ეს არის სპორტული სათვალის გაუმჯობესებული ვერსია.

Zara-ს ფუტურისტული რეტრო სათვალე ($26)

შექმენით საკუთარი რეტრო სტილი გაცილებით ნაკლებ ფასად.

Kendall + Kylie-ის ბრენდის სათვალე Slater ($68)

თუკი თქვენ მზად ხართ, ფუტურისტული სათვალის თამაშში ჩაერთოთ, ეს მოდელი თქვენი აუცილებელი ატრიბუტი უნდა გახდეს.

LE SPECS X ADAM SELMAN

ნახევრად გამჭვირვალე ფერები

ამ გაზაფხულმა ბევრი ახალი, კანფეტის მხიარული ფერები მოიტანა: გულყვითელა, ჟოლოსფერი ფუქსია, ლაიმისფერი მწვანე და ა.შ. შეუძლებელია, ამ ნათელი და ხალასი ფერების შემხედვარეს, ბედნიერების შეგრძნება არ გაგიჩნდეს.

Marques'Almeida-ს აცეტატის მზის სათვალე წახნაგოვანი ჩარჩოთი ($230)

სიამოვნებით შევუხამებდით ამ სათვალეს ჯინსის ზედასა და ქვედას კლასიკურ კომბინაციას.

Le Specs x Adam Selman-ის მზის სათვალე The Last Lolita ($155)

ფორმა, რომელსაც ყველა მოდის მიმდევარი ეტრფის, ამ გაზაფხულს კიდევ უფრო დახვეწილი იერსახით მოგვევლინა.

Mango-ს მზის სათვალე აცეტატის ჩარჩოთი ($30)

ვერასოდეს წარმოვიდგენდით, რომ ამ ფერის სათვალე ოდესმე მოგვეწონებოდა, სანამ საკუთარი თვალით არ ვიხილეთ ეს მოდელი.

SAINT LAURENT

GIANT VINTAGE

წახნაგოვანი ჩარჩო

შეანაცვლეთ თქვენი კლასიკური კატის თვალების ფორმის სათვალე კიდევ უფრო ორიგინალური მოდელით და არჩევანი უფრო მკვეთრკუთხიან რეტრო სტილზე შეაჩერეთ.

Saint Laurent-ის მზის სათვალე „კატის თვალები" SL 207 53MM Jerry ($450)

ნახეთ, როგორ იხდენს ამ მოდელს ინსტაგრამის დედოფალი Aimee Song-ი.

Giant Vintage-ის მზის სათვალე Kadillac ($20)

სულ რამდენიმეჯერ რომ მოგიწოთ ამ სათვალის ტარება, მაინც ღირს მისი შეძენა.

Retro Superfuture-ის მზის სათვალე ოთხკუთხედი ჩარჩოთი Tutto-lente ($205)
შექმენით ზედმიწევნით ელეგანტური (და, შესაძლოა, მიუწვდომელი) იმიჯი ამ მკვეთრი, წახნაგოვანი მზის სათვალით.

RETRO SUPERFUTURE

გამჭვირვალე ჩარჩო

ამ გაზაფხულს განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს გამჭვირვალე დეტალები ფეხსაცმელსა და ჩანთებში და, რაღა თქმა უნდა, მზის სათვალეც არ ჩამორჩებოდა ამ ახალ ტრენდს. შეაჩერეთ თქვენი არჩევანი გამჭვირვალე ჩარჩოზე, რომელიც თითქმის ნებისმიერ ჩაცმულობას შვენის.

CUTLER AND GROSS

KAREN WALKER

OLIVER PEOPLES DORE

Karen Walker-ის მზის სათვალე One Star ($270)
მიუხედავად წვრილი სათვალის ასეთი პოპულარობისა, მსხვილგაბარიტიანი სათვალე ყოველთვის შეინარჩუნებს აქტუალობას.

Cutler and Gross-ის 51მმ მრგვალი ფორმის გამჭვირვალე მზის სათვალე ($500)
შეაჩერეთ თქვენი არჩევანი კლასიკურ მრგვალ ფორმაზე.

Oliver Peoples Dore-ს 46მმ მზის სათვალე Cat Eye ($380)
მწვანე ელფერის მქონე ლინზები ამ სათვალეს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის.

რადგან უკვე ფლობთ ყველა საჭირო ინფორმაციას, შეგიძლიათ თამამად შეუდგეთ თქვენი სასურველი ტრენდული სათვალის ძიებას. FW

SITUATIONIST

როგორ მოხვდა საქართველო მსოფლიო მოდის რუკაზე ახალბედა დიზაინერების წყალობით

ავტორი: ბარი სამაჰა

მოდის საზღვრები სულ უფრო და უფრო ფართოვდება. პირველ რიგში, მოდა უფრო თვალსაჩინო და ხელმისაწვდომი გახდა, რაც ინტერნეტისა და სოციალური მედიაპლატფორმების დამსახურებაა. სწორედ ინტერნეტმა და სოციალურმა მედიამ მისცა ახალბედა დიზაინერებსა და მათ ბრენდებს წარმოჩენის საშუალება, რადგანაც სხვაგვარად ისინი ვერ შეძლებდნენ მოდის ჩვენებების გამართვას და პოტენციურ რიტეილერებთან ან მოდური პრესის წარმომადგენლებთან დაკავშირებას. პირველსავე ცდაზე წარმატების მიღწევისათვის აუცილებელია მოდის დედაქალაქებში – პარიზში, მილანში, ნიუ-იორკში ან ლონდონში – შეღწევა, იქ საკუთარი პოზიციის გამაგრება და ფურორის მოხდენა. ის დრო წარსულს ჩაჰბარდა. **Instagram**-ისა და **Twitter**-ის გარდა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით უამრავი ახალი მოდის კვირეული იმართება, რითაც მეტი ყურადღება ეთმობა სწორედ იმ ადგილობრივ დიზაინერებს, რომლებიც მოდის ინდუსტრიის დადგენილ საზღვრებს მიღმა მოღვაწეობენ.

როგორც ეს გასულმა კვირამ ცხადყო, საქართველოს დე-

ლაკრე ბუკია

დაქალაქი თბილისი (ყველა შესაძლო ადგილებს შორის) კრეატიულობის კულტურულ ეპიცენტრად იქცა და წამყვანი მოდური გამომცემლობების, სოციალური მედიის ნიუსფიდების, ქუჩის მოდის ფოტოგრაფების, მაღაზიებისა და მსოფლიო მოდის ინდუსტრიის ყველა წარმომადგენლის ყურადღების ცენტრში მოხვედრა მოახერხა. გაინტერესებთ, რამ განაპირობა ასეთი ინტერესი მტკვრის სანაპიროზე გაშენებული ამ ბორცვიანი ქალაქის მიმართ? ეს გახლავთ **Mercedes-Benz**-ის მოდის კვირეული: ერთკვირიანი ღონისძიება, რომელზეც წარმოდგენილი იყო უამრავი ნიჭიერი და იმედისმომცემი დიზაინერი საქართველოს ყველა კუთხიდან. ღონისძიების კორპორაციული სპონსორი, გერმანული ავტომწარმოებელი კომპანია **Mercedes-Benz**-ი, რომელიც ანალოგიურ ღონისძიებებს სხვა ნაკლებად ცნობილ ადგილებშიც ატარებს, განსაკუთრებით მოწადინებული იყო დაემტკიცებინა, რომ ავანგარდული, პროგრესული მოდა მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას შეიძლება იქმნებოდეს.

„ყველაფერი 23 წლის წინ, ავსტრალიაში დაიწყო. სწორედ იქ ჩატარდა პირველი მოდის კვირეული, – განმარტავს **Mercedes-Benz**-ის პროდუქციის განთავსებისა და მოდის სპონსორობის განყოფილების უფროსი, კეროლინ პილცი. – 2007 წლიდან კი წამოვიწყეთ პროცესი, რომლითაც ხელს ვუწყობთ მოდის გლობალურ სპონსორულ პლატფორმად ჩამოყალიბებას“.

„ჩვენ წარმოვადგენთ უზარმაზარ ბრენდს და ყველას მეტი ჩართულობისკენ მოვუწოდებთ, – დასძინა კომპანიის გლობალური კომუნიკაციების გუნდის ოფიცერმა, მონა მოლმა. – ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია, დავეხმაროთ ახალბედა ნიჭიერ დიზაინერებს ისე, რომ მათ არ მოუწიოთ ნიუ-იორკში გამგზავრება. მსოფლიო მასშტაბით ჩვენ 50 პლატფორმა გვაქვს, სადაც დამწყები მოდელიერები დიზაინერთა საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მიიღებენ მონაწილეობას. ჩვენ ვეხმარებით დიზაინერებს, რომლებიც თავიანთ ადგილობრივ ბაზარზე წარმატებით მოღვაწეობენ და დახმარება სჭირდებათ საერთაშორისო ბაზარზე გასვლის კუთხით“.

საერთაშორისო აღიარების მიღწევა გამოწვევებით სავსე რთული გზაა, რომლის გავლაც ბევრ დამწყებ დიზაინერს უწევს, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნიდან, როგორიც საქართველოა, მაგრამ საქართველოს მოდის სამყაროში ცნობადობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც 2014 წელს დემნა გვასალიამ ბრენდი **Vetements**-ი დააარსა. საქართველოში დაბადებულმა დიზაინერმა თავისი პირველივე რამდენიმე კოლექციით მოდის კრიტიკოსთა დიდი მოწონება დაიმსახურა, მისი დიზაინით შექმნილი ტანისამოსი კი მსოფლიოს საუკეთესო ბუტიკებში გამოჩნდა. დემნა გვასალიამ ქუჩის, პოსტმოდერნისტული ელემენტი შეიტანა მოდაში, მისი პიჯაკები და პალტოები დიდი პროპორციებით გამოირჩევა, ქვედაბოლოებსა და სახელოებს ასიმეტრიული დაბოლოებები აქვს. გვასალია ოსტატურად

აკა ნანეიშ

ახერხებს ოფიციალური და სპორტული სტილის შერწყმას, წარმოიდგინეთ: ბუმბულის ქურთუკი ოფიციალურ კოსტიუმზე (დემნა გვასალია ასევე ძალიან, ძალიან ძვირად ღირებულ კაპიუშონიან ზედებს კერავს). მისმა ინოვაციურმა ხედვამ მალევე მიიპყრო მოდის ყველაზე გავლენიანი კონგლომერატის, **Kering**-ის ხელმძღვანელობის ყურადღება დაიმსახურა და 2015 წელს დემნა გვასალია **Balenciaga**-ს შემოქმედებით დირექტორად დაინიშნა. მას შემდეგ ქართული მოდა მსოფლიოს დიზაინერების ყურადღების ცენტრში მოექცა.

თბილისის **Mercede-Benz**-ის მოდის კვირეულის შემოქმედებითმა დირექტორმა, სოფო ჭყონიამ, ისარგებლა ამ ხელსაყრელი მომენტით და თითქმის მარტომ წამოიწყო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიო მასშტაბით სხვა ნიჭიერი ქართველი დიზაინერების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. სოფო ჭყონიას სურს, მსოფლიო მოდის საზოგადოებას დაანახოს, რომ გვასალია არ არის ერთადერთი დიზაინერი, რომელიც ქართულ მოდასთან ასოცირდება და რომ კიდევ ბევრი ნიჭიერი დიზაინერი არსებობს, რომელთაც ასევე საინტერესო ხედვა და ასეთივე ბექგრაუნდი აქვთ.

მართლაც, ამ დიზაინერთა უმეტესობა 80-იანი წლების თაობის წარმომადგენელია. სწორედ იმ პერიოდის, როდესაც საქართველომ საბჭოთა კავშირისაგან გამოყოფა დაიწყო. ოთხკუთხედი მხრები, მასიური სამკაულები, ჩაჩაჩული სტილის ჩექმა და იმ ეპოქის დროინდელი სხვა ნიუანსები, რომლებიც გვასალიას მიერ **Vetements**-ისა და **Balenciaga**-სთვის შექმნილ კოლექციებში სჭარბობს, ასევე უხვად იგრძნობოდა მისი თანამემამულე დიზაინერების კოლექციაში. განსაკუთრებით გამოირჩეოდა შვიდი დიზაინერი, რომლებმაც ნათლად დაგვანახეს, რომ **Mercedes-Benz**-ის მოდის კვირეული თბილისში ის ძალა გახლავთ, რომელიც ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს.

SITUATIONIST

ბრენდ **Situationist**-ის დიზაინერი ირაკლი რუსაძე ძალიან ახალგაზრდაა იმისათვის, რომ საბჭოთა ეპოქაში ეცხოვრა (იგი მხოლოდ 27 წლის გახლავთ). მაგრამ იმ ეპოქის ნარჩენებმა უდავოდ მოახდინა გავლენა მისი დიზაინით შექმნილ კოლექციაზე. „ჩვენ არ ვართ ბრენდი, რომელიც მხოლოდ ტანისამოსს წარმოადგენს, – განაცხადა რუსაძემ. – მე ვფიქრობ, რომ მოდა პროტესტის გამოხატვის საშუალებაა. საქართველოს ძალიან მდიდარი კულტურა აქვს და ჩემი კოლექციით იმის დემონსტრირება მინდოდა, რომ სულაც არ არის აუცილებელი, ჩვენ საბჭოთა კავშირთან გაგვაიგივონ“.

რუსაძემ ეს გზავნილი თავის რამდენიმე დიზაინში კარგად გამოხატა გრძელი, რუხი ფერის შალის პიჯაკებითა და ყავისფერი ტყავის თრენჩით (წაიკითხეთ ქართული ეროვნული სამოსის მახასიათებლები). მიუხედავად იმისა, რომ 80-იანი წლების სურათებით შთაგონებულმა დიზაინერმა აქცენ-

სელია ვალვერდე

ტი შავი ფერის ტანისამოსზე გააკეთა, მისი ვარსკვლავური კოლექცია ქართული ტრადიციული სტილის ელეგანტურ და დახვეწილ გაგრძელებას წარმოადგენდა.

ლაკო ბუკია

ლაკო ბუკიას კარგად იცნობენ საერთაშორისო მოდის სცენაზე. მან საკუთარი კოლექცია ლონდონის მოდის კვირეულზე და ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყნის პოდიუმებზე წარადგინა. მის მიერ საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილება აშკარად შეეტყო თბილისის მოდის კვირეულზე გამოტანილ კოლექციას, რომელიც ოსტატურად გამოჭრილი ფორმებით, პროპორციებით და ასევე ორიგინალური პრინტებით, ფერებითა და ქსოვილებით გამოირჩეოდა. ხალასი ფერის ღილებიან, კოჭამდე კაბებს მხრებზე და ფეხებთან მურიანო ფორტუნის სტილში გადაწყვეტილი კანტები ამშვენებდა. გრძელი დალიანდაგებული სვიტერები, ბოლოში დიდი ზომის ვისკოზის ნაწნავით, ჰარმონიულად ერწყმოდა პლისირებულ ქვედაბოლოებს. კოლექციის შედევრი კი ნამდვილად მისი კაბები და ქურთუკი „ბომბერები“ იყო 60-იანი და 70-იანი წლების თბილისის ქუჩების გამოსახულებებით. „კოლექციის შთაგონება ჩემი მშობლების საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში ცხოვრების გამოცდილება იყო, – ამბობს ლაკო ბუკია. – შესაბამისად, ჩემს კოლექციაში გამოყენებულ ყველა პრინტს საოჯახო ფოტოები უდევს საფუძვლად“.

აკა ნანიტა

ლაკო ბუკიას მსგავსად, აკა ნანიტასაც არ დასჭირვებია შთაგონებისათვის შორს წასვლა. როგორც თავად დიზაინერმა განაცხადა, „მუსიკა, ქსოვილები, გაფორმება – ყველაფერი ჩემი ბავშვობიდან, 80-იანებიდან მოდის, როდესაც საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით“. თავისი ჩვენება მან თეატრის შენობაში გამართა, სადაც მოდელები 50-იანი წლების თმის საშრობების ქვეშ იყვნენ მოკალათებული. ზოლებიან-კუბოკრული პრინტის მქონე შორტები, ქურთუკები და შარვალ-პიჯაკები, რბილ ავეჯზე გადასაკრავი ქსოვილისაგან დამზადებული აქსესუარები, მარგალიტებით მოქარგული ქურთუკები და ცნობილი ჯგუფების გამოსახულებიანი მაისურები, განსაკუთრებით დევიდ ბოუის მაისური, იმ ეპოქის გამოძახილია. „ეს კოლექცია ასახავს ჩემი ბავშვობის ჩვეულ დღეებს, როდესაც ბებიას სილამაზის სალონში დავყვებოდი, – ამბობს აკა ნანიტა. – ასევე აქტუალურია იმ პერიოდის მუსიკა: ბიტლზი და დევიდ ბოუი“.

კოლექციის მთავარი ელემენტი იყო ის, რომ დიზაინერმა 80-იანი წლების თემატიკა სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოაჩინა. თუკი სხვა დიზაინერების კოლექციაში აქცენტი იმ ათწლეულის ულტრაგლამურულ ლუქზე – განიერ მხრებსა და მასიურ სამკაულებზე იყო გაკეთებული, ლაკო ბუკია შეეცადა, ეჩვენებინა საკუთარი თავი იმ პერიოდში. სწორედ ამიტომ მისი კოლექცია საოცრად მიმზიდველი

ალექსანდრე ახალკაციშვილი

ლაღო ბოკუჩავა

„გოგოშკური“ ხასიათით გამოირჩეოდა.

სელია ვალვერდე

სელია ვალვერდე ერთადერთი ესპანელი დიზაინერი იყო, რომელმაც საკუთარი კოლექცია თბილისში წარმოადგინა. **Mercedes-Benz**-ის თბილისის მოდის კვირეულზე კოლექციის ჩვენების შესაძლებლობა სელია ვალვერდემ მადრიდის მოდის კვირეულზე გამარჯვების წყალობითა და საერთაშორისო დიზაინერთა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიიღო. „ქართველი დიზაინერი მონაწილეობას იღებდა წინა მოდის კვირეულზე, რომელიც იანვარში მადრიდში ჩატარდა. შესაბამისად მე, როგორც მადრიდის კვირეულის გამარჯვებული, საქართველოში მომიწვიეს მოდის კვირეულში მონაწილეობის მისაღებად“, – ამბობს ვალვერდე.

ვალვერდემ ძალზე ბუნდოვნად განმარტა ის, თუ რით აჯობა მისმა კოლექციამ სხვა დიზაინერების მიერ წარმოდგენილ ტანისამოსს და უბრალოდ თქვა, რომ კოლექციის შექმნაზე ბევრი იმუშავა. მიუხედავად ამისა, ვალვერდეს ერთაზროვანი შეხედულება ძალზე ბევრის მთქმელი აღმოჩნდა. „მოტაუნი ყოველთვის იყო ჩემთვის შთაგონების წყარო“, – ამბობს ვალვერდე, რაც კოლექციაში ვარდისფერი ტონების სიუხვისა და თავისუფალი, დაიანა როსის სტილში გადაწყვეტილი კაბების წყალობით ისედაც ყველასთვის აშკარა იყო.

ალექსანდრე ახალკაციშვილი

ალექსანდრე ახალკაციშვილი – ეს ის სახელია, რომლის გარშემოც თბილისში უამრავი ადამიანი იყრის თავს. საქართველოში მოქმედი ტანისამოსის მწარმოებელი ერთ-ერთი ყველაზე ძველი ბრენდის, **Matérial**-ის დიზაინერს არაერთი ჯილდო აქვს მიღებული და ქალაქში საუკეთესოდ ჩაცმულ ქალბატონთა შორის ბევრი მიმდევარი ჰყავს. სწორედ ამიტომ ჰქონდა ყველას დიდი ინტერესი მისი სადებიუტო კოლექციის მიმართ. საბედნიეროდ, მან წარმატებით გაართვა თავი გამოწვევას და ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

ახალკაციშვილმა წარმოადგინა ძალიან ძლიერი კოლექცია, რომელმაც მთლიანად შთანთქა 80-იანების ის სულისკვეთება, რითაც თბილისური მოდა ასეა გაჯერებული.

მის კოლექციაში უხვად იყო ფართომხრებიანი პიჯაკები, დიდი ზომის ქურთუკები, ობი-ქამრები, მუხლს ზემოთ ჩექმები, ტყავის ხელთათმანები და ე.წ. ფანქარი-ქვედაბოლოები. მიუხედავად იმისა, რომ „ოფისის გოგონას“ მოტივი მის კოლექციაში ჭარბად იგრძნობოდა, ახალკაციშვილმა ძვირფასი ქვების ფერებითა და თავისუფალი, მოშვებული სილუეტებით სიხალასე შემატა ტანისამოსს. „გამომდინარე იქიდან, რომ ეს ჩემი საკუთარი ჩვენების პირველი სეზონია, შევეცადე, ყველაფერი უფრო ქალური და ფერადი

ბაბუხადია

ყოფილიყო, – თქვა ახალკაციშვილმა. – როგორც წესი, ჩემი სტილი ძალზე მინიმალისტურია, მაგრამ პირველი კოლექციისათვის მსურდა, რაღაც ახალსა და განსხვავებულზე გამეკეთებინა აქცენტი.

ლადო ბოკუჩავა

ახალკაციშვილის მსგავსად, ლადო ბოკუჩავაც **Matérial**-ის დიზაინერია და 80-იანი წლების გადაჭარბებულ სტილს ემხრობა. პასტელის ფერებში გადაწყვეტილი დიდი ზომის კოსტიუმები და კაბები, ასევე დიდი ზომის მხრებითა და „ლიპებით“ არავის გაჰკვირვებია დიზაინერისაგან, რომელიც საკუთარ სტილს აღწერს როგორც „ვინტაჟისა და კლასიკის შეხვედრას 80-იანების ანდერგრაუნდთან“. მაგრამ ის, რამაც ყველაზე მეტი მოწონება დაიმსახურა და რაშიც განსაკუთრებულად გამოიხატა მისი გადახვევა ნორმიდან, იყო ბოკუჩავას თამაში პროპორციებით და ზედმიწევნით შერჩეული დეტალები.

მაგალითად, სალათისფერი ქვედაბოლო და პიჯაკი ოქროსფერი ღილებით თეთრი შიფონის ლაბადასთან ერთად: საოცრად ნაზი და ჰაეროვანი წინიდან, ხოლო ზურგიდან – თითქმის დრამატული. ეს ანსამბლი ყველა კუთხიდან ძალიან ამაღელვებელი სანახაობა იყო. ასეთივე განწყობას ქმნიდა ბოკუჩავას ყველა სხვა დიზაინი, მაგალითად, მის მიერ შემოთავაზებული უფრო გაშლილი ქვედაბოლო, ან დაგრძელებული შარვლები. ასევე უნდა აღვნიშნოთ ცისფერი და ფორთოხლისფერი ხავერდის პიჯაკები. უდავოა, რომ მის დიზაინში არის რაღაც არაამქვეყნიური ელემენტი, რომელიც შეიძლება კარგ ტანისამოსს არა, მაგრამ ნამდვილად დიდებულ მოდას ქმნის. არც არის გასაკვირი, ლადო ბოკუჩავა ხომ არ მალავს საკუთარ გატაცებას კოსმოსური ხომალდებით.

ბაბუხადია

ნინო ბაბუხადია იმ მცირერიცხოვან დიზაინერთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც თითქმის მთლიანად მამაკაცის ტანისამოსის შექმნაზე არის ორიენტირებული. თავის კოლექციაში ბაბუხადიამ გააერთიანა კლასიკურად მორგებული სპორტული ელემენტები და ქუჩის სტილით შთაგონებული სილუეტები როგორც მამაკაცებისათვის, ასევე ქალბატონებისთვის. „ჩემი სტილი უფრო მეტად უნისექს წარმოადგენს“, – ამბობს ნინო ბაბუხადია.

ვალვერდეს მსგავსად, ბაბუხადიაც საერთაშორისო დიზაინერთა გაცვლითი პროგრამის მონაწილეა. მადრიდის მოდის კვირეულში მონაწილეობის მიღების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული, იგი ახლა უფრო მეტ შესაძლებლობას ხედავს, მაგრამ იმასაც კარგად აცნობიერებს, რომ ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი: „ჩემთვის, ისევე როგორც ჩემი კოლეგებისათვის, ეს ძალიან რთულია და ამავდროულად საინტერესო“. FW

ახალი ინდუსტრიული კონცეფცია

ქეთი ბოჭორიშვილი
"ანაკლია სითის" აღმასრულებელი დირექტორი

იმის გათვალისწინებით, რომ სულ უფრო მეტი ქვეყანა აარსებს ან აცხადებს განზრახვას, დააარსოს სპეციალური ეკონომიკური ზონა თავიანთ ტერიტორიებზე, რათა დაეწიოს და გაიმეოროს შენჟენის (ჩინეთი) ან ჯებელ-ალის თავისუფალი ეკონომიკური ზონის (არაბთა გაერთიანებული საამიროები) წარმატება, ჩნდება მთავარი კითხვა, თუ რით გამოირჩევა ამგვარი ზონები და რა არის მათი წარმატების საიდუმლო.

2017 წლის შუა ხანებში ამერიკულ-ქართულმა კონსორციუმმა, რომელიც ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტს აშენებს, განაცხადა, რომ იწყებს მეორე პროექტს, რომელიც ითვალისწინებს სამომავლო პორტის მიმდებარე ტერიტორიის საქართველოში პირველ სპეციალურ ეკონომიკურ ზონად შექმნას. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა და კონსტიტუციაში შესწორება შეიტანა: ანაკლია სპეციალური სამართლებრივი რეჟიმისა და სტატუსის ტერიტორიად გამოცხადდა.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, რომლის მშენებლობაც შარშან დაიწყო და რომელიც 2020 წლის ბოლოს ამოქმედდება, გამოცხადებულია ქვეყნისთვის სტრატეგიულ პროექტად. ეს საქართველოსთვის ნიშნავს რეგიონალური სატრანსპორტო და სატრანზიტო დერეფნის როლის აღდგენას იმის გათვალისწინებით, რომ პორტი, როგორც მთავარი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფს ტვირთების გადაზიდვას კავკასიის, ცენტრალური აზიისა და ჩრდილო-დასავლეთ ირანის სამიზნე ბაზრებს შორის. მთლიანობაში, 140 მილიონზე მეტი მოსახლეობისთვის სამიზნე ტერიტორია დაახლოებით 0,9 ტრილიონის ღირებულების მთავარი და მეორეული სამომხმარებლო ბაზარია, რომელსაც გრძელვადიან პერსპექტივაში სწრაფი ეკონომიკური ზრდის პოტენციალი აქვს. მეტიც, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების გათვალისწინებით, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის უმთავრესი მიზანი ევროპისა და აზიის უდიდეს სამომხმარებლო ბაზრებს შორის ტვირთების ნაკადების მომსახურებაა, რაც საბოლოოდ მას ახალი აბრეშუმის გზის დერეფნის საკვანძო პუნქტად აქცევს.

2017 წლის დეკემბერში პროექტის დაწყებისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე გამოცხადდა, რომ ანაკლიის პორტის პროექტი კიდევ ერთი ნაბიჯია საქართველოს სატრანზიტო ქვეყნიდან მწარმოებელ, ლოგისტიკურ და სამრეწველო ქვეყნად გადაქცევის გზაზე, ანაკლიის სპეციალური ეკონომიკური ზონა კი ამ დიდი მიზნის მამოძრავებელი ძალაა.

ანაკლიის პორტის პროექტი კიდევ ერთი ნაბიჯია საქართველოს სატრანზიტო ქვეყნიდან მწარმოებელ, ლოგისტიკურ და სამრეწველო ქვეყნად გადაქცევის გზაზე.

მართალია, ანაკლიის სპეციალური ეკონომიკური ზონის კონცეფცია ფართო და ყოვლისმომცველია – იგი მიზნად ისახავს საქართველოს შავიზღვისპირეთში სხვადასხვა დარგისა და სრულიად ახალი ქალაქური ტიპის დასახლებების შექმნას, – ზონის ლოგისტიკური და სამრეწველო კომპონენტი ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის თავდაპირველ ეკონომიკურ „ძრავად“ და დანამატად მიიჩნევა.

პროექტის მიზანია იმ უნიკალური კონკურენტული უპირატესობებისა და შესაძლებლობების გამოყენება, რომლებსაც ულტრათანამედროვე პორტის მშენებლობა და სახელმწიფოს მხარდაჭერით შექმნილი საგზაო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს. უფრო დიდი მოცულობის გემების მომსახურების პოტენციალის მქონე ანაკლიის პორტი და დიდი სახელმწიფო ინვესტიცია მთელ ქვეყანაში ფიზიკური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაში საქართველოს – სატრანზიტო დერეფნის – კონკურენტუნარიანობასა და პოტენციალს მნიშვნელოვნად გაზრდის. საბოლოო ჯამში კი ეს გაზრდის მოთხოვნას სატრანსპორტო და ლოგისტიკურ მომსახურებაზე უშუალოდ რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ ტვირთების ახალი ნაკადის მიმოქცევის თვალსაზრისით. გარდა ამისა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ფარგლებში საქართველოს მიერ 2,3-მილიარდიან ბაზრებზე (ევროკავშირის 28 ქვეყანა, თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის ქვეყნები, თურქეთი, დსთ და ჩინეთი) წვდომა და ახალი, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული ინფრასტრუქტურა ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო კომპანიებს მეტი მოგების მიღების საშუალებას მისცემს. ამჟამად საქართველო ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში, რომელიც თავისუფალი ვაჭრობის კომპლექსური და მრავალფეროვანი გარიგებების დადების საშუალებას იძლევა და რომელიც საბოლოოდ შესაძლოა ევროკავშირის, ჩინეთისა და დსთ-ის ბაზრებს შორის სავაჭრო და ეკონომიკურ ხიდად გადაიქცეს.

SHUTTERSTOCK

პროცესის დასაჩქარებლად ანაკლიის სპეციალური ეკონომიკური ზონის ფარგლებში მოიაზრება საქართველოში პორტთან სრულად ინტეგრირებული თანამედროვე ინდუსტრიული და ლოგისტიკური პარკების ახალი, კონკურენტული კონცეფციის დანერგვა. პარკების კონცეფცია მიმზიდველ მარეგულირებელ კანონმდებლობა/წახალისებასა და უახლეს ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებზე იქნება დაფუძნებული და მათ წამყვანი საერთაშორისო ოპერატორი მართავს. მოდელი ითვალისწინებს არსებული, ახალი და განვითარებადი დარგებისთვის მიმზიდველი პლატფორმის შექმნას, რომელიც მომავალში მათი გაფართოებისა და განვითარების საწინდარი იქნება.

ამჟამად საქართველოში თანამედროვე სამრეწველო დანიშნულების რაიონებსა და შესაფერის ნაგებობებს ძნელად თუ იპოვით: მათი უმეტესობა საბჭოეთის დროინდელი შენობებია, რომელთაგანაც ზოგიერთი რესტავრირებულ იქნა. ამის საპირისპიროდ, 2017 წელს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ბაზარს 3,7 მლნ. მ2 ახალი სამრეწველო და ლოგისტიკური ნაგებობები მიეწოდა, რომელთაგან დაუკავებელი რეკორდულად მცირე 5%-ია. ნათელია, რომ მოთხოვნა მათზე საკმაოდ დიდია.

პირველი ნაბიჯი ამ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად დიდ ბრიტანეთში მოქმედი წამყვანი, პროფესიული, საკონსულტაციო კონსორციუმ BuroHappold Engineering and Moffatt

& Nichol-ის დაქირავება იყო, რომელსაც, სხვა ქვეყნების გამოცდილებასა და დარგის ამჟამინდელ მიმართულებებზე დაყრდნობით, მოთხოვნის კვლევა და ინდუსტრიული და ლოგისტიკური პარკების გენერალური გეგმის შედგენა დაევალა. გენერალური გეგმა და ფაზებად დაყოფილი სტრატეგია ზონის გრძელვადიან განვითარებასა და ზრდას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, პარკების შექმნაში მონაწილეობის მისაღებად და იმისთვის, რომ გათვალისწინებული შენობა-ნაგებობები და ინფრასტრუქტურა ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს, „კონსორციუმი" სამრეწველო დანიშნულების უძრავი ქონების წამყვან მშენებელ პარტნიორებთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს.

დაბოლოს, ლოგისტიკური და ინდუსტრიული პარკების განვითარების ხელშესაწყობად ანაკლიის სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ ანალოგიურ ზონებში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მსგავსი რეგულაციები დაწესდება. გათვალისწინებული მარეგულირებელი, ფინანსური და საკანონმდებლო ბაზა წარმატებული საწყისი ფაზისა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სხვადასხვა დარგისა და მომსახურების გამაერთიანებელი ზონის საწინდარი უნდა გახდეს. მან აგრეთვე ხელი უნდა შეუწყოს უსაფრთხო ბიზნესგარემოს შექმნას და წაახალისოს ის კომპანიები, რომელთაც რეგიონში თავიანთი საქმიანობის გაფართოება სურთ. რეგულაციების პირველი წყება ზოგადად ვაჭრობის, სახელდობრ, საბითუმო ვაჭრობის, წარმოების, ტრანსპორტირებისა და ლოგისტიკური საქმიანობის მოწესრიგებისკენ იქნება მიმართული, რაც უზრუნველყოფს ტვირთების ტრანზიტს, რეექსპორტს, დისტრიბუციას, საბაჟოს საწყობში შენახვას, საბაჟო მოსაკრებლის გარეშე მათ დამუშავებას და კლიენტებისთვის მიწოდების არხების შექმნას. ასევე უნდა ითქვას, რომ მეზობელ ბაზრებთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი შესაძლებლობებისა და ევროკავშირისა და ჩინეთის ბაზრებზე უტარიფო წვდომის გათვალისწინებით, ზონა ექსპორტზე იქნება ორიენტირებული. რაც შეეხება რეგულაციების მეორე წყებას, იგი გულისხმობს საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზაზე დაფუძნებული ბიზნესგარემოს შექმნას, დაბანდებების დაცვასა და დავების გადაჭრას კანონის უზენაესობის პრინციპზე დაყრდნობით და ადგილობრივი თუ საერთაშორისო კომპანიებისთვის მრავალ სხვა მიმზიდველ წახალისებას. ანაკლიის სპეციალური ეკონომიკური ზონის სამართლებრივ ნაწილს ქართული და საერთაშორისო იურიდიული ფირმები უზრუნველყოფენ, რაც ამას წინათ მიღებულ სპეციალურ ორგანულ კანონში აისახა.

შეუფერხებელი განვითარებისა და საქმიანობის მიზნით, „კონსორციუმის" ჯგუფი ზონისთვის წამყვან საერთაშორისო ოპერატორს ეძებს, რომელმაც პარკები უნდა მართოს და სამომავლო კლიენტებსა და მოსახლეობას „ერთი ფანჯრის" პრინციპის მომსახურება გაუწიოს. მსოფლიოში ათასობით სხვადასხვა ზონა არსებობს, მაგრამ დრომ გვაჩვენა, რომ გამოცდილი ოპერატორი პროექტის წარმატებისთვის გადამწყვეტია – იგი პროექტს გაცილებით უფრო ღირებულს ხდის.

ინდუსტრიული და ლოგისტიკური პარკების განსავითარებლად ზემოხსენებული ასპექტები გამოიკვეთა საერთაშორისო კომპანიებთან მასშტაბური მოლაპარაკებებისა და მსოფლიოს სხვადასხვა სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში საკვლევი ვიზიტების შედეგად.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად საქართველოში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის დარგის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე მუშახელი. ამ მიზნით, „ანაკლია სიტიმ" უკვე შესთავაზა თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასა და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს, რაც ისეთი პროექტების განხორციელებას გულისხმობს, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მომავალში დასაქმებისთვის საჭირო პროფესიული სწავლების უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

სპეციალური ეკონომიკური ზონა ისეთი საერთაშორისო და ქართული კომპანიებისთვის იქნება მიმზიდველი, რომლებსაც მთლიანად რეგიონში თავიანთი საქმიანობის გაფართოება, ზონაში მოქმედი საერთაშორისო კომპანიების მიმწოდებელ პარტნიორებად ქცევა და თავიანთი ბიზნესის საერთაშორისო დონეზე აყვანა სურთ. ძირითადი მიზანი ისეთი ეკოსისტემისა და ბიზნესგარემოს შექმნაა, სადაც კომპანიებს ძირითადი საქმიანობის გაფართოება და ინტერნაციონალიზაცია შეეძლებათ, რაც ზონაში გათვალისწინებული მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის ხელშეწყობითაა შესაძლებელი.

ანაკლიის პორტისა და სპეციალური ეკონომიკური ზონის პროექტები ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორს არა მარტო საქართველოში, არამედ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებზე გამავალ რეგიონალურ დერეფანშიც ძირეულად შეცვლის. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პროცესის სწრაფი განხორციელება დაინტერესებულ მხარეებზეა დამოკიდებული. დერეფნის შესაძლებლობების სრულად გამოსაყენებლად, თითოეულმა ქვეყანამ უფრო აქტიური როლი უნდა ითამაშოს მისი კონკურენტუნარიანობისა და მიმზიდველობის თვალსაზრისით. ინტეგრირებული ვაჭრობისა და სატრანსპორტო ქსელის ხელშესაწყობად საჭიროა საბაჟო-გამშვები პუნქტების გაუმჯობესება, სხვადასხვა ქვეყნის სატრანსპორტო ტარიფების პოლიტიკის ჰარმონიზაცია და საბაჟო პროცედურების გამარტივება. რეგიონალური ვაჭრობის პარადიგმებისა და ურთიერთდამოკიდებულების სქემის შეცვლით ხსენებული მარშრუტის განვითარებამ შეიძლება მთელ რეგიონში ვაჭრობის გაფართოებისა და ეკონომიკური დივერსიფიკაციის კატალიზატორის როლი შეასრულოს. FW

გამოიწერეთ ახლავე

ყველაზე გავლენიანი ქართული ბიზნესგამოცემა

Forbes GEORGIA

6 თვე – 35 ლარი, 12 თვე – 69 ლარი

ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ TBC ბანკის
ნებისმიერ ფილიალში: ს.ს. Media Partners
ბანკის კოდი: TBCBGE 22
ანგარიშის ნომერი: GE09TB722 563 608 01 00001
ს.კ. 404408690

ან

ან TBC Pay Box-დან
(სერვისი: სხვადასხვა - პრესა - ფორბსი)

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: ტელ.: +995 (32) 223 77 07

სპორტი თუ ყოველდღიური ვარჯიში, როგორც ცხოვრების წესი?

ნინო მენთეშაშვილი
TNT საქართველოს დირექტორი

მას შემდეგ, რაც ევროპისკენ სწრაფვა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობად იქცა, ავლაპარაკდით ევროპულ ფასეულობებზე, ევროპულ სტანდარტებზე – იქნება ეს გარემოს დაცვა, ინფრასტრუქტურული პროექტები, თუ ადამიანის უფლებები. თუმცა იშიათად ვლაპარაკობთ ევროპელების, უფრო სწორად, განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების წესებსა და მათ სიკეთეზე. ამ შემთხვევაში ვარჯიშის კულტურას ვგულისხმობ. დატვირთული დღის ბოლოს სავარჯიშო დარბაზებიდან სპორტულად ჩაცმული ადამიანების სიმცირეს ნამდვილად უჩივის ჩვენი ქვეყანა. დიახ, ევროპა ცხოვრების ტემპით ბევრად წინ არის, დასაქმებულობის ინდექსიც მაღალი აქვს. პოპულარულად რომ ვთქვათ, ძიძის მომსახურებაც კი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე საქართველოში, მაგრამ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი რეგულარულად ვარჯიშს მაინც ახერხებს. განვითარებულ ქვეყნებში აშკარად თვალში საცემია პარკებში და სანაპიროებზე მორბენალი ადამიანების სიმრავლე, ფიტნესის დარბაზები ყოველი ფეხის ნაბიჯზე და სპორტულად გამოწყობილი ადამიანების ნაკადი სამუშაო დღის ბოლოს... რატომ არ არის საქართველოში ვარჯიში პოპულარული? რომელი კუთხით შევხედოთ ამ საკითხს? არის ეს აღზრდის შეცდომა, თუ ამ სფეროში მოღვაწე ბიზნესის არასწორი მარკეტინგის, გემოვნების თავისებურებისა თუ ეკონომიკური სიდუხჭირის ბრალი?

როგორ იმკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესი საზოგადოებაში ფეხს? ამ კულტურის ჩამოყალიბებაში ბევრი ფაქტორი მონაწილეობს: ეკონომიკური თუ სოციალური. თითქოს მოდაც კი ახდენს ამ კუთხით საზოგადოებაზე ზეგავლენას – მოდური სპორტის სახეობებიც კი არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის ნაწილი თავგამოდებით მისდევს მოდის ტენდენციებს, ამ მოდას საქართველოში ფეხის მოკიდება გაუჭირდა. მაგალითად, არცთუ ისე ხშირად ნახავთ ქალს, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოდური სპორტით, კრივით რომ იყოს დაინტერესებული. საცურაო აუზების მომხმარებელთა უმეტესი ნაწილი მხოლოდ რუჯის მოყვარულებით შემოიფარგლება. დიახ, ხშირად ლამაზ კუნთს კარგი რუჯით ანაცვლებენ. ყველაფერი მაინც, ალბათ, აღზრდით იწყება და პირველი კენჭი ისევ განათლების სფეროსკენ უნდა გადავაგდოთ. როგორია განათლების სფეროს სტრატეგია ამ მიმართულებით? აქვს თუ არა მას ჩამოყალიბებული ხედვა და ანიჭებს თუ არა განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოზარდის ფიზიკურ აღზრდას? მიუხედავად იმისა, რომ სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოც კი გვქონია და 2014 წელს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტიც შეგვიქმნია, რომელიც რამდენიმე მიმართულებით მუშაობას მოიცავს (1. სპორტული ინფრასტრუქტურა; 2. სასპორტო განათლება და მეცნიერება; 3. საკანონმდებლო ცვლილებები), დღევანდელობა მოწმობს, რომ ამ მიმართულებით მდგომარეობა არასახარბიელოა. დღეს საქართველოში ვერ ნახავთ სკოლას, სადაც სპორტია წახალისებული. ვერ ნახავთ უნივერსიტეტს, სადაც მნიშვნელოვანი დრო და ადგილი უკავია სპორტულ კლუბებსა და შეჯიბრებებს. ქუჩის სპორტული ინფრასტრუქტურა თითქმის განადგურებულია, არ არსებობს ვარჯიშისა და ჯანსაღი ცხოვრების სოციალური რეკლამაც კი. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფო ამ მიმართულებით ქმედითი არ არის.

როგოც ვთქვით, ყველაფერი აღზრდით იწყება. როდის იწყება არასწორი აღზრდა ამ მიმართულებით და სად ვუშვებთ შეცდომას? თითქოს ტრადიც-

იულად ისე დამკვიდრდა, რომ, ბავშვი წამოიზრდება თუ არა, მისთვის სპორტის სახეობა შერჩეული გვაქვს. დიდი ენთუზიაზმით ვაწყებინებთ სპორტზე სიარულს, თუმცა ეს ენთუზიაზმი ქრება მაშინვე, როგორც კი მწვრთნელი გვეტყვის, რომ ჩვენი შვილისგან სპორტსმენი არ დადგება. ვთვლით, რომ სპორტზე ბავშვი მხოლოდ იმიტომ დადის, რომ პროფესიონალი სპორტსმენი გამოვიდეს? ან მწვრთნელი რატომ ითხოვს ყველა დაინტერესებული ბავშვისგან, დიდი სპორტსმენი დადგეს, გაუგებარია. აქ იწყება ფიზიკური ვარჯიშისგან პირველი გაუცხოება და გაუცნობიერებელი პროტესტი. საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, მშობელმა ჯერ კიდევ ვერ გამიჯნა პროფესიული სპორტი რეგულარული უბრალო ვარჯიშისგან.

ძალიან მნიშვნელოვანია ამ სფეროში დასაქმებული ბიზნესის მიდგომა და ხედვა. უდავოდ, მათი ინტერესის

რატომ არ არის საქართველოში ვარჯიში პოპულარული? ეს აღზრდის შეცდომაა, თუ ამ სფეროში მოღვაწე ბიზნესის არასწორი მარკეტინგის, გემოვნების თავისებურების თუ ეკონომიკური სიდუხჭირის ბრალი?

სფეროა ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა და რეკლამა. დღევანდელ სარეკლამო ბაზარს თუ გადავავლებთ თვალს, სავარჯიშო დარბაზების სარეკლამო რგოლების მოძებნა გაგვიჭირდება. მოიკოჭლებს ინფრასტრუქტურაც. დღეს საქართველოს ქალაქებში ძირითადად მხოლოდ ფეშენებელური დარბაზები არსებობს, რომელთა ფასი 150 ლარიდან 350 ლარამდეა. ოჯახის ოთხმა წევრმა რომ ივარჯიშოს, საშუალოდ 600 ლარია საჭირო, რაც, დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ

ძვირია. დედაქალაქში არსებული არც ერთი დარბაზი არ მუშაობს სრული დატვირთვით, თუმცა, მიუხედავად ამისა, მარკეტინგული სვლებით ადამიანების მიჩვევას იშვიათად ცდილობენ. მაგალითად, დაინტერესონ კლუბის წევრი ახალი წევრის მიყვანით, თითქმის არ არსებობს შეთავაზებები ოჯახისთვის. ასევე ძალიან იშვიათია საშუალო სეგმენტზე გათვლილი ინფრასტრუქტურაც. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ, მარკეტინგული ხრიკი უამრავია, რაც თანამედროვე ბიზნესის განუყოფელი ნაწილია. ბიზნესის წარმატების დიდი წილი სწორად გათვლილ მარკეტინგზე მოდის. აქაც მხოლოდ ერთგვაროვანი მიდგომაა: ერთი დარბაზიდან მეორეში გადაიბირონ ვარჯიშის მსურველები. რაც შეეხება აქტიურ პროპაგანდას, აქციონ ვარჯიში ადამიანების ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, მოიზიდონ ახალი თაობა, გახადონ თვალსაჩინო

ის ფაქტი, რომ ვარჯიში ახალგაზრდობის და ლამაზი სხეულის შენარჩუნების ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა, ანუ თავად შეუწყონ ხელი ბაზარზე მოთხოვნის გაზრდას, ჯერჯერობით რთულ ამოცანად გვესახება და ამ მიმართულებით ბიზნესი პასიურობს.

უცნაურია, რომ, ადამიანები, ვისაც თავის მოსავლელად მატერიალური საშუალებაც აქვს, დროც და სურვილიც, სულაც არ თვლის ვარჯიშს აუცილებლობად. რას ნიშნავს ქართულ რეალობაში თავის მოვლა? ადამიანების ის ნაწილი, რომელიც არ იშურებს თანხას იმისთვის, რომ მუდმივად ჰქონდეს წესრიგში თმა, წამწამი, დროულად გაიკეთოს ბოტოქსი, მეზოთერაპია, არასოდეს ფიქრობს, რომ ტანიც მისია და ტანის მოვლის საუკეთესო საშუალება ნებისმიერი სახის ვარჯიშია. დიახ, აქ მხედველობაში მაქვს ვარჯიში არა როგორც უბრალოდ ჯანმრთელობის, არამედ ახალგაზრდობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალება. ამ შემთხვევაში ის უალტერნატივოა და ვერანაირი პლასტიკური თერაპია ვერ შეედრება. დაჭიმული კუნთი და მოწესრიგებული სისხლის მიმოქცევა, ნივთიერებათა ცვლა უზრუნველყოფს ორგანიზმის ახალგაზრდულ იერს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ადამიანებს, რომლებიც დროსა და თანხას არ იშურებენ სახის მოვლისთვის, სრულიად არ ადარდებთ ტანი... რომ აღარაფერი ვთქვათ ემოციურ განტვირთვასა და სტრესის მოხსნაზე.

დღევანდელ საქართველოში ვარჯიში არ არის ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, ეს ფაქტიც ჩვენი „ქართველობის“ ნაწილია და სწორედ ამიტომ, დილით ორი კილომეტრის გარბენა, რომელსაც „ორშაბათიდან“ ვიწყებთ, ქართველისთვის გმირობის ტოლფასია. ისე ძალით არის მოსული მის ცხოვრებაში, რომ დიდხანს ვერ ძლებს.

მიუხედავად მიზეზებისა, რომლებიც ყველგან შეიძლება მოვძებნოთ, ძირითადი პასუხისმგებლობა მაინც სახელმწიფოსა და განათლების სისტემას ეკისრება, რადგან ადამიანებს ძირითადი უნარ–ჩვევები სწორედ ადრეულ ასაკში უყალიბდებათ. დროულად განვითარებულ სწორ უნარ–ჩვევებზე ადვილად ვერ ამბობ უარს. ჯანმრთელობაა, სულიერი გაწონასწორებულობაა, ახალგაზრდობაა, სიხალისეა, სიგამხდრეა, რაც გინდათ დაარქვით, ოღონდ ეს ცხოვრების წესად ვაქციოთ. მეც მინდა, დავინახო პარკები ყურსასმენებიანი მორბენალი გოგოებით და ბიჭებით სავსე, ფიტნესისთვის გამოწყობილი ადამიანების ნაკადი ქალაქის ქუჩებში – ჯანსაღი აზროვნება აქედან იწყება. FW

PBT
fencing
www.pbtfencing.com

ეტლი, რომელსაც გამარჯვებამდე მიჰყავხარ

ავტორი: სალომე ჭიპაშვილი
ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

რვა წელი დიდი დროა იმისთვის, რომ იჯდე ეტლში და ელოდო მომენტს, როცა ისევ შეძლებ გავლას ზუსტად ისე, როგორც მთელი 18 წელი დადიოდი, და არაფერი აკეთო, გარდა რუტინული, ყოველდღიური ვარჯიშისა. ვარჯიშის, რომელსაც ერთადერთი მიზანი აქვს – ხელახლა აიდგა ფეხი. ეს მიზანი აქვს შენს მშობლებსაც, მეგობრებსაც და თავად შენც. როგორც რიგითი ჯარისკაცი, ასრულებ ყველა დავალებას, რომელთა დაძლევაც შენი ვალია. რვა წლის თავზე კი ხვდები, რომ ცხოვრებაში სხვა, უკეთესი მიზნებიც არსებობს, ვიდრე, უბრალოდ, სიარულია.

ირმა ხეცურიანი აფხაზეთიდანაა. 6 წლის იყო, როცა ომის შემდგომ მშობლებთან ერთად წყალტუბოში გადმოვიდა საცხოვრებლად. თავად ირმა აფხაზეთის კონფლიქტს რუსეთ-საქართველოს ომს ეძახის. ძალიან რთული პერიოდის გამოვლა მოუწია. ყველაფერი ცუდ თამაშს ჰგავდა. პატარა იყო და უჭირდა ამ ყველაფრის აღქმა. იყო დაცინვა, შიმშილი, კარდაკარ სიარული და მათხოვრობა. ძალიან მძიმე ტვირთი იყო „დევნილის“ სტატუსის ტარებაც. 13 წლის იყო, როცა დედა წავიდა ემიგრაციაში, საბერძნეთში, რომ ოჯახს მეტ-ნაკლებად ამოესუნთქა, საჭმელზე მაინც არ ჰქონოდათ საფიქრალი. დედის გარეშე ძალიან გაუჭირდა. ბევრი რამის გაკეთება დამოუკიდებლად მოუხდა. ირმა ხეცურიანი კარგი მოსწავლე იყო. ჩააბარა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ინფორმატიკის ფაკულტეტზე. პირველი კურსი წარმატებით დაასრულა და... იწყება უფრო რთული პერიოდი მის ცხოვრებაში. იმაზე რთული, ვიდრე ეს იყო ზედმეტად ჩუმი და „დევნილი“ ბავშვობა.

მოვლენები სწრაფად განვითარდა. თავიდან ოდნავ კოჭლობდა, რაც სიარულის მანერაში გადაიტანა. მერე მარჯვენა ფეხში შეგრძნება დაკარგა, თუმცა უცნაური იყო ის, რომ ტკივილები არ აწუხებდა. 18 წლის ასაკში კი მძიმე დიაგნოზი დაუსვეს – ზურგის ტვინიდან აღმოცენებული ძალიან დიდი, მაგრამ კეთილთვისებიანი სიმსივნე. 16 სექტემბერს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა, რომელიც დაახლოებით 8 საათს მიმდინარეობდა. როცა ნარკოზიდან გამოვიდა, მიხვდა, რომ ზურგს ქვემოთ მისი აღარაფერი იყო.

TIBHAR



7-8 წელი მაინც დასჭირდებოდა, რომ ელემენტარულად ფეხი დაედგა და ისიც რეაბილიტაციის არაერთი კურსის შედეგად. ფსიქოლოგიურად ძალიან მძიმე აღმოჩნდა ეს ყველაფერი. ოპერაციიდან ერთი თვის შემდეგ დაუმეგობრდა ეტლს და დეპრესიებიც დაიწყო. 3 წელი არ ეძინა. რამდენიმე საათით თუ ახერხებდა დაძინებას საძილე აბების დახმარებით. ხედავდა უცნაურ, არაამქვეყნიურ სიზმრებს და მერე შიში ეუფლებოდა. მოიმატა წონაში, იყო საშინლად აგრესიული, ყველაფერი აღიზიანებდა, სულ ჩხუბობდა და ამ აგრესიის ძირითადი მსხვერპლი ისევ დედა იყო. პირველად ქუჩაში კი ოპერაციიდან მხოლოდ 4 წლის მერე გავიდა.

„ბევრს ვკითხულობდი, თუმცა უნივერსიტეტში აღარ დავბრუნებულვარ, სურვილი მქონდა, მაგრამ შემეშინდა, შემეშინდა გარშემომყოფთა დამოკიდებულების. პირველი სირთულე, რასაც გარეთ გამოსვლისას წავაწყდი, ადამიანების დამოკიდებულება იყო, თუმცა მარტო ადამიანების დამოკიდებულებას ვერ დავაბრალებ, პირველ რიგში მე ვერ მივიღე საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ვარ. საკუთარი თავი თვითონ მებრალებოდა. შინაგან დამოკიდებულებას იმხელა ძალა აქვს, რომ გარეთ გამოდის ეს ყველაფერი, ყველა ხედავს, თვალებიდან ყველაფერი იკითხება. ჩემი ბრალიც იყო, რომ საზოგადოებას იგივე დამოკიდებულება ჰქონდა ჩემ მიმართ, მე თვითონ მეცოდებოდა საკუთარი თავი და მე თვითონ მესირცხვილებოდა ჩემი ეს მდგომარეობა“. ძალიან რთული იყო ეს პერიოდი, მაგრამ ირმა ხეცურიანმა მაინც შეძლო მისი გადატანა და შესაშურ წარმატებებსაც მიაღწია.

თქვენი ცხოვრება რთული დიაგნოზის დასმის შემდეგ... იწყებთ ახალ ცხოვრებას ოფისმენეჯერის პოზიციაზე პარაოლიმპიურ კომიტეტში. როგორ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?

დღემდე არის ასეთი კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“, რომელიც ძირითადად უფლებებზე მუშაობს. ამ კოალიციაში შშმ პირთა თემზე მომუშავე ძალიან ბევრი ორგანიზაციაა გაერთიანებული. მათ მიჰყავდათ ხოლმე ეტლით მოსარგებლე პირები და ასწავლიდნენ დამოუკიდებლად ცხოვრების წეს-ჩვეულებებს. სწორედ ამ პროექტით წავედი მეც სენაკში, სადაც ძალიან ნაყოფიერი ერთი კვირა დავყავი. შემდეგ უკვე ამ ორგანიზაციამ გადამამზადა და მე თვითონ გავხდი ტრენერი, ვასწავლიდი სხვა ეტლით მოსარგებლეებს დამოუკიდებლად ცხოვრებას. ერთ დღესაც საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტი-

ყველაზე მნიშვნელოვანია, საკუთარი სხეული მიიღო ისეთი, როგორიც არის. სხვა გზა ისედაც არ გაქვს. სხვას ვერ ეყვარები, თუ შენ თავად არ გეყვარება საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ხარ.

დან დამირეკეს, მითხრეს, რომ სჭირდებოდათ კადრი ოფისმენეჯერის პოზიციაზე, თან – ეტლით მოსარგებლე. ეს იყო 2013 წელს. შემოთავაზება ჩემთვის ძალიან დიდი სტიმული აღმოჩნდა. იმ პერიოდში ერთფეროვნებით დაღლილი ვიყავი, რაღაც ახლის კეთება მინდოდა, ვარჯიშისგან ფსიქოლოგიურად იმდენად ვიყავი დაცარიელებული, ეს შემოთავაზება წამალი აღმოჩნდა. ოპერაციის შემდეგ ეს იყო ჩემი პირველი დამოუკიდებელი გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებასთან შეგუება ყველაზე რთული დედაჩემისთვის აღმოჩნდა. ძალიან გამიჭირდა თბილისში ბინის მოძებნაც, რადგან არანაირი ადაპტაცია არა აქვს შენობებს. პირველ ეტაპზე ჩემი კოლეგები მეხმარებოდნენ. პირველი ორი წელი იყო ჩემი ახალი ცხოვრების დასაწყისი. ამან ჩემში სულიერი გარდატეხა მოახდინა, ამ ორმა წელმა მასწავლა, თუ როგორ არ უნდა მივაქციო ყურადღება უარყოფითს, როგორ არ უნდა მოვუშვა ცუდი ჩემამდე და როგორ უნდა დავრჩე და შევინარჩუნო ის ირმა, რომელიც ამ წლების განმავლობაში გავაღვიძე ჩემს თავში. სულ სხვა ფერებში აღვიქვი ცხოვრება. გავთავისუფლდი ყველა კომპლექსისგან. აღარ ვჩხუბობდი, აგრესია აღარ მქონდა, მივხვდი, რომ ჩემში რაღაც შეიცვალა. ვთვლი, რომ ყველაზე დიდი იარაღი ღიმილია – არც ჩხუბი, არც ყვირილი, არც თითის დაქნევა, და მეც ვისწავლე ღიმილი. რაღაცნაირად ჰარმონიულად შეერწყა ყველაფერი ერთმანეთს. ძველ ირმასა და ახლანდელ ირმას შორის დიდი განსხვავებაა, შედარებაც კი რთულია... დღესაც ვფიქრობ, რამდენი დრო დავკარგე ტყუილად საკუთარი თავის შეცოდებაში. ერთი რამ ყველას უნდა ახსოვდეს: ყველაზე მნიშვნელოვანია, საკუთარი სხეული მიიღო ისეთი, როგორიც არის. სხვა გზა ისედაც არ გაქვს. სხვას ვერ ეყვარები, თუ შენ თავად არ გეყვარება საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ხარ.

ოფისმენეჯერობიდან აქტიურ სპორტსმენობამდე – როგორ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება? რამდენი ხანია, რაც ფარიკაობით ხართ დაკავებული და როდის მოვიდა პირველი გამარჯვება?

ზუსტად ერთი წელი ვიყავი ოფისმენეჯერი. ძალიან კარგი კოლექტივი შემხვდა, დღესაც ამ კოლექტივში ვარ, მაგრამ მე უკვე სხვა – სპორტსმენის ამპლუაში. მათი დამსახურებაა, რომ მე ეს ადგილი შემიყვარდა, მიუხედავად იმისა, რომ უხელფასოდ ვმუშაობდი და ყველანი გამომუშავებაზე ვიყავით. ყველაზე მეტად მიხაროდა, რომ მქონდა რაღაც საკეთებელი და ვგრძნობდი, რომ უსარგებლო არ ვიყავი. მომეწონა მუშაობის სპეციფიკა. ჩემი საქმე კარგად მოვირგე. 2014 წელს კი კომიტეტის ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა, თინათინ რევაზიშვილმა, რომელიც ასევე ჩემი კარგი მეგობარია, მითხრა, რომ არის ჯგუფი, რომელსაც საქართველოში პარაფარიკაობის განვითარება უნდა. წარმოუდგენლად მიმაჩნდა ჩემი თავი სპორტში. მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად მივიღე გადაწყვეტილება, რომ უნდა მეცადა. მანამდე ბევრი ჭიდილი მქონდა საკუთარ თავთან, სულ ვფიქრობდი, 27 წლის ასაკში რა დროს სპორტის დაწყება იყო, ამ ასაკში ხალხი სპორტულ კარიერას ამთავრებს და ა.შ. პირველივე დღეს, ვარჯიშზე მისულს, ისეთი გარემო დამხვდა, რომ შეუძლებელი იყო, იქ არ დავრჩენილიყავი. 5 წელი გახდება, რაც სპორტით ვარ დაკავებული.

პირველი გამარჯვება ვარჯიშიდან ორი თვის თავზე მოვიდა, კანადაში. პირველად ავიღე მედალი, ეს იყო ბრინჯაო რაპირით ფარიკაობაში და რომ ჩამოვედი, ჩემს ტრენერს ვუთხარი: მე ამ სპორტიდან არსად არ წავალ! სწორედ ამ გამარჯვებამ მომცა ბიძგი, ამ სპორტში მაქსიმუმი გამეკეთებინა. რეალურად ძალიან დიდი დროა საჭირო იმისთვის, რომ დაიხვეწო და თქვა, რომ შემდგარი მოფარიკავე ხარ.

ანუ საჭირო იყო ერთი გამარჯვება...

საჭირო იყო ერთი გამარჯვება გარდატეხისთვის, თვითრწმენა რომ ამემაღლებინა. მეგონა, რომ ვერ შევძლებდი, ჩემთვის ძალიან რთული სპორტის სახეობა იყო, მაგრამ ამ გამარჯვებამ ყველაფერი თქვა. რასაც მოინდომებ, ყველაფრის გაკეთებაა შესაძლებელი. იღბალიც დამეხმარა გამარჯვებაში.

თქვენს გამარჯვებებზეც უფრო დაწვრილებით რომ გვიამბოთ? როგორც ვიცი, შვიდგზის მსოფლიო თასის მფლობელი ხართ...

უკვე ათგზის მსოფლიო თასის მფლობელი ვარ. როცა რამდენჯერმე მოიგებ, მერე უფრო და უფრო მეტის მოთხოვნილება გიჩნდება. გარშემო ყველა ჩემგან მოგებას ელის. დამიმძიმდა მხრები ამხელა პასუხისმგებლობისგან. მოგებები ერთმანეთს რომ გადაება, რეალურად მივხვდი – რატომაც არა, შესაძლებელია. ის გამძლეობა, სიძლიერე, მუშაობის სიყვარული, ყოველდღიური რეჟიმი ცხოვრებაშიც ძალიან მეხმარება, ნებისმიერ ცხოვრებისეულ გასაჭირს ძლიერად ვუდგავარ, სპორტის დამსახურებაა, რომ პიროვნულადაც მოხდა ჩემი გარდაქმნა. წარმატებები ძალიან დიდ ენერგიას და თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს. კვირაში ექვსი დღე ვვარჯიშობთ, დღეში მინიმუმ 4-5 საათი. ამ რეჟიმს შევეჩვიე.

რამდენი სპორტსმენია საქართველოში, რომლებიც ეტლით მოსარგებლეთა ფარიკაობაში აქტიურები ხართ? და კიდევ რაიმე სხვა სპორტის სახეობები ხომ არ არის წარმოდგენილი პარაოლიმპიურ ცენტრში?

პარაფარიკაობაში ჩვენ ხუთნი ვართ. არის ასევე პარამშვილდოსნობა, პარაძიუდო, პარაფრენბურთი, პარაჩოგბურთი, უსინათლოთა ფეხბურთი, ბოჩა, მძლეოსნობა, მკლავჭიდი და ა.შ. არის ზამთრის ოლიმპიური სახეობებიც.

როგორ ფიქრობთ, ჩვენი ქალაქის ინფრასტრუქტურა რამდენად პასუხობს შშმ პირების მოთხოვნებს? რამდენად ადაპტირებულია ჩვენი ქალაქი? რა არის კიდევ გასაკეთებელი ამ მხრივ?

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ადაპტაციას და ზოგადად გარემოს მოწყობას, წინა წლებთან შედარებით წინსვლა შეიმჩნევა, ოღონდ – მხოლოდ თბილისში. ალბათ ესეც ბევრი ჩვენი მოთხოვნის, აქტიურობის შედეგად გაჩნდა. ჩვენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები ვართ, უფლებამოსილები ვართ, რომ ვისარგებლოთ იმ ჩვენი ინფრასტრუქტურით, რაც ჩვეულებრივ ფეხით მოსიარულე ადამიანებს სჭირდებათ გადაადგილებისთვის. არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა არ უნდა უსვამდეს ხაზს ჩემს ფიზიკურ მდგომარეობას, რომ ჩემთვის და ჩემნაირებისთვის არ არის ეს ყველაფერი და მე სხვა დანარჩენი სოციუმისგან განვსხვავდები. მე არ მივესალმები იმ გამიჯვნებს, რომ მაგალითად, აქ ეტლით მოსარგებლეების პანდუსია, ან ეტლით მოსარგებლეების პარკინგია ან თუნდაც აქ ეტლით მოსარგებლეების საპირფარეშოა, არა, ეს ყველასია, უბრალოდ ეს ჩემთვის მოსახერხებელია. ყოველთვის უნდა ეცადო, რომ სოციუმს კი არ დაშორდე და განცალკევდე, არამედ პირიქით, მასთან გაერთიანდე. ინფრასტრუქტურას ვუჩივი ნამდვილად. ძალიან ბევრი ბარიერია. თუმცა არ ვჩხუბობ, ნელ-ნელა, ეტაპობრივ რაღაც მაინც კეთდება. ახლა ველოდები გაეროს კონვენციის მეორე ოქმის ძალაში შესვლას, რომელიც დაავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ინფრასტრუქტურა – ასე ჩვენს უფლებებს ადვილად ვეღარ დაარღვევენ. თუმცა როდის შევა ძალაში კონვენცია, არავინ იცის. ფაქტია, დღეს არანაირი ადაპტირებული შენობა-ნაგებობა არ არსებობს ჩვენთვის, ქუჩაში ჩვენ კი არა, ფეხით მოსიარულეს უჭირს გადაადგილება, ტროტუარები გაივსო ავტომობილებით. ადაპტაციები ფასადურია. შედიხარ პანდუსით პირველ სართულზე და მეორე სართულზე კიბეები გხვდება... ხელმისაწვდომი უნდა იყოს გარემო, განათლება, ჯანდაცვა, არ უნდა აგიყვანონ სამსახურში მხოლოდ იმის გამო, რომ ეტლით მოსარგებლე ხარ ან პირიქით. ყველა ადამიანი თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს. თუნდაც ის, რომ ავტობუსები შემოიყვანეს ადაპტირებული – კარგია, მაგრამ გაჩერებები არ გვაქვს ადაპტირებული და რად გვინდა ასეთი ტრანსპორტი? ან მძღოლი არის გადამზადებული იმისთვის, რომ მე როდესაც გავაჩერებ ავტობუსს, მან წუწუნით არ გადმომიღოს ის ჩემთვის განკუთვნილი პანდუსი? სოციუმში დამოკიდებულება იმ შემთხვევაში შეიცვლება, თუ შენ მომიწყობ მე სიტუაციას, ინფრასტრუქტურას ისეთს მომარგებ, რომელიც მე მართლა მჭირდება. არ მომწონს მე ადამიანებს შორის სხვაობა. აი, მაგალითად, გზაზე გადასასვლელი ხიდები, რომლებზეც არის ე.წ. პანდუსები, მათი არსებობის აზრს ვერ ვხვდები და დარწმუნებული ვარ, ვერც ის ხვდება, ვინც ეგ გააკეთა. „არაფერი ჩვენი ჩვენ გარეშე“ – ეს არის ჩემი მოწოდებაც და თხოვნაც, რადგან მე თუ მიკეთებ, მე უნდა ვიყო ამის მონაწილე, მე უნდა მკითხო, ზომა რამხელა უნდა იყოს პანდუსის, დახრა რამდენი უნდა ჰქონდეს, შევძლებთ თუ არა ამაზე დამოუკიდებლად ასვლა-ჩამოსვლას, ეს ყველაფერი ჩვენთან ერთად უნდა გაკეთდეს.

რა სჭირდება ამ სპორტს, თქვენი გადმოსახედით, განვითარებისთვის? რა გაკეთდა და რა არის კიდევ გასაკეთებელი სახელმწიფოს მხრიდან?

ეს სპორტი განვითარების პროცესშია და რეალურად ყველაზე წარმატებულია დღეს პარასპორტის კუთხით. პარაოლიმპიური კომიტეტი არის მერიის დაქვემდებარების ქვეშ და სახელმწიფოს ხელშეწყობის კუთხით არასდროს დავიწუწუნებ, ყველა შეჯიბრზე ანაზღაურება სახელმწიფოს მხრიდან მოხდა, ცდილობენ, მაქსიმალურად ვიმუშაოთ და კარგი შედეგი დავდოთ. რაც შეეხება რეგიონებს, ძალიან ცუდი მდგომარეობაა ამ კუთხით. სამწუხაროდ, ასეთი ცენტრები არ არსებობს და შესაბამისად მათი განვითარება სპორტის მხრივ ნულია. რეგიონში ჩვენ ძალიან ბევრ ნიჭიერ ადამიანს ვკარგავთ. მე დიდი იმედი მაქვს, რომ სპორტის ეს სახეობები სახელმწიფოს დახმარებით რეგიონებშიც გავრცელდება. მე მზად ვარ, ნებისმიერ დაძახილზე წავიდე რეგიონში, ვინც მეტყვის, რომ ამ მხრივ ჩემი დახმარებაა საჭირო.

სამომავლო გეგმებზეც რომ ვისაუბროთ, რას უნდა ელოდოს ქართველი გულშემატკივარი უახლოეს მომავალში?

მომავლის გეგმებშია 2020 წელს ტოკიოში ოლიმპიადის მოგება. ამის რეალური შანსი გვაქვს. ყველაზე კარგი ამბავი ის არის, რომ ერთ-ერთი მსოფლიო თასი საქართველოში ტარდება 2018 წლის 8-11 ნოემბერს. თბილისს 25 ქვეყნის 350-მდე დელეგატი და სტუმარი ეწვევა. 2018 აქტიური წელია. სექტემბერში უკვე იხსნება ოლიმპიური ათვლის ფანჯარა და ხდება ყველა რეიტინგის განულება და სიის განახლება. გეგმაში გვაქვს მე და ჩემს გუნდს – გუნდში უკვე სამი გოგო ვართ – ამ ორი წლის განმავლობაში მსოფლიო თასების მოპოვება და ამ ტურნირების შედეგად დაგროვილი ქულებით უკვე გახდება ცნობილი, მოვხვდებით თუ არა 2020 წლის ოლიმპიადაზე. წინ გვაქვს ასევე მსოფლიო ჩემპიონატი, მანამდე კი, სექტემბერში, ევროპის ჩემპიონატი გვაქვს მოსაგები. FW

www.forbes.ge

გვიპოვეთ ყველგან

facebook.com/
forbesgeo

twitter.com/
forbesgeorgian

youtube.com/
forbesgeorgian

pinterest.com/
forbesgeorgia

linkedin.com/company/
forbes-georgia

instagram.com/
forbesgeorgia

HYDRA 24+

A NEW APPROACH TO SKIN HYDRATION

The latest addition to PAYOT's skincare family the Hydra 24+ range is the line that goes beyond hydration, working affectively in anti-aging prevention with extra super defense. PAYOT Hydra 24+ is a line of dermo-sensorial skincare for soft, comfortable and plumped skin. It is a unique alchemy between sensoriality of products and innovative formula which features Hydro Defense complex that draws its benefits from water-saturated fruits: fig and watermelon. Daily moisturizing care is ideal for all skin types. An ultra – sensory, fresh and silky texture procures and immediate sensation of freshness. As a result the skin is fresh, soft and plum. The complexion is luminous and radiant

HYDRATION: **+59%***

SENSATION OF FRESHNESS: **100%***

SENSATION OF COMFORT: **100%****

Estée
Professional
Cosmetics

24 I.Abashidze str.; Tel: 2 24 24 55

ახალი სტანდარტი

ავტორი: ელენე ჩომახიძე
ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

„დირსის“ 8 ჰექტარზე დაწყებული პროექტი თითქმის ექვსჯერ გაიზარდა და ხუთ ეტაპად ვითარდება. დღევანდელი გათვლებით, მომდევნო 10 წელიწადში ინვესტიციები მილიარდ ამერიკულ დოლარს მნიშვნელოვნად გადააჭარბებს. შაჰინ მოვსუმოვი სხვა დარგებითაც ინტერესდება და საქართველოს პოტენციალს აქტიურად სწავლობს.

„ადამიანი ყველაზე ადრეული ასაკიდან თავად უნდა მიხვდეს, რომ ყველაფერი საკუთარი ხელით უნდა აკეთოს“, – ასეთია შაჰინ მოვსუმოვის ცხოვრებისეული კრედო. მისთვის ბიზნესში წარმატება მუდმივ თვითგანვითარებას გულისხმობს: მოგზაურობას, შემეცნებას, შრომისმოყვარეობას და, რაც მთავარია, საკუთარ რეპუტაციაზე გამუდმებულ ზრუნვას. მისთვის ბიზნესმენი ე.წ. რისკტეიკერია: რისკის არ უნდა ეშინოდეს და მისი მართვა უნდა შეეძლოს.

მომავალს თვალს უშიშრად უსწორებს. ამბობს, რომ ტექნოლოგიური პროგრესის ხანაში მოსალოდნელია, რომ მთელი რიგი ინდუსტრიები, რომლებიც უკვე 50-100 წელია, არსებობენ, გაქრებიან და მათ მაგივრად შეიქმნება ახალი ინდუსტრიები, რომლებიც დაკავშირებული იქნებიან ალტერნატიულ ენერგიებთან, ეკომანქანებთან, კოსმოსურ აღმოჩენებთანაც კი. ამბობს, რომ ბიზნესმენი ყოველთვის მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მის რეალობაში რაღაც შეიცვლება, უნდა ესმოდეს, რომ არ ღირს შიში იმის გამო, რომ რაღაცამ შეიძლება აღარ იმუშაოს ან წა-

რუმატებლად დასრულდეს. შაჰინ მოვსუმოვს სჯერა, რომ ყველაფერ ძველს ახლის შექმნისკენ მივყავართ.

სწორედ ახალი სტანდარტის შექმნის სურვილით დაიწყო „დირსის“ პროექტი საქართველოში. გრძელვადიან ინვესტიციას დღემდე ერთგულად მართავს და დივერსიფიცირებისთვის ახალ სექტორებსაც აქტიურად ზვერავს.

Forbes Georgia-ს მკითხველი მიმდინარე და სამომავლო პროექტების შესახებ ინფორმაციას ამ ინტერვიუდან მიიღებს.

მოგესალმებით, ბატონო შაჰინ. მოდი, ჩვენი საუბარი სულ თავიდან დავიწყოთ. პროფესიით იურისტი ხართ. რატომ გადაწყვიტეთ ასე?

პირდაპირ გეტყვით, მოდას ავყევი. მაშინ, 90-იან წლებში, პროკურორობა მოდური იყო. დავამთავრე იურიდიული, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვიმუშავე პროკურატურაში. 2000 წელს დავწერე განცხადება და ჩემი ნებით წამოვედი. მივხვდი, რომ დრო მოვიდა, გამერკვია, საით უნდა ამეღო საბოლოოდ გეზი – საჯარო სექტორში დავრჩენილიყავი თუ კერძო სექტორში გადამენაცვლა. მე ბიზნესი ავირჩიე. ჩანს, არ შევმცდარვარ.

და მაინც, რატომ ბიზნესი?

90-იანი წლები გარდამტეხი პერიოდი იყო – არა მარტო საქართველოსთვის და აზერბაიჯანისთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის. საბჭოთა კავშირი დაიშალა და ნათლად ვხედავდი, რომ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა – მათ შორის, საქართველოც და აზერბაიჯანიც – კაპიტალიზმისკენ მიდიოდა. მმართველობის სულ სხვა ფორმა ყალიბდებოდა და ამ ახალ კონფიგურაციაში ზუსტად ვიცოდი, რომ მომავალი იმ ადამიანებს ეკუთვნოდათ, რომელთაც ბიზნესის წარმოება შეეძლოთ. მე მქონდა უნარები, რომ ჩემს საქმეს ეფექტიანად გავძღოლოდი.

საიდან დაიწყეთ და რამდენად რთული იყო ბიზნესის მაშინ დაწყება?

საბჭოთა კავშირი დაიშალა და ბევრი შესაძლებლობა გამოჩნდა. ჩვენც ნებისმიერ ბიზნესს ვებღაუჭებოდით – მეტალის, ტყავის. რთული დრო იყო და თავი იმით გავიტანეთ, რომ ბევრ ბიზნესს მოვკიდეთ ხელი: ბარტერი, დიზელის საწვავი, მეტალის გაცვლა, არმატურის ირანში გაყიდვა – ყველაფერი ვცადეთ.

დღეს თქვენ დიდ კორპორაციას ფლობთ, ბევრი კომპანიით – ეს იყო ბიზნესის დაწყების მიზანი?

ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ბიზნესმენის მიზნები და ზოგადად, ბიზნესი მხოლოდ ფულს უკავშირდება. რეალურად კი ქვეყანაში ძალიან ცოტანი არიან ისეთი ადამიანები, ვისაც შეგვიძლია ე.წ. რისკტეიკერები ვუწოდოთ – ანუ ადამიანები, რომლებიც მზად არიან, რისკზე წავიდნენ, ინვესტიციები განახორციელონ და ამით ქვეყნის ეკონომიკა აამუშაონ. ისინი ლიდერები არიან. მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი ქვეყანა დგას ბიზნესმენებზე, რომელთაც შეუძლიათ ამგვარ რისკებზე წასვლა, შეუძლიათ სამუშაო ადგილების შექმნა, შეუძლიათ, საკუთარი ქვეყანა გაალამაზონ და განავითარონ.

ჩვენს ჰოლდინგში დღეს დაახლოებით 4000 ადამიანი მუშაობს. მე სულ მქონდა მიზნად, ნებისმიერ სექტორში გამეკეთებინა ის, რასაც საზღვარგარეთ ვხედავდი და მომწონდა. ძალიან ბევრს ვმოგზაურობდი: ვცხოვრობდი ჩინეთშიც, იტალიაშიც. როცა რაიმე საინტერესოს და ინოვაციურს შევამჩნევდი, ყველა ქვეყანაში სტუმრობისას თუ ცხოვრებისას, ერთადერთ კითხვას ვუსვამდი საკუთარ თავს: „რატომ არ შეგვიძლია

„ჩემთვის მთავარია სწორი საქმეების კეთება და ამოსავალი მხოლოდ ფულზე ფიქრი არ უნდა იყოს“.

ჩვენ ამის გაკეთება? რატომ ვერ შევძლებთ ჩვენ მსგავსის შექმნას?“ ეს ინტერესი და მიზანსწრაფულობა საქმის წარმატების გარანტი იყო: ჩვენ არ ვიგონებთ ველოსიპედს, ჩვენ ვაკვირდებით ამერიკის, იტალიის, სხვა ქვეყნების მაგალითებს და მათ გამოცდილებაზე ვაფუძნებთ ჩვენს საქმეს – მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველაფერი გავაკეთოთ, რაც ქვეყანას და ჩვენ ერთად გვარგებს. მერწმუნეთ, ადამიანს სიცოცხლეში ბევრი რამ არც სჭირდება. დროთა განმავლობაში ხვდები, რომ მთავარია, ისეთი რამ შექმნა, რაც მომავალ თაობებს დარჩებათ, რაც მათ წინსვლაში დაეხმარებათ – სწორედ ეს წარმოადგენს ჩემთვის ბიზნესის წარმოების უმთავრეს ფაქტორს. არა აქვს მნიშვნელობა, სად – აზერბაიჯანში თუ საქართველოში, – ჩემთვის მთავარია სწორი საქმეების კეთება და ამოსავალი მხოლოდ ფულზე ფიქრი არ უნდა იყოს.

საინტერესო იქნება, კონკრეტულად „დირსის“ მაგალითზე რომ განვაზოგადოთ ეს ფილოსოფია...

თვითონ პროექტი „დირსიც“ რომ ავიღოთ, ჩვენ

შეგვეძლო მეტი სახლი აგვეშენებინა და მეტი ფული გვეშოვა, მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანი სულ სხვა რამ იყო. როდესაც ამ მიწის განვითარება გადავწყვიტეთ, ბევრი დაგვცინოდა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში აქ სანაგვე იყო. თუმცა, რადგან მსგავსი რამ საზღვარგარეთ უკვე ნანახი გვქონდა, ვხვდებოდით, რომ ეს ადგილი თბილისში, მტკვრის მახლობლად, ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, აქაურ მოსახლეობას კომფორტი შევუქმნათ. საკუთარი სახსრებით ვაშენებთ ბულვარს, კორტებს. გვინდა, ცხოვრების ახალი სტილი დავნერგოთ. მე ამ ქვეყანაში მხოლოდ ფულის საშოვნელად არ მოვსულვარ – ეს ტყუილია: მე მინდა, საქართველოს განვითარების ამ ახალ საფეხურზე ჩემი წვლილიც შევიტანო.

„დირსი“ ის პროექტია, სადაც ადამიანები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ. აქ არის საბავშვო ბაღი, სუპერმარკეტები, სარბენი და ველობილიკების 20-კილომეტრიანი ზოლი.

ჩვენ გვესმის, რომ ნებისმიერი ადამიანი იღვწის საკუთარი შვილებისთვის და ყველაფერს იზამს იმისთვის, რომ ისინი კომფორტულად ცხოვრობდნენ. „დირსი“ გეუბნებათ, რომ თქვენ ყიდულობთ არა მხოლოდ სახლს ან ბინას, ან ოთხ კედელს – არა, სამყარო შეიცვალა: თქვენ ყიდულობთ კომფორტს, ცხოვრების სტილს, უსაფრთხოებას. ეს გაცილებით უკეთესი შეთავაზებაა. მე ძალიან ვწუხვარ, რომ დღეს უცხოელი მყიდველი უფრო მეტია – ქართველები ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ აღიქვამენ ამ ახალ კონცეფციას, რადგან ამისთვის დროა საჭირო. ახალგაზრდებმა უნდა მიიღონ განათლება, წავიდნენ საზღვარგარეთ, ნახონ იქაური ცხოვრების სტილი, დაბრუნდნენ და თქვან: „დიახ, ეს არის მომავლის პროექტი“.

მართლაც ასეა, რადგან თქვენი და თქვენი შვილების ცხოვრების ხარისხი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია, რომ სუფთა ჰაერზე ხართ, რომ ცენტრს მხოლოდ 5 წუთის გზა გაშორებთ, რომ გაქვთ სარბენი და ველობილიკები, კორტები, მაღაზიები, კაფეები, დაცულები ხართ და ეს მხოლოდ დასაწყისია: ბულვარი, ჯერჯერობით, მხოლოდ 1 კილომეტრია, თუმცა მომავალში ის 4,5 კილომეტრამდე გაგრძელდება.

პროექტის განვითარებისთვის დროა საჭირო. არც ერთი ბიზნესმენი, თუ ის აზროვნებს, როგორც ბიზნესმენი, ასეთ პროექტში არ შედის, რადგან სწრაფ მოგებას ვერ ნახავს – ეს გრძელვადიანი ინვესტიციაა. ის კომპანიები, რომლებიც ამგვარ პროექტებს კიდებენ ხელს, ბუნებრივია, არ ფიქრობენ მხოლოდ ფულზე. ეს არის მომავალი, ეს ზუსტად ისაა, რასაც ადამიანები რამდენიმე წლის შემდეგ დააფასებენ – „დიახ, ეს კომპანია ქმნიდა კეთილდღეობას, სიმყუდროვეს, საუკეთესო გარემოს“. ამას ერთ დღეში ვერ მივაღწევთ, ამიტომ ჩვენ აქ დიდხანს დარჩენას ვაპირებთ. დიახ, შესაძლოა, ახლაც არსებობდეს გარკვეული სკეპტიციზმი, მაგრამ ჩვენ ვიცით, დროა საჭირო, რომ ადამიანებმა ნაბიჯ-ნაბიჯ გაიაზრონ და დააფასონ „დირსის“ კონცეფცია და შინაარსი.

ფულს, რომელსაც აქ ჩავდებთ, ალბათ 10 წლის შემდეგ ამოვიღებთ – ეს იქნება ჩვენი აღიარება. მრავალი ადამიანია, რომელიც მზად არის, თუნდაც მოიტყუოს იმისთვის, რომ ფული სწრაფად იშოვოს. მე ვფიქრობ, რომ ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მთავარი რეპუტაციაა და მჯერა, რომ ჩვენი კომპანიის რეპუტაცია ჩვენზე დადებითად იმუშავებს, რამდენი წელიც უნდა გავიდეს.

რატომ საქართველო? რა კონკურენტული უპირატესობა აღმოაჩნდა ამ ქვეყანას თქვენთვის – გრძელვადიანი ინვესტორისთვის?

როდესაც პროექტის განხორციელებაზე დავიწყეთ ფიქრი, რამდენიმე ქვეყანას განვიხილავდით, მათ შორის – რუსეთს. თუმცა, როცა საქართველოში ჩამოვედი, დავინახე, რომ თქვენი ქვეყანა განვითარების სწორ გზაზე იდგა: ქვეყანას ევროპისკენ ჰქონდა გეზი აღებული. დასაწყისისთვის ჩვენი ინვესტიციების მოცულობა გაცილებით მცირე იყო, ვიდრე დღესაა: ქვეყნის პროგრესმა გვიბიძგა უფრო მეტი ინვესტიციის განხორციელებისკენ – მეტიც, ჩვენ გადავწყვიტეთ, მთელი ფული მხოლოდ საქართველოში დაგვებანდებინა და პროექტები სხვა ქვეყნებში საერთოდ აღარ წამოგვეწყო.

საქართველო ყოველთვის იყო აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორი. ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტი ყოველთვის ამბობდა, რომ რეგიონში საქართველო აზერბაიჯანისთვის ყველაზე კარგი პარტნიორია და რომ აზერბაიჯანის საინვესტიციო ვექტორები ყოველთვის საქართველოსკენ უნდა იყოს მიმართული.

მოლოდინი გამართლდა: საქართველოში ჩვენი პროექტი წარმატებით ხორციელდება. აღსანიშნავია ყველა ხელისუფლების მხარდაჭერა ამ პროექტის მიმართ: მოგეხსენებათ, პროექტის მიმდინარეობისას საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა და მოხარული ვარ, რომ ამჟამინდელი ხელისუფლების მხარდაჭერა კიდევ უფრო დიდია, ვიდრე მისი წინამორბედის.

დღეს ბიზნესგარემო გაცილებით უფრო დემოკრატიული და გამჭვირვალეა, ვიდრე ადრე იყო. ჩვენ გაგვიჩნდა მეტი მოტივაცია, რომ სხვა პროექტებიც დავიწყოთ საქართველოში და ასეც მოხდება: ვგეგმავთ პროექტებს როგორც სამშენებლო, ისე სოფლის მეურნეობის დარგში. პარალელურად, ცხადია, „დირსის“ პროექტს ვავითარებთ. ეს პროექტი სულ რაღაც 8 ჰა-ზე დავიწყეთ, ახლა კი საერთო ჯამში 46 ჰა-ზე

ვმუშაობთ. პროექტი 5 ეტაპად განხორციელდება: ეს იქნება ქალაქი ქალაქში, რომელიც 750 ათას კვ/მ საცხოვრებელ ფართს გააერთიანებს. პროექტი, რომელიც 10 ჰექტარზე გაშენებულ პარკში 25 ათას მოსახლეს მოუყრის თავს, 2028 წლისთვის დასრულდება.

სამომავლო გეგმებისა და ახალი პროექტების შესახებ მეტი დეტალი გვაინტერესებს და ამით დავასრულოთ ჩვენი საუბარი: როგორც გავიგეთ, სოფლის მეურნეობის დარგითაც ინტერესდებით...

აზერბაიჯანში ახლახან გავხსენით აგროპარკი. 15 ჰექტარ მიწაზე გავაშენეთ სასათბურე მეურნეობა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ გარკვეული გამოცდილება დაგვიგროვდა სოფლის მეურნეობის დარგში, ვყიდით პომიდორს და მარწყვს. როგორც ვიცი, მარწყვი საქართველოშიც შემოდის გასაყიდად, ასევე პროდუქციის უდიდესი საექსპორტო წილი რუსეთზე მოდის. ჩვენი დიდი სურვილია და ალბათ ახლო მომავალში უკვე სისრულეში მოვიყვანთ სათბურების პროექტს საქართველოში. მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს და ტერიტორიებს ვეძებთ.

რაც შეეხება „დირსის“ და სამშენებლო სექტორში ჩვენს სხვა გეგმებს „დირსის“ კონტექსტში, ამჟამად მეორე ფაზის განხორციელების ეტაპზე ვართ, რაც 2600 ბინის აშენებას გულისხმობს. „დირსის“ ტერიტორიაზე აშენდება ორი 40–სართულიანი ცათამბჯენი. შემდეგი ფაზა 180 ათასი კვ/მ საცხოვრებელი ფართის დამატებას ისახავს მიზნად. მეოთხე ფაზა, რომლის საინვესტიციო ღირებულებაც მილიარდი დოლარი იქნება – იტალიური სტილის ვილების აშენებას გულისხმობს. „დირსის“ პროექტით სხვა ინვესტორებიც ინტერესდებიან და მათთანაც აქტიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ.

სხვა პროექტების დაწყებაც გვინდა, პოტენციალის შესწავლის ეტაპზე ვართ, თუმცა, ცხადია, ეს პროექტები ისეთი მასშტაბური ვერ იქნება, როგორიც „დირსია“. ჩვენ გვესმის ჩვენი მთავარი პროექტის მნიშვნელობა ამ ქვეყნისთვის: ამ გრძელვადიანი ინვესტიციით ჩვენ საქართველოში ცხოვრების თანამედროვე სტილს ვამკვიდრებთ – ეს არის ახალი სტანდარტი. FW

მსოფლიოს 100 ყველაზე გავლენიანი ქალი

1: ანგელა მერკელი

1

ანგელა მერკელი

გერმანიის კანცლერი

2

ტერეზა მეი

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, გაერთიანებული სამეფო

3

მელინდა გეიტსი

Bill & Melinda Gates Foundation-ის თანადამფუძნებელი, აშშ

4

შერილ სენდბერგი

Facebook-ის მთავარი ოპერაციული ოფიცერი, აშშ

5

მერი ბარა

General Motors-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

6

სიუზან ვოიჩიცკი

YouTube-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

ვინ მართავს მსოფლიოს? ჩვენი პლანეტის 100 ყველაზე გავლენიან ქალბატონთა 2017 წლის რეიტინგში მოხვდნენ ახალი თაობის კერპები, თამამი ინოვატორები, რომელთაც მთლიანად შეცვალეს თამაშის წესები და ახალი სიმაღლეები დაიპყრეს. ჩვენი რეიტინგის წლევანდელ, მე-14 გამოცემაში ნომინირებულ ქალბატონთა ერთი მეოთხედი ახალბედაა. მათ შეაბიჯეს პოლიტიკის, ტექნოლოგიების, ბიზნესის, ფილანთროპიისა და მედიის სამყაროში, რაც ყველასათვის იმედის მომცემი უნდა იყოს.

7

აბიგაილ ჯონსონი

Fidelity Investments-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

8

კრისტინ ლაგარდი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორი, საფრანგეთი

9

ანა პატრიცია ბოტინი

Banco Santander-ის თავმჯდომარე, ესპანეთი

4: შერილ სენდბერგი

10

ჯინი რომეტი

IMB-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

11

ინდრა ნუი

PepsiCo-ს აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

12

მეგ უიტმანი

HP-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

13

ანჯელა არენდტსი

Apple-ის საცალო გაყიდვების უფროსი ვიცე-პრეზიდენტი, აშშ

14

ლორენ პაუელ ჯობსი

Emerson Collective-ის დამფუძნებელი, აშშ

15

ცაი ინგ-ვენი

ტაივანის პრეზიდენტი

12: მეგ უიტმანი

16

მიშელ ბაჩელეტი

ჩილეს პრეზიდენტი

17

ფედერიკა მოგერინი

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში, იტალია

18

საფრა კატცი

Oracle-ის თანადირექტორი, აშშ

19

ივანკა ტრამპი

პრეზიდენტის მრჩეველი, თეთრი სახლი, აშშ

20

ადენა ფრიდმანი

Nasdaq-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

21

ოპრა უინფრი

მედიამაგნატი, აშშ

22

მერილინ ჰიუსონი

Lockheed Martin-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

23

იზაბელ კოჰერი

Engie-ის აღმასრულებელი დირექტორი, საფრანგეთი

24

რუთ ბეიდერ გინსბურგი/ ელენა კაგანი / სონია სოტომეიორი

აშშ-ის უზენაესი სასამართლო

25

რუთ პორატი

კორპორაცია Alphabet-ის მთავარი ფინანსური ოფიცერი, აშშ

21: ოპრა უინფრი

17: ფედერიკა მოგერინი

26

დედოფალი ელისაბედ II

გაერთიანებული სამეფო

27

ანა ვინტური

Condé Nast-ის სამხატვრო დირექტორი, აშშ

28

ჰო ჩინგი

სახელმწიფო საინვესტიციო კომპანია Temasek Holdings-ის აღმასრულებელი დირექტორი, სინგაპური

29

ემა უოლმსლი

ფარმაცევტული კომპანია GlaxoSmithKline-ის აღმასრულებელი დირექტორი, გაერთიანებული სამეფო

30

შეიხა ჰასინა ვაჯედი

ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრი

31

ბეატა მარია შიდლო

პოლონეთის პრემიერ-მინისტრი

32

ჩანდა კოჩარი

ICIC Bank-ის აღმასრულებელი დირექტორი, ინდოეთი

33

აუნ სანსუ ჩი

მიანმარის პრემიერ-მინისტრი

34

ლუსი პენგი

Ant Financial Service-ის ხელმძღვანელი, ჩინეთი

35

პოლიანა ჩუ

Kingston Financial Group-ის აღმასრულებელი დირექტორი ჰონკონგი

36

შეიხა ლუბნა ალ ქასიმი

სახელმწიფო მინისტრი, არაბთა გაერთიანებული საამიროები

37

ეიმი ჰუდი

Microsoft-ის მთავარი ფინანსური ოფიცერი, აშშ

38

ჯაკინდა არდერნი

ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრი

39

კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩი

ხორვატიის პრეზიდენტი

40

ჟან ლუ

DidiChuxing-ის პრეზიდენტი, ჩინეთი

41

ბონი ჰამერი

NBCUniversal Cable-ის პრეზიდენტი, აშშ

42

ნიკოლა სტარჯონი

შოტლანდიის პირველი მინისტრი

43

ნიკი ჰეილი

გაეროში აშშ-ის ელჩი, აშშ

44

როზალინდ ბრუერი

Starbucks-ის მთავარი ოპერაციული ოფიცერი, აშშ

45

ჯინა რაინჰარტი

კომპანია **Hancock Prospecting**-ის აღმასრულებელი დირექტორი, ავსტრალია

46

ერნა სოლბერგი

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი

27: ანა ვინტური

47

სტეისი სნაიდერი

კინოსტუდია **20th Century Fox Films**-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

48

ფებე ნოვაკოვიჩი

კოსმოსური და თავდაცვის მწარმოებელი კორპორაცია **General Dynamics**-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

49

ელვირა ნაბიულინა

რუსეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი– რუსეთი

50

ბიონსე ნოულზი

მომღერალი, აშშ

51

პენგ ლიუანი

ჩინეთის პირველი ლედი

52

მარგარიტა სიმონიანი

ტელეარხ **RT**-ის დირექტორი, რუსეთი

53

მერი კალაჰან ერდოუსი

აქტივების მართვის კომპანია **JPMorgan**-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

54

ჟუ კუნფეი

Lens Technology-ის დამფუძნებელი, ჰონკონგი

55

ტი ფუნგ ტაო ნგუენი

Sovico Holding-ის თანადამფუძნებელი, ვიეტნამი

56

ლიზა დევისი

Siemens-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

57

როშნი ნადარ მალჰოტრა

HCL Technologies-ის აღმასრულებელი დირექტორი, ინდოეთი

58

გიულერ საბაჩი

Sabaci Holding-ის პრეზიდენტი, თურქეთი

59

ლუბნა ს. ოლაიანი

კომპანია **Olayan Financing**-ის აღმასრულებელი დირექტორი, საუდის არაბეთი

60

დანა ვალდენი

Fox Television Group-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

46: ერნა სოლბერგი

65: ჰილარი კლინტონი

61

კეტრინ ვინერი

გამომცემლობა **Guardian**-ის დირექტორი, გაერთიანებული სამეფო

62

ფენგ ინგ ვანგი

Great wall Motor Co.-ის აღმასრულებელი დირექტორი, ჩინეთი

63

დონა ლენგლი

კინოსტუდია **Universal Pictures**-ის პრეზიდენტი, გაერთიანებული სამეფო

63

მარიან ლეიკი

საინვესტიციო ბანკ **JPMorgan Chase**-ის მთავარი ფინანსური ოფიცერი, გაერთიანებული სამეფო

65

ჰილარი კლინტონი

დემოკრატიული პარტიის ყოფილი საპრეზიდენტო კანდიდატი, აშშ

66

მინგჟუ დონგი

კომპანია **GreeElectric Appliances**-ის პრეზიდენტი, ჩინეთი

67

მელანი კრაისი

გადამზიდი კომპანია **Deutsche Post**-ის მთავარი ფინანსური ოფიცერი, გერმანია

68

დალია გრიბაუსკაიტე

ლიტვის პრეზიდენტი

69

პრისცილა ჩანი

„ცუკერბერგ-ჩანის ინიციატივის“ – თანადამფუძნებელი, აშშ

70

გვინეტ შოტველი

კოსმოსური ხომალდებისა და რაკეტების მწარმოებელი ამერიკული კომპანია **SpaceX**-ის მთავარი ოპერაციული ოფიცერი, აშშ

71

კირან მაზუმდარ-შოუ

ბიოფარმაცევტული კომპანია **Biocon**-ის დამფუძნებელი, ინდოეთი

72

ზენი მინტონ ბედოუზი

გამოცემა **The Economist**-ის დირექტორი – გაერთიანებული სამეფო

73: მიუჩა პრადა

73

მიუჩა პრადა

მოდის სახლ **Prada**-ს აღმასრულებელი დირექტორი, იტალია

74

იზაბელ დოს სანტოსი

ბიზნესმაგნატი, ანგოლა

75

სოლინა ჩაუ

ვენჩურული კომპანია **Horizons Ventures**-ის თანადამფუძნებელი, ჰონკონგი

76

ლამ უაი ინგი

Biel Crystal Manufatory-ის პრეზიდენტი, ჰონკონგი

77

კეტლინ კენედი

კინოკომპანია **Lucasfilm**-ის პრეზიდენტი, აშშ

78

კერსტი კალიულაიდი

ესტონეთის პრეზიდენტი

79

არიანა ჰაფინგტონი

ამერიკული გამოცემა **Huffington Post**-ის დამფუძნებელი, აშშ

80

ჯუდი ფოლკნერი

ჯანდაცვის პროგრამული უზრუნველყოფის კორპორაცია **Epic Systems**-ის დამფუძნებელი, აშშ

81

ფაბიოლა ჯანოტი

ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაცია **Cern**-ის გენერალური დირექტორი, იტალია

82

ლინ გუდი

Duke Energy-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

81: ფაბიოლა ჯანოტი

83

გეიშა უილიამსი

PG&E-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

84

მერი მიკერი

Kleiner Perkins Caufield&Byers-ის გენერალური პარტნიორი, აშშ

85

ტეილორ სვიფტი

მომღერალი, აშშ

86

პატრიცია ჰარისი

Bloomberg Philanthropies-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

87

დრიუ გილპინ ფაუსტი

ჰარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, აშშ

88

ჯოან როულინგი

მწერალი, ჰარი პოტერის თემაზე შექმნილი წიგნების სერიის ავტორი, გაერთიანებული სამეფო

89

ელიზა მენინგჰემ-ბულერი

ბიოსამედიცინო კვლევითი საქველმოქმედო ცენტრ **WellcomeTrust**-ის პრეზიდენტი, გაერთიანებული სამეფო

90

რაჯა ეასა ალ გურგი

Easa Saleh Al Gurg Group-ის მმართველი პარტნიორი, არაბთა გაერთიანებული საამიროები

91

დებრა კაფარო

უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდ **Ventas**-ის აღმასრულებელი დირექტორი, აშშ

92

შობჰანა ბჰარტია

HT Media-ს პრეზიდენტი, ინდოეთი

93

ლი ბუ-ჯინი

სასტუმრო **Hotel Shilla**-ს აღმასრულებელი დირექტორი, სამხრეთი კორეა

94

ჯენი ლი

GGV Capital-ის მმართველი პარტნიორი, სინგაპური

95

კირსტენ გრინი

ვენჩურული კომპანია **Forerunner Ventures**-ის დამფუძნებელი, აშშ

96

ბელინდა ჯონსონი

კომპანია **Airbnb**-ის მთავარი ოპერაციული ოფიცერი, აშშ

97

პრიანკა ჩოპრა

მსახიობი, ინდოეთი

98

კეტრილ პეტრალია

ონლაინ საფინანსო ტექნოლოგიების კორპორაცია **Kabbage**-ის თანადამფუძნებელი, აშშ

99

ენ ფინუკანე

ამერიკის ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, აშშ

100

ბეტ ბრუკ-მარჩინიაკი

გლობალური **EY**-ის ვიცე-პრეზიდენტი, აშშ FW

გლობალური ქსელის თბილისელი შვილობილი

ავტორი: სოფო ოგოლაშვილი

ფოტო: ირაკლი გლუიშვილი, დიმიტრი ჩიკვაიძე

ძველ თბილისში, ე.წ. „იტალიური ეზოების“ კვალდაკვალ ნინოშვილის რვა ნომერში ვხვდებით, სადაც საბჭოთა კავშირის დროინდელი ტექსტილის ქარხნისგან ფასადიღა შემორჩა უცვლელი. 2016 წელს, ძველი „ფაბრიკის“ ახალი სიცოცხლის დაწყებასთან ერთად, მულტიფუნქციურ სივრცეში ბინა სხვადასხვა კონცეფციის მატარებელმა კომპანიამ დაიდო, რომელთა შორის ერთ-ერთი პირველი Impact Hub Tbilisi იყო. საერთო სამუშაო სივრცის საერთაშორისო ბრენდი, რომელიც მსოფლიოს ასზე მეტ ქალაქს აერთიანებს, საქართველოში სულ 2 წელია, რაც გამოჩნდა და პოსტსაბჭოთა კედლებში მუშაობის ისეთი პრაქტიკა შემოიტანა, რომელიც ქვეყნისთვის აქამდე უცხო ხილი იყო.

ერთიანი, ნათელი და კომფორტული გარემო, სადაც შეგიძლიათ იმუშაოთ, ცოდნა მიიღოთ და საჭირო კონტაქტები დაამყაროთ – Impact Hub Tbilisi 300 კვ/მ-ზე გადაჭიმულ სივრცეში აერთიანებს განსხვავებული ასაკის, სქესის, კულტურის, ეროვნებისა თუ პროფესიის წარმომადგენლებს, რომელთაც საშუალება ეძლევათ, იმუშაონ ინდივიდუალურად ან გუნდთან ერთად, ჩაერთონ საინტერესო ღონისძიებებში, სასწავლო პროგრამებში, დისკუსიებსა თუ პრეზენტაციებში, აქტუალური და პრობლემატური საკითხების წინ წამოსაწევად.

მსგავსი Co-working სივრცის თბილისში გახსნის იდეა კი სამი ბავშვობის მეგობრის კერძო საუბრის დროს დაიბადა. ქეთი ებანოიძე და ელენე ჟვანია, რომლებიც პატარაობიდანვე ოცნებობდნენ ერთად მუშაობაზე, განსხვავებული პროფესიების არჩევის შემდეგ სხვადასხვა სფეროში მოხვდნენ. თუმცა წლების შემდეგ ბავშვობის სურვილის ახდენა რეალობად ექცათ, როდესაც Impact Hub-ის მესამე თანადამფუძნებელმა, გიორგი ახალკაცმა ლონდონში, მის სახლთან ახლოს არსებულ Impact Hub-ში შეიხედა და იდეა მეგობრებს გაუზიარა. „იმ პერიოდში, ქართულ ბაზარზე შედარებით

ახალი იყო მსგავსი ტიპის ადგილი, სადაც ადამიანები, რომელთაც არა აქვთ რუტინულად განსაზღვრული სამუშაო საათები ოფისში, მუშაობენ დისტანციურად სახლიდან, ან თუნდაც კაფედან, შეძლებდნენ მოსვლას სივრცეში, 24 საათის განმავლობაში ნებისმიერ დროს და იმუშავებდნენ, მიიღებდნენ ცოდნას და ამის პარალელურად საჭირო კონტაქტებს დაამყარებდნენ სხვა ადამიანებთან", – ამბობს ქეთი ებანოიძე, Impact Hub Tbilisi-ის თანადამფუძნებელი.

განსხვავებული კონცეფცია და არასტანდარტული გარემო კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა პროექტზე მუშაობას, რომელიც მეგობრებმა რეკორდულ დროში, 7 თვეში ჩაატიეს. საჭირო იყო მხოლოდ დაფინანსება და სივრცე, რათა იდეა განეხორციელებინათ და სწორედ ამ დროს გამოჩნდა ევროპის ფონდიც, რომელიც დაინტერესდა კონცეფციით, იდეის ავტორებს საჭირო რესურსებით ამოუდგა მხარში და Impact Hub-ის თანადამფუძნებელი გახდა.

დაიწყო უძილო ღამეები: საჭირო იყო სივრცის სწორად შერჩევა, სადაც თბილისის ჰაბი განთავსდებოდა და მეგობრებმაც სწორად მაშინ აღმოაჩინეს, რომ იხსნებოდა „ფაბრიკა". „დღეს და ღამეს ვასწორებდით იმისთვის, რომ, რემონტით დაწყებული, წევრების მოზიდვით დამთავრებული, ყველაფერი მოგვესწრო. ბავშვებთან ერთადაც კი მოვდიოდით შუაღამისას აქ, ყველაფრის გასაკონტროლებლად, რათა შეგვექმნა ოჯახური გარემო, სადაც ყველას შეეძლებოდა მუშაობა. დიდი შრომა ჩავდეთ მთელ ამ პროცესში და თან სწორ დროს, სწორ ადგილას აღმოვჩნდით", – აღნიშნავს ელენე ჟვანია, Impact Hub Tbilisi-ის თანადამფუძნებელი.

ელენე ჟვანია

და მართლაც, სულ მალე იდეა რეალობად იქცა და თბილისის ამ ძველ უბანში გაიხსნა ისეთი სივრცე, სადაც წევრებს სრული თვითმმართველობა აქვთ. რადგან იდეის ავტორებს ძალიან თავისუფალი და უშუალო გარემოს შექმნა სურდათ, სადაც ყველა შეძლებდა საკუთარი ადგილის პოვნას, ოფისიც ოჯახურ სტილში მოაწყვეს. უფასო ჩაი, ყავა, საერთო სასუსნავები, ღია სივრცე, სამუშაოს შესასრულებლად კომფორტული გარემო და, რაც მთავარია, სიჩუმე, სხვას რომ არ შეეშალოს ხელი.

ამასთან შექმნეს 24-საათიანი სამუშაო გრაფიკი, მოქნილი და მრავალფეროვანი საწევროს ტიპები, რაც სრულ თავისუფლებას აძლევს აბონემენტის მქონე პირს, დღის ნებისმიერ მონაკვეთში დაუბრკოლებლად მივიდეს როგორც თბილისის, ისე მსოფლიო მასშტაბით არსებულ ნებისმიერ ჰაბში და იმუშაოს. საწევროს გამოყენება შეუძლიათ როგორც ცალკეულ ადამიანებს, ასევე მცირე კომპანიებს, რომლებისთვისაც ოფისში სხვადასხვა ზომის ოთახია გამოყოფილი. ამის პარალელურად, Impact Hub Tbilisi თავის წევრებს პერიოდულად სთავაზობს

ვორკშოპებს, ლექციებს, შეხვედრებს მათთვის საინტერესო და აქტუალურ თემებზე.

„საერთო სამუშაო სივრცის კონცეფცია მეტ-ნაკლებად უცხო იყო ქართველებისთვის, მაგალითად, ერთ-ერთმა ჩვენმა წევრმა ერთხელ გვითხრა – მამაჩემი მეუბნება, ვერ ვხვდები, დილით ადრე მიდიხარ სამუშაოდ, იღლები, გვიან მოდიხარ და ამაში კიდევ ფულს იხდიო? რაც არ არის გასაკვირი, რადგან ქართველებისთვის ჯერ კიდევ უცხოა ერთიან სივრცეში მუშაობა, თუმცა ეს ყველაფერი დროის ფაქტორია. ჩვენს სტატისტიკასაც რომ გადახედოთ, ნახავთ, რომ თუკი დასაწყისში წევრთა უმეტესობა უცხოელი იყო, ახლა 60%-მდე ქართველები ჭარბობენ“, – აღნიშნავს ქეთი.

ამავე დროს Impact Hub Tbilisi-მა წამოიწყო პროექტი, Social Impact Award-ი, რომელიც ჰაბისგან დამოუკიდებლად ხორციელდება. გზა იდეების გენერირებიდან ბიზნესგეგმამდე – ეს არის ყველაზე მასშტაბური სტუდენტური პროგრამა 30 წლამდე ახალგაზრდებისთვის, სოციალური მეწარმეობის მიმართულებით, რომელსაც 25 ქვეყანა ერთობლივად ახორციელებს. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტების განათლებაზე სოციალური მეწარმეობის დარგში და ახალგაზრდებს სთავაზობს ათთვიან საგანმანათლებლო კურსს თავიანთი იდეების ხორცშესასხმელად. პროგრამა მოიცავს ვორკშოპებს, ფინალისტი გუნდების ორთვიან ინკუბაციასა და Social Impact Award-ის საერთაშორისო სამიტს.

„გასულ წელს ჩვენ განვახორციელეთ პროგრამა Social Impact Award-ი, სადაც გამოვლინდა სამი გამარჯვებული გუნდი – Sign & Sound-ი, Braille Reader-ი და Book AR. სამივე იდეა იყო ძალიან საინტერესო და ეხმაურებდა აქტუალურ სოციალურ პრობლემებსა და მათი გადაჭრის ინოვაციურ გზებს. წელს უკვე გვყავს ძალიან საინტერესო ფინალისტები. გარდა ამისა, Impact Hub-მა მოიპოვა Social Impact Award-ის საერთაშორისო სამიტის ჩატარების ლიცენზია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 25 ქვეყნის გამარჯვებული გუნდები, რაც იმას ნიშნავს, რომ 200-მდე ახალგაზრდა ინოვატორი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ნოემბერში საქართველოს ესტუმრება საკუთარი გამოცდილების გასაზიარებლად“, – აღნიშნავს ელენე.

ქეთი ებანოიძე

„წარმატების ფორმულა? მარტივია! თუ გუნდი შეკრულია, საერთო მიზნები და ხედვები აკავშირებთ და, რაც მთავარია, ერთიმეორის ენა ესმით, მაშინ ყველაფერი შესაძლებელია“...

მათ რომ უსმენ, ხვდები, რომ Impact Hub-ის ასეთი წარმატება არა მარტო იმ სწორად შერჩეულმა იდეამ, ადგილმა თუ დრომ განაპირობა, არამედ სწორად დაკომპლექტებულმა გუნდმა, რომელიც ყველანაირი სტერეოტიპის დასანგრევად არის მზად. FW

8 მარტივი რამ, რასაც განსხვავებულად აკეთებენ ადამიანები, რომლებმაც მიმზიდველი პერსონალური ბრენდების შექმნა შეძლეს

ავტორი: ბრიანა ვისტი

2018 წელს ტერმინმა „პერსონალური ბრენდი“, ცოტა არ იყოს, უარყოფითი რეპუტაცია შეიძინა. არაა გასაკვირი, რომ საკუთარი თავის გასაყიდ პროდუქტად ან კონცეფციად გარდაქმნა საკუთარი თავის „გაყიდვის“ ეპითეტს ჰგავს, მაგრამ დღევანდელი ციფრული კულტურის გათვალისწინებით, გირჩევთ, ამ საკითხს სხვაგვარად შეხედოთ, ან სულ მცირე, გამოიყენოთ ისეთი ტერმინი, რომელიც უკეთ ასახავს მის რეალურ მნიშვნელობას.

რეალობა კი ის გახლავთ, რომ ჩვენ ამჟამად ციფრული ტექნოლოგიებისა და სოციალური მედიის შესაძლებლობების უფსკრულთან ვიმყოფებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ჩვენ გვგონია, რომ ამ ყველაფრის ეპიცენტრში ვართ, მაგრამ რეალურად ჯერ არც კი დაგვიწყია. მარკეტინგის ექსპერტი ბიანკა ბასი ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „თუკი თქვენ ამჟამად ფულს გამოიმუშავებთ, ჩადეთ ეს ფული ისეთ საქმეში, რომელიც ეკონომიკური ვარდნის დროს არ დაიმსხვრევა, ანუ ჩადეთ ინვესტიცია საკუთარ რეპუტაციაში. თქვენი პერსონალური ბრენდი თქვენი რეპუტაციის ამსახველია, რაც ყოველთვის მნიშვნელოვანია. სწორედ ამ მიდგომის წყალობით აკეთებენ წარმატებული ადამიანები ფულს, იმ გამონაკლისით, რომ ადრე მათ ხელი არ მიუწვდებოდათ თანამედროვე ტექნოლოგიებზე და მხოლოდ მითქმა-მოთქმის იმედად იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ პერსონალური ბრენდის ცნება უხსოვარი დროიდან არსებობს, ჩვენ ახლა გაცილებით უკეთესი პლატფორმები გვაქვს, რომლებიც უსასრულოდ ფართო წვდომის საშუალებას გვაძლევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არასდროს ყოფილა საკუთარი თავის, ბიზნესისა თუ პროდუქციის სწორი პრეზენტაცია ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიც დღეს არის. გთავაზობთ რამდენიმე პრინციპს, რომელთა მიხედვითაც მოქმედებენ „კარგად მარკეტირებული“ ადამიანები:

1

ისინი ცდილობენ, იყონ გულწრფელნი

„პერსონალური ბრენდის“ კონცეფცია ჟღერს როგორც საკუთარი თავის კარგად შერჩეული და დამუშავებული ვერსია, რომელიც ყოველთვის ბოლომდე დამაჯერებელი როდია. ბევრი „კარგად მარკეტირებული“ ადამიანი ცდილობს, იყოს ავთენტური, რადგან კარგად აცნობიერებს, რომ სწორედ გულწრფელობა და ავთენტურობა უწყობს ხელს რეალურ კავშირსა და ჩართულობას. არსებობს კიდევ გარდაუვალი გამჭვირვალობის ელემენტი: ადამიანები ინტუიციით



გრძნობენ, თუ რა არის ნამდვილი და რა – ყალბი.

2

ისინი სტაბილურად თანამიმდევრულნი არიან

არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა სიხშირით პოსტავენ, ანახლებენ შინაარსს, როგორ დიზაინს ირჩევენ თავიანთი ვებგვერდებისათვის ან როგორ ფილტრებს იყენებენ სურათებისათვის, მთავარი ის არის, რომ „კარგად მარკეტირებული“ ადამიანები ყოველთვის თანამიმდევრულები და სტაბილურები არიან თავიანთ ქმედებებში. მათი ნებისმიერი პროფილის დანახვისას უმალ მიხვდებით, რომ ეს მათ ეკუთვნით. თქვენ მაშინვე ამოიცნობთ მათ ფოტოებს თქვენს სიახლეების ზონაში. თანამიმდევრულობა არის მნიშვნელოვანი არა მხოლოდ ცნობადობისთვის, არამედ იმიტომ, რომ ზოგადად ადამიანებს მოსწონთ იმის თვალის მიდევნება, რაც ყოველთვის სიამოვნებას ანიჭებთ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც „აკეთო ის, რაც გიყვარს“, აქტუალური ხდება: შეარჩიეთ დიზაინი, ფილტრები და შინაარსი, რაც თავად მოგწონთ და, ბუნებრივია, მისი სხვებისთვის გაზიარება გსურთ. თანამიმდევრულობის გამომუშავება გულწრფელი ინტერესის საფუძველზე ხდება და არა უბრალოდ ნებისყოფით.

3

ისინი გასაგებ ენაზე ურთიერთობენ

ყველა კარგი პერსონალური ბრენდის მქონე ადამიანს აქვს „თეგლაინი“, რომელიც მოკლედ და მკაფიოდ აღწერს, თუ



ვინ არის ის, რას აკეთებს და როგორ შეიძლება მასთან დაკავშირება. ეს საკუთარი თავის შესახებ მოკლე სარეკლამო მიმართვას და სავიზიტო ბარათს ჰგავს, რომელსაც ხალხში ავრცელებთ. გარდა ამისა, გასაგებ ენაზე კომუნიკაცია ეფექტიანი კომუნიკაციის ტოლფასია. ამიტომ ყოველთვის, როდესაც „კარგად მარკეტირებული" ადამიანები აზიარებენ საკუთარი თავის ან საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, ისინი ამას შეძლებისდაგვარად პირდაპირ და გასაგები ენით აკეთებენ.

4

ისინი ყოველთვის პასუხობენ თავიანთ მიმდევრებს

მნიშვნელოვანია საკუთარ მიმდევრებს მოეპყროთ ისე, როგორც ადამიანებს ეპყრობით პირადი კონტაქტისას, რადგან მაშინაც კი, როდესაც თქვენ პირდაპირი კომუნიკაცია არა გაქვთ, ტვიტერსა და ინსტაგრამზე მათ მიერ დატოვებულ კომენტარებზე პასუხი თქვენ უფრო ჰუმანურს, ხოლო თქვენს გვერდს უფრო პერსონალიზებულს ხდის. ასეთი მიდგომის შედეგად ადამიანები გრძნობენ, რომ თქვენ კონკრეტულად მათ ესაუბრებით. ალბათ შეამჩნევდით, რომ Yelp-ის მსგავს საიტებზე, ბევრ კომპანიას ჰყავს თანამშრომლები, რომლებიც პასუხობენ უარყოფით გამოხმაურებებს და მათ ავტორებს დამატებით ინფორმაციას სთხოვენ, რაც კომპანიას თავისი საქმიანობის ან მომსახურების გაუმჯობესებაში დაეხმარება. ამ სახის პროაქტიური რეაგირება თქვენ საშუალებას მოგცემთ, თავად აკონტროლოთ მიმდევართა მიერ გამოქვეყნებული ნარატივი.

5

ისინი აქცენტს საზოგადოებაზე და ამ საზოგადოების წევრებთან კავშირის დამყარებაზე აკეთებენ

ძლიერი ადამიანები საკუთარი საქმიანობის გარშემო ახერხებენ საზოგადოების შეკრებას. სწორედ ასე ახერხებენ მუსიკოსები თავიანთი ფანების, ხოლო ფინანსური გურუები მიმდევრების მასობრივ შეკრებას. ისინი სულაც არ ცდილობენ, მოგყიდონ თავიანთი პროდუქტი, არამედ ძალისხმევას არ იშურებენ, რომ დაგაკავშირონ თქვენი „ტომის" სხვა წარმომადგენლებთან. როდესაც სხვისი საქმიანობა საკუთარი იდენტობის ნაწილი ხდება (როგორც ამას ბევრი ფანი აკეთებს და საკუთარ თავს კერპის მეტსახელით მოიხსენიებს), ეს უკვე რადიკალური მარკეტინგის ინიციატივად იქცევა. თქვენ ამას ბუნებრივად ყიდით, რადგან გულწრფელად გწამთ მისი.

6

ისინი გეგმის მიხედვით აქვეყნებენ პოსტებს

არარეალურია იმის ფიქრი, რომ შეძლებთ თქვენი ყოველდღიური ვალდებულებების პარალელურად, ყოველ დილას და ნაშუადღევს ერთსა და იმავე

დროს გაიხსენოთ ტვიტერზე პოსტის გამოქვეყნების მიზანშეწონილობა. სპონტანური, „როცა მოგეხერხება“ პოსტების დაწერას, სჯობს, ერთი დღე დაუთმოთ იმას, რომ წინასწარ დაგეგმოთ მთელი კვირის ან თვის პოსტები. არსებობს ბევრი აპლიკაცია და პლატფორმა, რომლებიც საშუალებას გაძლევთ, ერთდროულად სხვადასხვა რამ დაგეგმოთ. როგორც სხვა დანარჩენ შემთხვევებში, აქაც მნიშვნელოვანია, რომ თქვენს კომუნიკაციას თქვენი ხმა დაერთოს, რათა რობოტის შთაბეჭდილება არ შეიქმნას.

7

ისინი ჩართულობის ხელშემწყობ სხვადასხვა შესაძლებლობას ქმნიან

ეცადეთ, სოციალური მედიის თქვენს ყველა გვერდზე იყოს ლინკი, რომელიც თქვენთან სხვადასხვა ფორმით კონტაქტის საშუალებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ადამიანი პირადი ელექტრონული მისამართის ონლაინ განთავსებას თავს არიდებს, თქვენ შეგიძლიათ საკუთარ ვებგვერდზე შექმნათ საკონტაქტო ფორმა, ან, სულ მცირე, მიუთითოთ თქვენს მიმდევრებს, რომ თქვენი საქმიანობა ყოველთვის დაკავშირებულია სოციალური მედიის ანგარიშებთან, სადაც ეს ყველაფერია ჩამოთვლილი. ასევე შეგიძლიათ თქვენს გვერდზე დაამატოთ „გაწევრიანების“ ოფცია, რომელიც ადამიანებს საფოსტო სიაში გაწევრიანების საშუალებას მისცემს. იმისათვის, რომ უბრალო მნახველი გახდეს თქვენი მიმდევარი, ხოლო მიმდევარი თქვენს თაყვანისმცემელთა კლუბს შეუერთდეს, აუცილებელია, მისცეთ მას საშუალება, თვალი ადევნოს, გააზიაროს და მიიღოს ინფორმაცია თქვენი საქმიანობის შესახებ.

8

მათ არ ეშინიათ გამოჩენის

მიზეზი, რის გამოც ადამიანები ხშირად თავს არიდებენ პერსონალური ბრენდის შექმნას არის ის, რომ მათ „გამოჩენა“ არ სურთ. ამაში ახალი არაფერია და თუკი თქვენ ამგვარ მოწყვლადობას მიჩვეული არ ხართ, ეს ნამდვილად შიშის მომგვრელი გამოცდილებაა. „კარგად მარკეტირებულმა“ ადამიანებმა იციან, რომ საკუთარი თავისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას მხოლოდ სარგებელი მოაქვს, მაშინაც კი, როდესაც თავად პროცესს ზოგიერთი უსიამოვნო მომენტი ახლავს თან. თქვენი ოცნებებისა და მიზნების მიღწევისთვის აუცილებელია საკუთარი თავის წარმოჩენა. თქვენი თავდაჯერებულობა მატულობს, როდესაც ხედავთ, თუ რამდენი მიმდევარი და მხარდამჭერი გყავთ და ამავდროულად ახშობს იმ გამაღიზიანებელ ხმას, რომელიც ცდილობს დაგარწმუნოთ, რომ უმჯობესია, ნაკლებად ამბიციური იყოთ. FW

თქვენ უკვე ყველაფერი იცით, რისი ცოდნაც გჭირდებათ, ამიტომ საქმეს შეუდექით!

ავტორი: ტამი ფორმანი

სწავლასა და მომზადების რეჟიმში ყოფნაზე ზოგიერთი ჩვენგანი ძალიან დიდ დროს ხარჯავს. დროა უკვე, საქმეს შეუდგეთ!

ბოლოტა ხნის წინ Breaking Into Startups Podcast-ის პლატფორმისათვის ინტერვიუ ჩავწერე, ხოლო ეპიზოდის ბოლოს მთხოვეს, რჩევა მიმეცა დედებისათვის, რომლებიც კარიერის ხელახლა დაწყებას გეგმავენ. მე მათ ვუთხარი: „თქვენ უკვე ყველაფერი იცით, რისი ცოდნაც გჭირდებათ, ამიტომ უბრალოდ საქმეს შეუდექით!“

ჩემი რჩევა ეფუძნებოდა ბოლო ორი წლის მანძილზე იმ ქალბატონებზე დაკვირვებას, რომლებიც დეკრეტული შვებულების შემდეგ ყოყმანობდნენ კარიერის გაგრძელებას. ერთი მხრივ, მიზეზი არის ის, რომ მათ სამსახურში დაბრუნების პერსპექტივა აშინებთ, ხოლო მეორე მხრივ, მათ აქვთ ბუნდოვანი შეგრძნება იმისა, თითქოს „ჯერ ამისათვის მზად არ არიან“. ეს „მზადყოფნა“ ყოველთვის ოჯახთან დაკავშირებული როდია – მე იმ ქალბატონებთანაც მისაუბრია, ვინც წლებია უკვე, მზად არის სამსახურში დასაბრუნებლად. ხშირ შემთხვევაში მათ აქვთ შეგრძნება, რომ კარიერის გასაგრძელებლად „რაღაც“ სჭირდებათ – ახალი უნარ-ჩვევები, ამ უნარ-ჩვევების წარმოჩენა და ამჟამინდელი სამუშაო ბაზრის უკეთესი ცოდნა.

პრობლემა ის გახლავთ, რომ ბევრ „ანალიზს“ შეიძლება მოჰყვეს „პარალიზი“, ამ დროს თქვენ ექცევით სწავლის, ფიქრისა და დაგეგმვის მარყუჟში და რეალურად არაფერს მოიმოქმედებთ. მე მომსწრე ვარ ბევრი ამგვარი კარიერის ხელახლა დაწყებისა და მინდა აღვნიშნო, რომ ზუსტად იმავეს განიცდიან ქალები ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მამაკაცები ხშირად იჩენენ ახალი სამსახურის ან დაწინაურების ინიციატივას და ვარაუდობენ, რომ საქმის პროცესში გაიგებენ ყველაფერს, რისი ცოდნაც სჭირდებათ. ქალები კი პირიქით, ელოდებიან იმ მომენტს, როდესაც ასეთი ნაბიჯისათვის ბოლომდე მომზადებულად იგრძნობენ თავს. არა აქვს მნიშვნელობა, ქალი ხართ თუ მამაკაცი, თუკი თქვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადასადგმელად ელოდებით, „საკმარისი ცოდნა“ როდის გექნებათ, გთავაზობთ სამ რჩევას, რომლებიც ამ ნაბიჯის უფრო ადვილად გადადგმაში დაგეხმარებათ.

გეყოთ კომპიუტერის უკან ამოფარება. ინტერნეტი სამსახურის მაძიებლებისათვის ნამდვილი ღვთის საჩუქარია, განსაკუთრებით იმ დედებისათვის, რომლებიც მცირეწლოვანი შვილების გამო სახლს არიან მიჯაჭვული. მაგრამ ონლაინ ხანგრძლივი დროის გატარებით თქვენ შეიძლება დიდი დრო დახარჯოთ მომზადებაში და რეალურად არაფერი მოიმოქმედოთ. ის, რასაც თქვენ ონლაინრეჟიმში მოიმოქმედებთ, ყოველთვის ეფექტიანი როდია, მაგალითად, – დასაქმების საიტზე განცხადების განთავსება. ნაცვლად ამისა, შეეცადეთ, სტრატეგიულად გამოიყენოთ ონლაინ დახარჯული დრო და იპოვოთ რაიმე ხერხი, რომელიც სახლიდან გაღწევაში დაგეხმარებათ. მოიძიეთ ისეთი ღონისძიებები, სადაც „ნეტვორკინგის“, ანუ სხვა პროფესიონალებთან ურთიერთობის შესაძლებლობა გექნებათ და ასევე ჩაეწერეთ კურსებზე, სადაც არა ინტერნეტით, არამედ ფიზიკურად მოგიწევთ სიარული (რაც სწავლის პარალელურად „ნეტვორკინგის“ დამატებით საშუალებას მოგცემთ). ამჟამინდელ და ყოფილ კოლეგებთან სადილის დასაგეგმად გამოიყენეთ თქვენი ელექტრონული ფოსტა და LinkedIn-ის პლატფორმა.

ისწავლეთ, როგორ გაარჩიოთ ერთმანეთისაგან კეთილმოსურნეთა და არაკეთილმოსურნეთა რჩევები. ძალიან კარგია ხალხთან ურთიერთობა და მათი რჩევების მოსმენა, მაგრამ ასეთ დროს აუცილებლად გაითვალისწინეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი. პირველ რიგში, ჩამოყალიბდით, რისი მიღება გსურთ ამ ურთიერთობისაგან. როდესაც თქვენ მკაფიო წარმოდგენა გაქვთ იმის შესახებ, თუ რა დაგეხმარებათ ამ კარიერული ნაბიჯის გადადგმაში და ამავდროულად იღბლიანი შანსისთვისაც იტოვებთ ადგილს, თქვენი თანამოსაუბრე უფრო ფოკუსირებულია თქვენთვის სასარგებლო ინფორმაციაზე და ნაკლებად გიზიარებთ გაცვეთილ კლიშეებსა და ზოგად ინფორმაციას. სწორედ ასე ვიქცევით ჩვენ ხშირად, როდესაც არ ვიცით ზუსტად, როგორ დავეხმაროთ სხვა ადამიანს. გააზრებულად და სიფრთხილით შეარჩიეთ ის რჩევები, რომელთა გათვალისწინებასაც აპირებთ. როდესაც ერთი ადამიანი გეუბნებათ, რომ შეუძლებელია კონკრეტული უნარ-ჩვევების გარეშე სამუშაოს პოვნა, მიუდექით ამას ცოტათი სკეპტიკურად, ხოლო თუკი ხუთი ადამიანი მოგცემთ იმავე რჩევას, მაშინ ეს რჩევა გასათვალისწინებელია.

ფიქრსა თუ დაგეგმვაზე დახარჯულ ყოველ ერთ საათზე, გამოყავით ერთი საათი რეალური საქმის კეთებისათვის. დიდი ნაბიჯის გადადგმა ნამდვილად საჭიროებს ფიქრსა და დაგეგმვას, მაგრამ ამავდროულად აუცილებელია ბალანსის პოვნა ფიქრსა და საქმის კეთებას შორის. შეხედეთ ამას, როგორც „ფიდბეკს“ (მომხმარებლის გამოხმაურებას) – იფიქრეთ და დაგეგმეთ. შეეცადეთ, მიიღოთ მეტი ინფორმაცია, რაც დაგეგმვაში დაგეხმარებათ. ეცადეთ, რომ თქვენი ძირითადი საქმიანობები დაყოთ ამოცანებად: „გააზრების“ ნაწილი (კურსებზე სიარული, კვლევის წარმოება) და „საქმის კეთების“ ნაწილი (ღონისძიებებზე დასწრება, გასაუბრებებზე სიარული, თქვენს მენეჯერთან ან მენტორთან კარიერული ბილიკების განხილვა). როგორ უნდა გაარჩიოთ ერთმანეთისაგენ ფიქრი და რეალურად საქმის კეთება? ზოგადად ნებისმიერი დიდი ნაბიჯის გადადგმის შესახებ ფიქრისას თქვენ კომფორტულ ზონაში რჩებით, ხოლო როდესაც რეალურად მოიმოქმედებთ რამეს, უკვე იძულებული ხდებით, გამოხვიდეთ ამ კომფორტის ზონიდან. თუკი თქვენ თავს არაკომფორტულად არ გრძნობთ, ესე იგი „ფიქრის“ რეჟიმში ხართ გაჩერებული. უბრალოდ იმოქმედეთ, გადადგით ნაბიჯი და შესაძლოა, თავადაც გაკვირვებული დარჩეთ იმით, რასაც ისწავლით და სადაც აღმოჩნდებით. FW

SHUTTERSTOCK

წარმატებასთან დაკავშირებული 11 შემაფერხებელი წარმოდგენა

ავტორი: ბრიანა ვისტი

წარმატებასთან დაკავშირებით არაერთი ფართოდ გავრცელებული მოსაზრება არსებობს, რაც კარგ ანალიზსა და შეფასებას საჭიროებს.

უამრავი ადამიანის მამოძრავებელ ძალას ყოველდღე იმ საქმის კეთება წარმოადგენს, „რომელიც მათ უყვართ“ და ამასობაში ისინი ვერც კი ხვდებიან, თუ რამხელა ძალისხმევას მოითხოვს ეს საქმე მიუხედავად მათი ამ საქმისადმი დამოკიდებულებისა. ზოგიერთი მხოლოდ ფართო ხედით უყურებს საბოლოო სურათს და ნაკლებად ფიქრობს მიზნის მისაღწევად საჭირო ეტაპებზე, ან სულაც მიაჩნია, რომ რაც უფრო შემდგარია ადამიანი, მით უფრო მოსწონთ ის სხვებს.

ფაქტია, რომ ჩვენ უამრავი ქვეცნობიერი მოლოდინი გვაქვს წარმატებასთან დაკავშირებით და რაც უფრო სწრაფად გავთავისუფლდებით მისგან, მით უფრო ნაკლები შემაფერხებელი ფაქტორი შეგვხვდება წინსვლის დროს. გთავაზობთ იმ ძირითად ქვეცნობიერ მოლოდინთა ჩამონათვალს, რომლებიც აფერხებს თქვენს წინსვლას და ხელს გიშლით წარმატების მიღწევაში:

1. თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენი წარმატებულობა ავტომატურად გამოიწვევს გარშემომყოფების მხრიდან თქვენდამი სიმპათიას.

რეალობა, რომელსაც წარმატების გარკვეული ხარისხის მიღწევისას აწყდ-

სულაც არ გჭირდებათ საკუთარი თავის დაცვა ყველასთან, ვინც თქვენს აზრს არ იზიარებს. არ არის აუცილებელი, რაიმე მოიმოქმედოთ ყოველთვის, როდესაც არასასიამოვნო გრძნობა გეუფლებათ.

ებით, არის ის, რომ თქვენი წარმატების გამო სხვებს სიმპათიის ნაცვლად სრულიად საპირისპირო გრძნობები უჩნდება თქვენ მიმართ. ადამიანები ყოველთვის ცდილობენ ნაკლის პოვნას მათში, ვინც წარმატებას მიაღწია. მიუხედავად საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებისა, წარმატების მიღწევა სულაც არ ნიშნავს ხალხის კეთილგანწყობის მოპოვებას. ერთადერთი, რასაც წარმატება გარანტირებულად მოგიტანთ, არის ის, რომ თავს უფრო ბედნიერად იგრძნობთ და ნაკლებად დაინტერესდებით სხვების აზრით.

2. თქვენ ფიქრობთ, რომ „იმის კეთება, რაც გიყვართ" იგივეა, რაც „გიყვარდეთ, რასაც აკეთებთ" ყოველდღიურად.

ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის გამორჩენილი ფართოდ გავრცელებულ შეხედულებაში, რომ უნდა „მიჰყვე შენს ჭეშმარიტ გატაცებას": გატაცებას, როგორც წესი, წარმატება არ მოაქვს. წარმატება მოაქვს პრინციპებსა და ჩვევებს. ისინიც კი, ვინც საყვარელ საქმეს აკეთებს, ხშირად გადაღლილი და ძალაგამოცლილია. სინამდვილეში, ხშირად იმისაგან უფრო იღლებით, რაშიც დიდ ემოციურ ინვესტიციას დებთ. საყვარელი საქმის კეთება სულაც არ არის იოლი ცხოვრების გასაღები, უბრალოდ ამ დროს თავს უფრო რეალიზებულად გრძნობთ.

3. როდესაც აქცენტს მიღწეულის აღიარებაზე აკეთებთ და არა შედეგზე.

ადამიანთა უმეტესობას მიაჩნია, რომ წარმატება არის ჯილდო და არა მიღწეული შედეგი ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ძირითადად ყურადღებას აქცევენ დიდი ჯილდოს მოპოვებას და მედიის ან კიდევ რაიმე სხვა სახის აღიარებას. სინამდვილეში კი მთავარი – თქვენი ყოველდღიური მიღწევების ხარისხი და ზომაა. აღიარება და ქება-დიდება ამის თანამდევია, მაგრამ ეს თქვენს ცხოვრებას არ შეცვლის.

4. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ყველაფერზე, რაც გაწუხებთ, რეაგირება უნდა მოახდინოთ.

სულაც არ გჭირდებათ საკუთარი თავის დაცვა ყველასთან, ვინც თქვენს აზრს არ იზიარებს. არ არის აუცილებელი, რაიმე მოიმოქმედოთ ყოვე-

ლთვის, როდესაც არასასიამოვნო გრძნობა გეუფლებათ. ასეთ დროს თქვენ პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოთ, თუ რას მოიგებთ ან, პირიქით, წააგებთ რეაგირების შემთხვევაში. ეცადეთ, ამ საკითხს ასე მიუდგეთ: გაარკვიეთ, რისი დაცვაა თქვენთვის პრიორიტეტული სულიერი სიმშვიდის შესანარჩუნებლად. დიდი დოზით ისეთ ადამიანებთან ურთიერთობა, რომელთაც მხოლოდ თქვენი კრიტიკა სურთ, არაფრის მომტანი იქნება.

5. წინსვლაზე მეტად თქვენ სრულყოფილებისაკენ ისწრაფვით

ნაცვლად იმისა, რომ შეაფასოთ, თუ რას მიაღწიეთ ყოველ კონკრეტულ დღეს, ეცადეთ, მეტი ყურადღება მიაქციოთ იმას, თუ ზოგადად რა მიმართულებებით გაქვთ წინსვლა. ამგვარი მიდგომა საშუალებას მოგცემთ, სათანადოდ დააფასოთ საკუთარი მიღწევები და ამავდროულად დასვენებაზე, საკუთარ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე დახარჯული დრო ფუჭად არ მოგეჩვენოთ, რადგან ესეც თქვენი წარმატების განუყოფელი ნაწილია.

6. დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ ვადებს, რომელთაც თავად უწესებთ საკუთარ თავს.

გამოთქმა იმის შესახებ, რომ მარცხს მაშინ განიცდით, როდესაც ფარ-ხმალს ყრით და წინსვლას აღარ ცდილობთ, სრული ჭეშმარიტებაა. ადამიანების უმეტესობა ვერ ახერხებს ამის პრაქტიკაში განხორციელებას, რადგან საკუთარი მიზნების შესრულებისათვის არარეალურ ვადებს აწესებს. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, აიღოთ ვალდებულება, რომ რაღაცას მიაღწევთ დროის გარკვეულ მონაკვეთში, მაგრამ მთავარია, თქვენ ამ დასახული მიზნის ერთგული დარჩეთ მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დრო დაგჭირდებათ მის მისაღწევად.

7. თქვენ დღევანდელი დღით ცხოვრობთ და ნაკლებად ფიქრობთ შედეგებზე.

„მოცემული მომენტით“ ცხოვრება, ანუ პირდაპირი მნიშვნელობით ნებისმიერ დროს იმის კეთება, რასაც გული გკარნახობთ, ძალზე არაჯანსაღი ცხოვრების სტილს უყრის საფუძველს. ნაცვლად იმისა, რომ დღევანდელი დღით იცხოვროთ, შეეცადეთ იფიქროთ იმაზე, როგორ გსურთ სხვებს დაამახსოვროთ თავი. ეს თქვენ არა მხოლოდ იმის განსაზღვრაში დაგეხმარებათ, თუ რა არის თქვენთვის კარგი დღეს, არამედ რა იქნება კარგი სამომავლოდაც.

8. თქვენ ეყრდნობით საკუთარ ნებისყოფას.

ყოველდღე თქვენ შეზღუდული რაოდენობის ენერგია და ამავე რაოდენობის დრო გაქვთ. ალბათ უკვე გააცნობიერეთ, რომ ულევი ნებისყოფის გამომუშავება სრულიად ფუჭი მცდელობაა. ამიტომ უმჯობესი იქნება, თუკი გაითავისებთ, რომ ყოველდღე განსაზღვრული რაოდენობის დრო და გონებრივი შესაძლებლობები გაქვთ და შესაბამისად გადაანაწილებთ თქვენს პრიორიტეტებს.

9. თქვენ ფიქრობთ, რომ წარმატება შეგცვლით.

თუკი ფიქრობთ, რომ დიდი წარმატება ძირეულად შეგცვლით პიროვნულად, ძალიან ცდებით. წარმატება მხოლოდ ფარდას ახდის თქვენს ნამდვილ "მეს" და არც ერთ შემთხვევაში არ შექმნის თქვენს პიროვნებას. ახლავე დაიწყეთ მუშაობა საკუთარ თავზე იმისათვის, რომ წარმატების მიღწევის მომენტისათვის იყოთ სწორედ ის პიროვნება, ვინც სინამდვილეში გსურთ, რომ იყოთ.

თუკი ფიქრობთ, რომ დიდი წარმატება ძირეულად შეგცვლით პიროვნულად, ძალიან ცდებით. წარმატება მხოლოდ ფარდას ახდის თქვენს ნამდვილ „მეს“ და არც ერთ შემთხვევაში არ შექმნის თქვენს პიროვნებას.

10. მიგაჩნიათ, რომ თქვენი

SHUTTERSTOCK



გრძნობები ნათლად გადმოსცემს თქვენს წარმატებებსა თუ წარუმატებლობებს.

ზოგჯერ თავს ყველაზე არაკომფორტულად სწორედ მაშინ ვგრძნობთ, როდესაც დიდი ცვლილებების ზღვარზე ვართ. ზოგჯერ საკუთარი კომფორტის ზონიდან გამოსვლისას ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს ეს ყველაზე საშინელი რამაა, რაც შეიძლება დაგვემართოს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაბიჯის წყალობით ჩვენ წინაშე უამრავი პოტენციური შესაძლებლობა იხსნება. საკუთარი თავის რწმენა ზოგჯერ ნიშნავს იმას, რომ ის, რასაც თქვენ მოსალოდნელი ცვლილებების გააზრების დროს განიცდით, განგაშისა და შეშფოთების მიზეზი სულაც არაა. არ მისცეთ ნება ამ ემოციებს, მართონ თქვენი ქმედებები, ვიდრე მათ სათანადოდ არ გადაამოწმებთ.

11. ცდილობთ, ბედს მიენდოთ.

არცთუ იშვიათად, ნაცვლად იმისა, რომ იმოქმედოთ და ნახოთ, თავად რისი გაკეთება შეგიძლიათ, თქვენ უმოქმედობის რეჟიმზე გადადიხართ და მოვლენების განვითარებას პასიურად ელოდებით. ეგზისტენციალური დისკუსია იქით იყოს და იმის მოლოდინში ყოფნა, თუ როდის გაიგებთ „რა მისიით მოევლინეთ ამ სამყაროს“ არის კომფორტული ილუზია, რომელიც, ცხადია, რეალობისგან შორსაა. არსებობს მხოლოდ ის, რასაც თქვენ გადაწყვეტთ, რომ აკეთოთ და რასაც აღმოაჩენთ საკუთარი თავის შესახებ ამ პროცესში. FW

ამერიკის ახალი „სილამაზის ინდუსტრიის“ მილიარდერი, რომელმაც ქალების წარბებზე ორიენტირებული იმპერია შექმნა

ავტორი: მადელინ ბერგი

დეკორატიული კოსმეტიკის კომპანიის, Anastasia Beverly Hills-ის დამფუძნებელმა ანასტასია სოარმა კარიერა უძველესი ბერძნებისა და ლეონარდო და ვინჩის „ოქროს კვეთის“ გამოყენებით შეიქმნა. ამ სილამაზის ფორმულის წყალობით, რომელსაც ანასტასია თავისი კლიენტების წარბების გალამაზებისას იყენებს, ის ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ სელფ-მეიდ ბიზნესქალბატონად იქცა.

Anastasia Beverly Hills-ი დიდი ხანია, რაც ცნობილი ადამიანების ფავორიტი და ერთ-ერთი პირველი კომპანიაა სილამაზის ინდუსტრიაში, რომელმაც სოციალური მედია საკუთარი ბრენდის სტრატეგიად გამოიყენა. ჟურნალ WWD-ის მონაცემებით, კომპანიის წლიური შემოსავალი დაახლოებით $340 მილიონია, ხოლო Pitchbook-ის მონაცემებით Anastasia Beverly Hills-ის დაუბეგრავი საოპერაციო შემოსავალი $200 მილიონს შეადგენს.

Anastasia Beverly Hills-ის პოპულარობამ სილამაზის ინდუსტრიის როგორც მსხვილი კომპანიების, ასევე კერძო საინვესტიციო ფირმების დიდი ინტერესი გამოიწვია, რომლებმაც სოარის სრულყოფილი წარბების საიდუმლოს გაზიარება მოინდომეს. თებერვალში ხმა გავარდა, რომ ანასტასია სოარი მოლაპარაკებებს აწარმოებს თავისი ბიზნესის ნაწილის ან მთლიანად ბიზნესის გაყიდვასთან დაკავშირებით. ოთხშაბათს კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ TPG Capital-მა თითქმის მიაღწია შეთანხმებას კომპანიის ნაწილის ყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული ინფორმაცია ჟურნალ Forbes-ს ერთ-ერთმა წყარომაც დაუდასტურა, მაგრამ TPG Capital-ი ინვესტიციის ღირებულებასთან დაკავშირებით

კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს. CNBC-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, TPG-ი, კოსმეტიკურ კომპანიას, სავარაუდოდ, $3 მილიარდად აფასებს.

ახლა ძალიან ხელსაყრელი დროა სილამაზის ინდუსტრიაში სამოღვაწეოდ. მცირე სილამაზის ბრენდების შემოსავალი მილიარდიან ნიშნულს აღწევს. 2016 წელს L'Oréal-მა რვა წლის განმავლობაში თავისი ყველაზე მსხვილი შენაძენი განახორციელა და $1.2 მილიარდად იყიდა კოსმეტიკის კომპანია IT, რაც 6.6-ჯერ აღემატებოდა კომპანიის გაყიდვებს. ამ გარიგების წყალობით, IT-ის დამფუძნებლის, ჯეიმი კერნ ლიმას ქონება, რომელიც კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე დარჩა, ამჟამად $410 მილიონად არის შეფასებული. იმავე წელს ცნობილმა ბრენდმა Estée Lauder-მა დაახლოებით $1.45 მილიარდი გადაიხადა დეკორატიული კოსმეტიკის ბრენდის, Too Faced-ის შესაძენად მაშინ, როდესაც ეს თანხა კომპანიის გაყიდვებზე 5.5-ჯერ ნაკლები იყო.

„დიდი ხნის დამკვიდრებული ბრენდების ორგანული ზრდა ასე თავისით არ ხდება", – განაცხადა შარშან ჟურნალ Forbes-თან ინტერვიუში გლობალური საკონსულტაციო კომპანიის, A.T. Kearney-ის პარტნიორმა. მისივე თქმით, „სილამაზის ინდუსტრიის კონგლომერატები ვერ დარჩებიან ამ 'შეძენების' თამაშს გარეთ, თუკი მათ წარმატების მიღწევა სურთ".

მაშინ როდესაც კერძო სილამაზის კომპანიებში მათ შემოსავალზე ექვსჯერ მეტ თანხას იხდიან, სწრაფად მზარდი კომპანიის, Anastasia Beverly Hills-ის ღირებულება სულ ცოტა $1.5 მილიარდს შეადგენს. არც პოტენციური ინვესტორი და არც თავად კომპანია Anastasia Beverly Hills-ი არ აკეთებს კომენტარს კომპანიის გაყიდვასთან ან მის ღირებულებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება კომპანიის მფლობელს, 2016 წელს გამართულ კონფერენციაზე, ანასტასია სორამა განაცხადა, რომ იგი თავისი დაფუძნებული კომპანიის 100%-იანი მფლობელია.

რუმინეთში დაბადებული სორარი 1989 წელს საცხოვრებლად ლოს-ანჯელესში გადავიდა. 32 წლის მარტოხელა დედამ, რომელიც არ ფლობდა ინგლისურს და ბანკში საკრედიტო ბარათსაც ვერ იღებდა, ხოლო განათლება ხელოვნებასა და არქიტექტურაში ჰქონდა მიღებული, სილამაზის სალონში დაიწყო მუშაობა. მან ადრევე შეამჩნია, რომ ამერიკელი ქალები დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ თავიანთ წარბებს.

მან სილამაზის სალონის კლიენტებს წარბები თავისი „ოქროს კვეთის" ფორმულით გაულამაზა. „ოქროს კვეთის" მეთოდს, რომელიც სორამა დააპატენტა, საფუძვლად უდევს მათემატიკური შეფარდება: 1.618 – 1.0-ზე, რაც წარბის „სრულყოფილ ტეხილს" ქმნის და უზრუნველყოფს სახის ნაკვთების სიმეტრიასა და პროპორციას – ყოველ შემთხვევაში, ასე წერია კომპანიის ვებგვერდზე.

სულ რამდენიმე წელიწადში ანასტასია სორარის მიმდევართა შორის ისეთი სუპერმოდელები იყვნენ, როგორიცაა სინდი კროუფორდი, ნაომი კემპბელი და სტეფანი სეიმური. 1992 წელს სორამა ბევერლი-ჰილზში პატარა ფართი იქირავა, სადაც კლიენტებს წარბების კორექციას, ბიოპილაციასა და სახის წმენდის სერვისებს სთავაზობდა. ხუთი წლის შემდეგ მისი „წარბების იმპერია" იმდენად გაიზარდა, რომ მან თავისი პირველი სალონი გახსნა ბევერლი-ჰილზში. 2000 წელს ანასტასია სორამა გამოუშვა თავისი პროდუქციის პირველი ხაზი, რომელიც მთლიანად წარბების მოვლაზე იყო ორიენტირებული. დასაწყისში სორარს დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ მაღაზიებს მისი წარბის ფილერები და ფუნჯები გაეყიდათ; მისი პროდუქციის შეძენა თავდაპირველად Nordstrom-ის მხოლოდ ოც მაღაზიაში იყო შესაძლებელი, მაგრამ მიმდევართა რაოდენობის ზრდასთან ერთად, სორარის ბრენდიც თანდათანობით გაფართოვდა.

ნამდვილ წარმატებას ბრენდმა აქტიური სოციალური მედიამარკეტინგის საშუალებით მიაღწია. თავისი ქალიშვილისა და კომპანიის პრეზიდენტის, კლაუდია სორარის დაჟინებული რჩევით, ანასტასია სორარმა 2013 წელს, Instagram-ის პლატფორმის გამოყენებით, თავისი ბრენდის მარკეტინგული კამპანია დაიწყო. ისევე, როგორც თავის დროზე მოდელები დაეხმარნენ სორარს პირველი სალონის გახსნაში, ამჯერადაც Instagram-ის მოდელებმა და მისაბაძმა სახეებმა, მათ შორის სოციალური მედიის ყველაზე დიდმა ვარსკვლავმა – კიმ კარდაშიანმა, დიდი წვლილი შეიტანეს ანასტასია სორარის პროდუქციის რეკლამირებაში.

„Instagram-ის მიმდევრებს შორის დიდი მოწონება დაიმსახურა ჩვენმა ვიდეოგაკვეთილებმა და ჩვენც დეკორატიული კოსმეტიკის ახალი ხაზის გამოშვება გადავწყვიტეთ, რომლის სარეკლამო კამპანია ასევე Instagram-ის პლატფორმაზე დავიწყეთ, – განაცხადა ანასტასია სორარმა ჟურნალ The Cut-თან საუბარში. – ამ მარკეტინგულმა სტრატეგიამ გაამართლა და ჩვენი პროდუქცია უკვე ყველგან იყიდებოდა, მათ შორის Sephora-ს მაღაზიათა ქსელში". კლაუდია სორარი კვლავ სათავეში უდგას კომპანიის მარკეტინგულ საქმიანობას, ხოლო Instagram-ის მიმდევართა რიცხვი უკვე 16 მილიონს აჭარბებს. პარალელურად ვითარდება პროდუქციაც.

ანასტასია სორარის კომპანია 485 სახეობის პროდუქციას აწარმოებს — ეს არის ხაზი, რომელიც სცილდება წარბის მოვლის საშუალებებს. მისი პროდუქციის შეძენა მსოფლიოს 2,000 მაღაზიასა და ასევე ონლაინ არის შესაძლებელი. ბრენდის ყველაზე გაყიდვად პროდუქციას შორის არის: ფხვიერი ჰაილაითერი, თვალის ჩრდილები, თხევადი ტუჩსაცხი და, რა თქმა უნდა, წარბის გელი, რომელიც ვიზუალურად გამოკვეთს და ავსებს წარბებს.

სილამაზის პროდუქციის გაყიდვების ზრდის პარალელურად, მისი აქციების ღირებულებამაც საგრძნობლად იმატა. FW

ლორენ ეში

ათი კრეატიული ანტრეპრენიორის რჩევა, თუ როგორ დავიცვათ ბალანსი კარიერასა და პირად ცხოვრებას შორის

ავტორი: ჯეინ კლერ ჰერვეი

ჩვენ ყველას გვსურს ამ ბალანსის დაცვა, მაგრამ სინამდვილეში არავინ იცის, ზუსტად რას ნიშნავს ეს. ზოგიერთისათვის დროის მენეჯმენტი და კარგი დაგეგმვა საკმარისია ამ ბალანსის მისაღწევად, სხვებისათვის კი ბალანსი სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის უფრო ცვალებადია – ხან ერთი ხდება პრიორიტეტული და ხანაც მეორე. ამ სტატიისათვის გადავწყვიტე, კრეატიულ ანტრეპრენიორებთან ინტერვიუებში ადრე გაჟღერებული ათი ყველაზე საინტერესო ციტატისთვის მომეყარა თავი. თითოეულ მათგანს თავისებური, ინდივიდუალური მიდგომა აქვს ამ საკითხისადმი. „არსებობს მცდარი შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ ქალებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ კარიერასა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის პოვნა. არ ვფიქრობ, რომ ეს აუცილებლობა იმ ინტერპრეტაციით უნდა გავიგოთ, რომელსაც ჩვენ ხშირად ვისმენთ. მიმაჩნია, რომ ჩვენ ისეთი გატაცებით უნდა მივუდგეთ ჩვენს სამუშაოს, რომ ის ჩვენთვის უფრო მეტი გახდეს, ვიდრე უბრალოდ სამსახური. ასევე უნდა შეგვწევდეს უნარი, სწორად

ვიქტორია ლინდენი

ნიკიშა ბრუნსონი

„შესაძლოა, ცოტა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემი აზრით საკუთარ თავზე ზრუნვა 24-საათიანი სამუშაო უნდა იყოს“.

გადავანაწილოთ საქმეები. ეს არის ერთ-ერთი გაკვეთილი, რომელიც მე ბოლო წლების განმავლობაში ვისწავლე“, – ამბობს Kohana Coffee-ის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი ვიქტორია ლინდენი.

„შესაძლოა, ცოტა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემი აზრით საკუთარ თავზე ზრუნვა 24-საათიანი სამუშაო უნდა იყოს. სამწუხაროდ, დღის განმავლობაში ძლივს ვახერხებთ საკუთარ თავზე ზრუნვისათვის დროის გამონახვას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩემსავით ყურადღების დეფიციტის სინდრომი გაქვთ და თავს გიჟად გრძნობთ, რადგან მუდმივად აფორიაქებული ხართ ამდენი საქმისგან. მაგრამ არსებობს მეორე ვარიანტიც, როდესაც ახერხებთ, ცხოვრება საკუთარ თავსა და ფიზიკურ შესაძლებლობებს მოარგოთ. მე სწორედ ასე მოვიქეცი და შევქმენი საზღვრები, რადგან საზღვრები ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. როდესაც საზღვრები გამიჯნული გაქვს, მაშინ შეგიძლია სხვებს აუხსნა, ზუსტად რა გჭირდება. საზღვრების არსებობის მიზანია საკუთარი თავის დაცვა და საკუთარ თავზე ზრუნვა. საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ ასევე უნდა შეგვეძლოს, მივუთითოთ გარშემომყოფებს, რომ მათი საქციელი ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ გვაქვს უფლება, მოვუფრთხილდეთ და დავიცვათ საკუთარი თავი და ასევე ავიღოთ პასუხისმგებლობა იმაზე, თუ როგორ გვეპყრობიან სხვები. როდესაც რაღაც არ მსიამოვნებს ან თავს უხერხულად ვგრძნობ, მე ამის შესახებ ხმამაღლა ვაცხადებ. როდესაც ჩემთვის პიროვნულად რაღაც მიუღებელია ან სცილდება ჩემს შესაძლებლობებს, მე ყოველთვის ვამბობ ამის შესახებ“, – ამბობს Folie Apothecary-ის დამფუძნებელი და Urban Bush Babes-ის თანადამფუძნებელი ნიკიშა ბრუნსონი.

„შესაძლოა, ცოტა არ იყოს, ზედმეტად მოგეჩვენოთ, მაგრამ უპირველეს ყოვლისა უნდა იზრუნოთ საკუთარ კეთილდღეობაზე. ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი სასაუბრო თემა არის ინტუიცია. გამოცდილებამ მაჩვენა, რომ რაც უფრო ახლოს ვარ საკუთარ თავთან, მით უფრო გახსნილია ჩემი გონება კრეატიული და ინოვაციური იდეებისათვის. როდესაც თავს ყველაზე კარგად ვგრძნობ და საკუთარ თავზე ვზრუნავ, სწორედ მაშინ ვიწყებ ოცნებას და საკუთარი ბრენდის შექმნასთან დაკავშირებით ახალი იდეები მიჩნდება. ამ დროს სხვები ხედავენ სიზმრებს ჩემზე. არ გეგონოთ, რომ ვხუმრობ – ხშირად მიმიღია ასეთ დროს წერილი შემდეგი ტექსტით „გამარჯობა, ლორენ, სიზმარი ვნახე შენს ბიზნესთან დაკავშირებით“. ეს მაშინ ხდებოდა ხოლმე, როდესაც

ყველაზე კარგად ვგრძნობდი თავს. ასევე ჩემი რჩევა იქნებოდა: ზოგჯერ დაბრკოლებას შეხედეთ იმ კუთხით, რომ ის სინამდვილეში თქვენ გიცავთ რაღაცისაგან. ენდეთ თქვენი კარიერის ღვთაებრივ დროს, რადგან იყო ისეთი რაღაცები, რაც მეგონა, რომ მსურდა და მჭირდებოდა კარიერის პირველივე წელს, ხოლო დღევანდელი გადასახედიდან მადლიერი ვარ, რომ ეს მაშინ არ მოხდა და ვერ მივიღე. იმ დროს მე ამისათვის ჯერ კიდევ არ ვიყავი მზად. არის კიდევ სხვა რაღაცები, მაგალითად კონფლიქტები და ბიზნესიდან გამოყოფა, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო იმ პერიოდში. ამ გამოცდილებამ მე მომცა მეტი სივრცე იმისათვის, რომ მესარგებლა ახალი, უფრო დიდი შესაძლებლობებით", – ამბობს იოგას ინსტრუქტორი და Black Girl In Om-ის დამფუძნებელი ლორენ ეში.

„არის ხოლმე ჩემს ცხოვრებაში დღეები, როდესაც ძალიან მოშვებული, მოდუნებული ვარ და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს უფრო მეტს უნდა ვაკეთებდე. მაგრამ სწორედ ამ დროს ვარ ყველაზე თავისუფალი. მქონდა რამდენიმე შემოთავაზება კრეატიული სააგენტოებიდან, მაგრამ სამუშაოზე უარი ვთქვი. სახლში თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ და შემიძლია მთელი დღე Netflix-ის არხებს ვუყურო. ასეთ დროს სულაც არ ვგრძნობ თავს დამნაშავედ და სწორედ ამიტომ ვარ ის, ვინც ვარ და სწორედ ამიტომ არის ჩემი შემოქმედება ისეთი, როგორიც არის", – ამბობს მხატვარი და დიზაინერი ელის სვოფსი.

„ჩემი ყველაზე კარგი თვისებაა, რომ პერიოდულად შემიძლია შეუჩერებლად მუშაობა, ვიდრე საქმეებს ბოლომდე არ მივიყვან. და, რა თქმა უნდა, ჯანსაღი ძილი. თუ ღამე კარგად არ გამოიძინე, შეუძლებელია, ნაყოფიერად იმუშაო", – ამბობს Know Your Company-ის აღმასრულებელი დირექტორი კლერ ლიუ.

„სიმართლე გითხრათ, გასულ წელს იმდენ საქმეს ვიყავი ერთდროულად შეჭიდებული, რომ ძალიან გამიჭირდა ამ ბალანსის დაცვა. სოციალური ცხოვრებისათვის დრო თითქმის არ მქონდა. ამავდროულად, ჩემ გარშემო ისეთ გუნდს მოვუყარე თავი, რომ ისინი ჩემი ოჯახის წევრები გახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შეუჩერებლად ვმუშაობდი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს საუკეთესო მეგობრებთან ერთად დროს ვატარებდი და ვაკეთებდი იმას, რაც ყველაზე მეტად მიყვარს და არა სამუშაოს. ვფიქრობ, რომ ყველაფერი იცვლება, როდესაც გვერდით ისეთი ადამიანების გუნდია, რომელთანაც ურთიერთობა გსიამოვნებს. იმედი მაქვს, რომ წელს მოვახერხებ ცოტათი ტემპის შენელებას და საკუთარ თავზე ზრუნვისა და ახალი აღმოჩენებისათვის დროის გამონახვას. ვფიქრობ, რომ შემოქმედთა უმეტესობისათვის განსაკუთრებით რთულია სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის საზღვრის გავლება, რადგან ჩვენი ცხოვრება ხშირად სწორედ იქ არის, საიდანაც ხელოვნება მოედინება. გულწრფელად უნდა გინდოდეს, რომ ხელოვნებამ მთელი შენი ცხოვრება მოიცვას. ჰენრი მილერს აქვს ერთი შესანიშნავი გამონათქვამი: „მიზნად უნდა დაისახო, რომ შენი ცხოვრება აქციო ხელოვნებად'. მე სრულებით ვეთანხმები ამას„, – ამბობს კონცეპტუალური ფოტოგრაფი დრილი შვარცი.

ელის სვოფსი

„არის ხოლმე ჩემს ცხოვრებაში დღეები, როდესაც ძალიან მოშვებული, მოდუნებული ვარ და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს უფრო მეტს უნდა ვაკეთებდე. მაგრამ სწორედ ამ დროს ვარ ყველაზე თავისუფალი".

„ვფიქრობ, რომ მოწყვლადობა ჯანსაღი დოზით აუცილებელიც კი არის. რაც დრო გადის, მით უფრო ვაცნობიერებ ამას. ადამიანებს უნდა შესწევდეთ უნარი, რომ კარგიც და ცუდიც მიიღონ. არ არის აუცილებელი, ყველაფერი ყოველთვის თავად გააკეთო, ზოგჯერ შეიძლება სხვებსაც სთხოვო რჩევა. კარიერულ წნეხთან გამკლავებაში ძალიან მეხმარება

ᲓᲠᲘᲚᲘ ᲨᲕᲐᲠᲪᲘ

ᲙᲚᲘᲠ ᲚᲘᲣ

ის, რომ მე არ ვცდილობ, მუდმივად დავმალო ჩემი სისუსტე და მოწყვლადობა. როდესაც ხელმძღვანელი პოზიცია გიკავია, შესაძლოა ფიქრობ, რომ რაღაცის არცოდნის გამო ხალხი შენს განსჯას დაიწყებს. მე ასე არ ვფიქრობ, რადგან ადამიანებს აქვთ თანდაყოლილი სურვილი, დაეხმარონ სხვებს და თუ თქვენ მათ ამის საშუალებას მისცემთ, ისინი უფრო მეტ წვლილს შეიტანენ თქვენს წარმატებაში", — ამბობს SWIM Social-ის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი ელენა ჰანსენი.

„გულწრფელად რომ გითხრათ, ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ დავეუფლე საკუთარ თავზე ზრუნვის ხელოვნებას. მე მუდმივად მოძრაობაში ვარ გარშემომყოფებსაც ვავალდებულებ, ჩემსავით მოიქცნენ. სამაგიეროდ, დიდი წინსვლა მაქვს იმ კუთხით, რომ უკვე შემიძლია დახმარება ვთხოვო სხვებს, როდესაც ეს მჭირდება. იმისათვის, რომ საკუთარ თავზე იზრუნოთ, აუცილებელია, "პასუხისმგებლობის გადანაწილება სხვებზე გადანაწილება ისწავლოთ. უნდა აცნობიერებდეთ, რომ როდესაც ყველაფერს საკუთარ თავზე არ იღებთ და სხვებსაც უნაწილებთ პასუხისმგებლობას, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თქვენ ზარმაცი ან სუსტი ხართ. პოზიტიური ცვლილების მიღწევა გუნდური მუშაობით არის შესაძლებელი. ჩემი ორგანიზაცია EKF არ იქნებოდა ისეთი წარმატებული, რომ არა სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობელთა კომიტეტი და ჩემი უსაყვარლესი ადამიანები, რომლებიც დახმარების ხელს მიწვდიან, როდესაც მე ეს ასე ძალიან მჭირდება. მე ასევე მჯერა, რომ აუცილებელია მცირედი წარმატებისა თუ გამარჯვების ზეიმით აღნიშვნა. პილატესის ვარჯიშები მეხმარება აზრების თავმოყრაში, უპირატესობას ვანიჭებ ჯანსაღ კვებას, უქმეებზე მივდივარ ქალაქგარეთ, ვუყურებ გასართობ პროგრამებს Netflix-ის არხზე, მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან Snapchat-ით ვურთიერთობ. სწორედ ამ ყველაფრის ერთობლიობა მაძლევს საშუალებას, ვიზრუნო საკუთარ თავზე. ვიცი, რომ ტიპური მილენიალი – თაობა Y-ის კლასიკური წარმომადგენელი ვარ", – ამბობს Every Kid Fed-ის დამფუძნებელი შანეი ტომპსონი.

„მომწონს, რომ შემიძლია თავს მივცე უფლება, მივწვე, დავისვენო ან უბრალოდ ჩემი ლეპტოპით სუფთა ჰაერზე დავჯდე, როცა ამის საჭიროებას ვგრძნობ. ადრე ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ რაოდენ დასაფასებელია ის თვისება ადამიანში, როდესაც საკუთარი პროდუქტიულობის ასამაღლებლად შეგიძლია თავად შეიქმნა ხელსაყრელი გარემო", – ამბობს FlexJobs-ის დამფუძნებელი სარა სატონ ფელი.

„ყველანაირად ვცდილობ, რომ ხშირად ვიარო ორთქლის ოთახებსა და საუნებში. იქ შემიძლია დავივიწყო პრობლემები და დავალაგო აზრები. ძალიან სერიოზულად ვუდგები სიზმრებს იმისდა მიუხედავად, თუ რას შეიძლება მივაწეროთ ეს სიზმრები: ტვინში დაგროვილი ინფორმაციის სანაგვე ურნას თუ ქვეცნობიერის ნაკარნახევს. სიზმრები საშუალებას მაძლევს, უკეთ დავინახო და გავერკვე იმაში, თუ რა იწვევს ჩემს დაბნეულობასა და მღელვარებას ამა თუ იმ მომენტში", – ამბობს სახალხო არტისტი და ურბანული დაგეგმარების სპეციალისტი კენდი ჩანგი. FW

VINTED
შეაბიჯეთ მეორეული მოდური საქონლის მსოფლიოს უმსხვილეს ბაზარზე

ავტორი: კიტი ნოლსი

თქვენ გძულთ ეს მაისური და ვერც კი იხსენებთ, ბოლოს როდის გეცვათ, მაგრამ რადგან მაისური კარგ მდგომარეობაშია, ის კვლავ თქვენს კარადაში იქნება ჩამოკიდებული.

დამშვიდდით, თქვენ მარტო არ ხართ: ლიტველი მეწარმე მილდა მიტკუტეც ოდესღაც ამ პრობლემის წინაშე იდგა.

„მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გარდერობი ყოველთვის გადავსებული იყო ტანსაცმლით, მე სულ მაწუხებდა იმის განცდა, რომ ტანისამოსი არ მქონდა," – უყვება მილდა მიტკუტე ჟურნალ Forbes-ს.

„ზოგიერთ ჩემს ბლუზას ჯერ კიდევ იარლიყი ეკრა ზედ, რადგან ფასდაკლების დროს განურჩევლად ყველაფერს ვყიდულობდი – ერთ კვირაში ჩემი ხელფასის 80%-ს ვხარჯავდი ტანსაცმელში, რადგან მინდოდა, ყოველდღე განსხვავებული ვყოფილიყავი".

როდესაც მისი ოჯახის კუთვნილი დიდი ბინიდან სტუდენტური საერთო საცხოვრებლის პატარა ოთახში გადავიდა, მიტკუტე მიხვდა, რომ ასეთი ტემპით შოპინგის გაგრძელება შეუძლებელი იყო – მის ოთახში უბრალოდ არ იყო საკმარისი სივრცე, რომ ამდენი უცმელი ტანისამოსი დატეულიყო.

ასე დააარსა მილდა მიტკუტემ 2008 წელს საიტი Vinted-ი, რომელიც ამჟამად მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მეორეული მოდური ტანისამოსის ონლაინმაღაზიაა.

როგორ შენდებოდა VINTED

დღეს 4 მილიონი ქალბატონი ყოველთვიურად აქტიურად არის დაკავებული Vinted-ის საიტიდან ნივთების შეძენა/გაყიდვითა და გაცვლით.

„ეს არის პლატფორმა, რომელიც მსოფლიოს ყველა კარადას ხელმისაწვდომს ხდის," – ამბობს მიტკუტე.

საიტის ფანები – იგივე „ვინტიზ", როგორც მათ მოფერებით მოიხსენიებენ – უბრალოდ საიტზე განათავსებენ გასაყიდი ნივთების ფოტოებს.

თქვენთვის სასურველი ნივთის მოძებნა შეგიძლიათ გამყიდველის, ბრენდის, ზომის ან ფერის მიხედვით – იქნება ეს წითელი კოქტეილის კაბა თუ ფეხსაცმელი ლეოპარდის პრინტით.

„ჩვენი წევრები ამბობენ, რომ Vinted-ზე შოპინგი განძზე ნადირობას ჰგავს", – აღნიშნავს მიტკუტე.

თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ცოტათი eBay-ს წააგავს, თქვენ არ ცდებით. მაგრამ განსხვავება ისაა,რომ Vinted-ი უფრო მეტად არის ფოკუსირებული სოციუმზე, რის წყალობითაც საიტს ბევრი ერთგული მომხმარებელი ჰყავს.

„ჩვენი გოგონები არ ყიდიან ავტომობილებს ან სარეცხ მანქანებს, ჩვენ მხო-

ლოდ მოდა და სტილი გვაინტერესებს, – განმარტავს მიტკუტე.

რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საიტი უფრო მჭიდროდ შეკრული გუნდის სოციალური ქსელია, ვიდრე ელექტრონული ვაჭრობის სხვა საიტი“.

ბიზნესის აყვავება

დღესდღეობით საიტი Vinted-ი ცხრა ქვეყანაში ოპერირებს (მათ შორისაა აშშ, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ავსტრია, პოლონეთი და ლიტვა), ხოლო ყველაზე მსხვილი ბაზარი გერმანიასა და საფრანგეთშია.

დაარსების პირველივე წლებში Vinted-მა ჯამში €55 მილიონის (დაახლოებით $68 მილიონი) ოდენობის ინვესტიცია მიიღო, მაგრამ 2016 წელს კომპანიამ მოგების გაზრდის მიზნით თავისი სტრატეგია შეცვალა. ტომას პლანტენგას რჩევით (რომელიც იმ პერიოდში კომპანიის სტრატეგიული მრჩეველი იყო, ხოლო ამჟამად აღმასრულებელი დირექტორია), Vinted-ის პლატფორმა შეიცვალა და გაყიდულ საქონელზე სავალდებულო საკომისიო გადასახადის ნაცვლად, დაწესდა უფასო პროდუქციის პრინციპი, ხოლო დამატებით მომსახურებებზე საიტის მომხმარებელი გარკვეულ გადასახადს იხდის (დამატებითი მომსახურებების ერთ-ერთი სახეობა საკუთარი გარდერობის რეკლამირება გახლავთ).

ის გარემოება, რომ Vinted-ი ამჟამად სრულიად უფასოა და გაყიდულ საქონელზე გადასახადი არა აქვს დაწესებული, კიდევ უფრო განასხვავებს მას eBays-სა და მსოფლიოს სხვა მსგავსი საიტებისგან.

ბიზნესმოდელის შეცვლის დღიდან, კომპანიის ყოველთვიური გაყიდვები 230%-ით გაიზარდა და გასულ წელს პირველად ნულოვანი მოგების წერტილს მიაღწია. 2017 წლის იანვრიდან დეკემბრამდე საიტზე $360 მილიონის ღირებულების საქონელი გაიყიდა, კომპანიის შემოსავალი 5-ჯერ გაიზარდა და $14 მილიონს მიუახლოვდა.



ფოტო: VINTED.COM

წელს გაყიდვები კიდევ უფრო გაიზარდა, ხოლო იანვრის მონაცემებზე დაყრდნობით მიტკუტე ვარაუდობს, რომ 2018 წელს გაყიდვები $500,000,000-ს მიუახლოვდება.

„პლატფორმა, რომელიც მომხმარებელს ნაკლებს ახდევინებს, ხოლო პროდუქციის ღირებულებას ზრდის, აუცილებლად გაიმარჯვებს, – ამბობს ტომას პლანტენგა ჟურნალ Forbes-თან საუბრისას. – იმისათვის, რომ გლობალური დონის წამყვანი მოთამაშე გახდე, აუცილებელია გქონდეს და შეინარჩუნო ყველაზე ეფექტიანი პლატფორმა. სწორედ ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი გამოწვევა“.

რა ელის VINTED-ს მომავალში?

მიტკუტე იმედოვნებს, რომ პირდაპირ პოდიუმებიდან გადმოღებული მოდური საქონლისადმი მომხმარებლის მზარდი ნეგატიური დამოკიდებულება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კომპანიის წარმატებას.

„ჩვენს კარადაში დაკიდებულ ტანსაცმელს თავისი ისტორია აქვს, რაც Vinted-ზე ვაჭრობას უფრო მეტ შინაარსს მატებს“ – აღნიშნავს მიტკუტე.

იგი ასევე იმედოვნებს, რომ გაზრდის მამაკაც მომხმარებელთა რიცხვს და ძალისხმევას არ იშურებს, რომ Vinted-მა განავითაროს უნისექსი აპლიკაციები და მარკეტინგი.

„ბუნებრივია, რომ მამაკაცების ტანისამოსის მოდა ქალების მოდის პარალელურად ვითარდება, უბრალოდ კაცების შემთხვევაში ტემპი უფრო ნელია, – განმარტავს მიტკუტე. – ჩვენ ვიცით, რომ მამაკაცები ყიდულობენ და ატარებენ მოდურ ტანისამოსსა და აქსესუარებს, ამიტომაც დიდია ალბათობა იმის, რომ მამაკაცებიც მოისურვებენ მეორეული ნივთების შეძენას“.

მიტკუტემ საკუთარ თავზე აიღო მისია, რომ „მთელი მსოფლიოს მასშტაბით მეორეული გახადოს ყველაზე მოთხოვნადი“.

მგონი დროა, თქვენი კარადაც გამოასუფთაოთ. FW

როგორ აქცია 26 წლის დამფუძნებელმა თავისი ბლოგი PINK PEONIES მილიონდოლარიან ბიზნესად

ავტორი: ელანა ლინ გროსი

Instagram-ის ეპოქაში გავლენიანი და მისაბაძი ადამიანები თითქოს ყველგან არიან, მაგრამ თუკი ვინმეს ეჭვი ეპარება მათ გავლენაში, მაშინ შეხედეთ რეიჩელ პარსელს – ბლოგ Pink Peonies-ისა და მისივე სეხნია ტანსაცმლის ბრენდის 26 წლის დამფუძნებელს. 2014 წლის საშობაო სეზონის პერიოდში რეიჩელ პარსელმა Nordstrom-ის საიტზე $1 მილიონის ღირებულების პროდუქცია გაყიდა, რასაც ემატება იმ აურაცხელ ადამიანთა სია, ვინც პირდაპირ მაღაზიას მიაშურა მისი პროდუქციის შესაძენად. ცნობილი ჟურნალის, Vanity Fair-ის მიხედვით, კომპანია RewardStyle-ის ყველაზე მაღალანაზღაურებული ბლოგერებისგან მიღებულმა წმინდა მოგებამ 2014 წელს $960,000 შეადგინა. შეგახსენებთ, რომ კომპანია RewardStyle-ი ყველაზე მოთხოვნილ ბლოგერებს საშუალებას აძლევს, გაყიდონ თავიანთი ბლოგების ე.წ. კონტენტი (შინაარსი) სხვა დაკავშირებული ლინკების მეშვეობით. ეს კი ჯერ მანამდე იყო, ვიდრე RewardStyle-მა თავისი ახალი სერვისი LIKEtoKNOW.it-ი შექმნა, რომელიც პარსელის მსგავს ბლოგერებს საშუალებას აძლევს, თავიანთი Instagram-ის პოსტები გაყიდონ. ცნობილმა ბრენდებმა კარგად იციან, რამხელა მოგებას მიიღებენ ყველაზე გავლენიან ბლოგერებში დაბანდებული ინვესტიციიდან და მზად არიან, ათასობით დოლარით დაასპონსორონ მათი ბლოგები, პოსტები სოციალურ მედიაში და საჯარო გამოსვლები.

„რეიჩელ პარსელი უძღვება წარმატებულ მილიონდოლარიან მოდის ბიზნესს და ამავდროულად არის ყველაზე თავმდაბალი ადამიანი, რომელთან მუშაობის პატივიც მე ოდესმე მქონია, – ამბობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო Be Social-ის ხელმძღვანელი ალექს ნეილი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს პარსელთან. – გარდა იმისა, რომ რეიჩელი წარმატებული ბიზნესლიდერი და მთელი მსოფლიოს ანტრეპრენიორი ქალებისათვის სანიმუშო მაგალითია, მან ასევე დაამტკიცა, რომ თავდაუზოგავი შრომითა და საქმისადმი დიდი სიყვარულით ყველაფერი შესაძლებელია“. მე ვესაუბრე რეიჩელ პარსელს და შევეცადე გამეგო, თუ როგორ აქცია მან თავისი ბლოგი წარმატებულ ბიზნესად.

ელანა ლინ გროსი: რამ შთაგაგონათ Pink Peonies-ის შექმნა?

რეიჩელ პარსელი: თავდაპირველად ბლოგის მიზანი იყო ჩემი ცხოვრების დუკუმენტირება ახალდაქორწინებულის ამპლუაში. ჩემი ბლოგი უფრო დღიურს ჰგავდა, რომელიც ოჯახის წევრებისა და მეგობრებისათვის იყო განკუთვნილი. ბლოგის დაწყებიდან მალევე, ჩვენი ქორწილის სურათი Utah Valley Brides Magazine-ის ყდაზე დაიბეჭდა და სწო-

რედ ამის შემდეგ ჩემს პატარა ინტერნეტსივრცეში შემომსვლელთა რიცხვმა იმატა. ჩემი ქორწილის სურათებს გამუდმებით „პინავდნენ“ და მთელი ქვეყნის მასშტაბით ქალები მიგზავნიდნენ მოდასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კითხვას. მათ ის უფრო აინტერესებდათ, თუ რა ბლუზა მეცვა ან რა ფერის ტუჩსაცხი მესვა, ვიდრე ის, თუ როგორ გავატარეთ მე და ჩემმა მეუღლემ უქმეები. სწორედ აქედან გამომდინარე გამიჩნდა იდეა, შემეცვალა ჩემი ბლოგის თემატიკა და Pink Peonies-ი უფრო მეტად მოდაზე ორიენტირებულ ბლოგად მექცია.

თქვენთვის, როგორც ბლოგერისთვის, რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევა და ასევე ყველაზე დიდი ჯილდო?

ყველაზე დიდი გამოწვევა ალბათ სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის პოვნაა. მე ვარ მეუღლე და მყავს ორი მცირეწლოვანი შვილი (ორი წლის და ერთი წლის), და ამავდროულად ვუძღვები ორ ბიზნესს – ჩემს ტანისამოსის ხაზს – Rachel Parcell, Inc.-ს და ჩემს ბლოგს – Pink Peonies-ს. მე არ მაქვს ტიპური სამუშაო გრაფიკი 9-დან 5-მდე და ამიტომ ჩემი სამუშაო, განსაკუთრებით ბლოგი, ჩემი ყოველდღიური ცხოვრებაა. რთულია სამუშაო რეჟიმის გათიშვა მაშინაც კი, როდესაც დასასვენებლად მივდივარ ან უბრალოდ ოჯახთან ერთად სახლში ვარ, რადგან ჩემი ცხოვრების დიდ ნაწილს ჩემი ბლოგის მკითხველებს ონლაინ ვუზიარებ. მუდამ ვცდილობ ახალი იდეების გენერირებას და ჩემი აუდიტორიისათვის ახალი კონტენტის შექმნას. მე მიყვარს ეს საქმე და ამას დიდი გატაცებით ვაკეთებ, სწორედ ამიტომ არის ხოლმე ჩემთვის რთული სამუშაო რეჟიმის გათიშვა. რაც შეეხება ჯილდოს, ჩემთვის, ბლოგერისა და ტანსაცმლის დიზაინერისათვის, ყველაზე დიდი ჯილდო ჩემი მიმდევრები და მომხმარებლები არიან. მე გაოცებული ვარ იმით, რომ ამდენი მშვენიერი ქალბატონი მთელი მსოფლიოდან ხდება ჩემი მიმდევარი და ყოველდღიურად ადევნებს თვალს ჩემს ცხოვრებას, საქმიანობას და ჩაცმულობას. არაფერია იმაზე ამაღელვებელი და სასიამოვნო, როდესაც ჩემი ბლოგის მკითხველი ჩემი დიზაინით შექმნილ ტანისამოსს ატარებს. ჩემთვის დიდი პატივია მათთვის შთაგონების მიცემა, სამაგიეროდ, მე მათგან ვიღებ შთაგონებას.

შეგიძლიათ, აღმიწეროთ, როგორია თქვენი სამუშაო დღე?

მე შევიმუშავე გრაფიკი, სადაც ყველა ჩემი სამუშაო პროექტი, შეხვედრა და ფოტოგადაღება ერთსა და იმავე დღეებშია გაწერილი. ამგვარი მიდგომა საშუალებას მაძლევს იმ დღეებში, როდესაც სახლში ვარ, მთელი ჩემი ყურადღება ბავშვებზე გადავიტანო და აღარ ვიფიქრო ერთდროულად რამდენიმე საქმის მოგვარებაზე. მივხვდი, რომ გაცილებით ნაკლებად პროდუქტიული ვიყავი, როდესაც ერთდროულად ბავშვებს ბოთლებში საჭმელს ვუსხამდი და თან ელექტრონული ფოსტით მოსულ წერილებს ვკითხულობდი. სწორედ ამიტომ სამუშაოსთვის მაქვს მკაცრად გამოყოფილი დრო და როდესაც საქმეს ვასრულებ, მე უკვე შემიძლია, ჩემი ყურადღების 100% ჩემს შვილებს დავუთმო. ყოველ დილას ვიწყებ ჩემს მეზობელ გოგონებთან ერთად ვარჯიშით, შემდეგ მოვდივარ სახლში, ვაღვიძებ ბავშვებს და ვუმზადებ საუზმეს. შემდეგ უკვე ვიწყებ მზადებას ფოტოგადაღებისთვის ჩემი ბლოგისთვის ან ტანისამოსის ხაზისთვის. მოგვიანებით მაქვს შეხვედრები (კიდევ შეხვედრები), საკონფერენციო ზარები, სამომავლო პროექტების დაგეგმვა და ჩემს გუნდთან ერთობლივი მუშაობა. ყოველდღე ხდება რაღაც ახალი და განსხვავებული, თუმცა გრაფიკი მუდამ გადატვირთული მაქვს. თუ სახლში ვარ, ბავშვებთან ერთად უკანა ეზოში ვთამაშობთ, სასეირნოდ დავდივართ, საწოლში დისნეის მულტფილმებს ვუყურებთ ან ჩემს დასთან, რომელიც ქუჩის მოპირდაპირედ ცხოვრობს, გადავდივართ სტუმრად.

ბლოგების ბიზნესთან დაკავშირებით უამრავი მცდარი შეხედულება არსებობს. შეგიძლიათ გვითხრათ, რა პასუხისმგებლობა და ვალდებულება აკისრია Pink Peonies ბლოგისა და საკუთარი ტანსაცმლის ხაზის დამფუძნებელ რეიჩელ პარსელს, ანუ თქვენ?

ყოველთვის მინდოდა საკუთარი ტანსაცმლის ხაზის შექმნა – ეს ოცნება პატარაობიდან მქონდა. როდესაც ჩემი ბლოგი შევქმენი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ის ასე სწრაფად გახდებოდა პოპულარული, მაგრამ ყველაფერი სწორედ ასე მოხდა. მაშინ მივხვდი, რომ ეს ბლოგი იქნებოდა საუკეთესო პლატფორმა ჩემი ბავშვობის ოცნების ასახდენად. მე უკვე მყავდა პოტენციური მომხმარებელი ჩემი ბლოგის მიმდევრების სახით. თავდაპირველად ხუთი კაბის ესკიზი შევქმენი, რომელთა შეკერვაც მსურდა და შემდეგ უკვე დავიწყე საუ-

კეთესო კომპანიის ძიება. ჩემი ტანსაცმლის ხაზის წარმოება 2016 წლის მაისში დავიწყე. ეს იყო გასაოცარი გრძნობა, რომელშიც უამრავი შრომა ჩაიდო. მე, როგორც დამფუძნებელს, მყავს ახალგაზრდა ქალბატონთა გუნდი, რომელიც ყველაფერს შესაძლებელს ქმნის. მე ვქმნი დიზაინს, მაქვს ურთიერთობა მწარმოებლებთან, ვიღებ აღმასრულებელ გადაწყვეტილებებს პროდუქციასთან და ფასებთან დაკავშირებით და ასევე ვმუშაობ სტრატეგიაზე, თუ როგორ წარმოვაჩინო ჩვენი პროდუქცია.

რაც შეეხება ჩემს ბლოგს, მასზე უმეტესწილად მხოლოდ მე ვმუშაობ. მე მყავს ერთი თანაშემწე, რომელიც მეხმარება, ვიყო ორგანიზებული, უძღვება ჩემს კალენდარს, დაგეგმილ ვიზიტებსა და ა.შ. ჩემი მოვალეობაა, მოვიფიქრო პოსტის შინაარსი, დავწერო ტექსტი, დავაკავშირო ჩემი პოსტი და გავაზიარო სოციალური მედიის საშუალებით. ასევე მიწევს ახალი იდეების გენერირება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება გავაფართოვო ჩემი ბლოგის აუდიტორია. შემიძლია ჩემი ბლოგის გარშემო მთელი გუნდი შემოვიკრიბო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დავკარგავ იმ პირად, ერთი-ერთზე შეხებას, რომელიც ჩემსა და ჩემს მკითხველს შორის ჩამოყალიბდა.

ყველაზე დიდი მცდარი შეხედულება ბლოგერების შესახებ არის ის, რომ ისინი ზედმეტად მატერიალისტები არიან და მათ მსოფლიოში ყველაზე იოლი სამუშაო აქვთ. ბლოგერი კვირაში 7 დღე 24 საათი მუშაობს. ეს არის ძალიან რთული სამუშაო, რომელიც იმაზე მეტ შრომისმოყვარეობასა და საქმისადმი ერთგულებას მოითხოვს, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია.

ბლოგერს, განსაკუთრებით კი დამწყებს, უამრავი ქუდის მორგება უხდება: შემოქმედებითი დირექტორის, სტილისტის, ფოტოგრაფის, მოდელის, მწერლის, რედაქტორის, მარკეტინგის სპეციალისტისა და ასე შემდეგ, სია საკმაოდ გრძელია. ქალები, რომელთაც მოახერხეს ინტერნეტში თავიანთი სივრცის ბიზნესად ქცევა, არიან უნიჭიერესი, შრომისმოყვარე საქმიანი ქალბატონები, რომელთაც სათანადოდ არ აფასებენ.

თითოეული პოსტისთვის დიდი შრომა არის გაწეული. შეგიძლიათ, დეტალურად აღმიწეროთ ბლოგის შექმნის მთელი პროცესი?

ადამიანთა უმეტესობა ფიქრობს, რომ ბლოგერობა ნიშნავს გამოპრანჭვას და კამერის წინ პოზირებას. სინამდვილეში კი ეს ამაზე გაცილებით მეტია. თავდაპირველად ქმნით ე.წ. „კონტენტ კალენდარს“, შემდეგ იწყებთ მუშაობას თქვენს სააგენტოსთან (თუკი ასეთი გყავთ), რათა მოიძიოთ სპონსორული პოსტები და ამავდროულად შეეცადოთ, თქვენს ბლოგს ორგანული და საავტორო კონტენტი შეუნარჩუნოთ. ვიდრე სპონსორულ პოსტებს დათანხმდებით, აუცილებელად იყავით შერჩევითი და ძალიან პრეტენზიული, გამოსცადეთ პროდუქცია, იპოვეთ ბრენდები, რომლებიც გიყვართ და ფიქრობთ, რომ თქვენს მკითხველსაც შეუყვარდება. მე არ მინდა, რომ ჩემი მკითხველის ნდობა დავკარგო და არა მგონია, ხალხს ესმოდეს, რაოდენ ხშირად უწევთ ბლოგერებს უარის თქმა, რათა ეს ნდობა შეინარჩუნონ.

რა არის ის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებები, რომლებიც წარმატებულ მოდის ბლოგერსა და დიზაინერს სჭირდება?

იყავით კრეატიული, შრომისმოყვარე, პოზიტიური, არასოდეს დაყაროთ ფარ-ხმალი და გარისკეთ!

თქვენი ბლოგის მიმდევრების რიცხვი სტაბილურად იზრდებოდა დროთა განმავლობაში. თუ იყო ისეთი გარდატეხის მომენტი, როდესაც უეცარი ზრდა მოხდა?

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩემი ბლოგის მკითხველთა რიცხვი სტაბილურად იზრდება. მე დაახლოებით ერთი მილიონი მიმდევარი მყავს ინსტაგრამზე და ჯერ კიდევ კარგად მახსოვს ის დრო, როდესაც მხოლოდ 100 მიმდევარი მყავდა. ისეთი აჟიტირებული და გახარებული ვიყავი, რომ 100 ქალბატონს აინტერესებდა ჩემი პოსტები! გასაოცარი იყო იმის თვალის დევნება, თუ როგორ იზრდებოდა ეს როცხვი დროთა განმავლობაში, მაგრამ ამისათვის მე ბევრი შრომაც გავწიე.

რა რჩევას მისცემდით ბლოგერებს, რომელთაც თავიანთი ბლოგიდან ფინანსური სარგებელის მიღება სურთ? რეიჩელ პარსელი:

1. ჩამოყალიბდით, თუ რა სახის შინაარსის ან პროდუქტის შექმნა გსურთ და დარჩით ამ გადაწყვეტილების ერთგული. იყავით თქვენს საქმეში თავდაჯერებული და ენთუზიაზმით აღსავსე.
2. ნუ ადარებთ საკუთარ თავს სხვებს.
3. ნუ დაყრით ფარ-ხმალს, როდესაც გამოწვევების წინაშე აღმოჩნდებით.

ბლოგების სამყარო საკმაოდ კონკურენტულია და დარწმუნებული ვარ, რომ უამრავ კრიტიკას და კონკურენციას აწყდებით როგორც მკითხველის მხრიდან, ასევე სხვა ბლოგერებისაგან. როგორ ახერხებთ კრიტიკასთან გამკლავებას და თქვენს საქმეზე ყურადღების ფოკუსირებას?

ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომელთაც განსხვავებული აზრი აქვთ, არ მოსწონხართ და აქ ცუდი არაფერია. წლების განმავლობაში ნეგატივმა და კონკურენციამ საგრძნობლად იმატა. მიუხედავად ამისა, მე მაინც ვცდილობ, მთელი ყურადღება ცხოვრების პოზიტიურ ასპექტებზე გადავიტანო და არ ვაძლევ კრიტიკას უფლებას, რომ ჩემზე იმოქმედოს. მე ბევრად უფრო ბედნიერად ვგრძნობ თავს, როდესაც კრიტიკას ვაიგნორებ.

თქვენ ასობით ათასი მიმდევარი და ბლოგის მკითხველი გყავთ სოციალურ მედიაში. როგორ იღებთ გადაწყვეტილებას, თუ რისი გაზიარება შეიძლება და რა უნდა დარჩეს გამოუქვეყნებელი? არის თქვენს ცხოვრებაში ისეთი ასპექტები, რომელთაც არასოდეს აზიარებთ სოციალურ ქსელში?

ამაზე ძალიან დიდხანს ვფიქრობდი. მიმაჩნია, რომ ჩემი და ჩემი ოჯახის ცხოვრება არის პირადული და ინტიმური. მიუხედავად იმისა, რომ მე მსიამოვნებს ჩემი ცხოვრების გარკვეული ასპექტების ჩემი მკითხველისთვის გაზიარება და ეს მას ეხმარება, უფრო მეტი სიახლოვე იგრძნოს ჩემთან, როგორც რეალურ ადამიანთან, მაინც არის ისეთი დეტალები, რომელთა გაზიარება აუცილებელი არ არის. როდესაც არ ვარ დარწმუნებული, უნდა გავაზიარო თუ არა გარკვეული ინფორმაცია ჩემი ბლოგის ან სოციალური მედიის საშუალებით, მე ყოველთვის მივდივარ ჩემს მეუღლესთან და ჩემი ოჯახის წევრებთან და პირველ რიგში მათ რჩევასა და მოსაზრებას ვისმენ.

რა არის ყველაზე დიდი გაკვეთილი, რაც ბლოგერობის პერიოდში ისწავლეთ?

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ბლოგერობამ მასწავლა არის ის, თუ როგორ ვიგრძნო თავი კომფორტულად. სინამდვილეში მე საკმაოდ მორცხვი ადამიანი ვარ. საკუთარი თავის, ცხოვრებისა და ჩაცმულობის შესახებ ყოველდღე პოსტების დადება ნამდვილად არ არის ის, რასაც მე ჩვეულებრივ გავაკეთებდი. მაგრამ ამ პლატფორმის წყალობით მე ვიპოვე ჩემში ძალა და შევძელი სხვებისათვის მომეყოლა საკუთარი თავის შესახებ. არსებობს უამრავი კრიტიკოსი, რომლებიც არ ერიდებიან ჩემი ყოველი ნაბიჯის გაკრიტიკებას, მაგრამ მე ვისწავლე, როგორ ვიყო ბედნიერი საკუთარ თავთან და არ ვინერვიულო იმაზე, თუ რას ფიქრობენ ჩემზე სხვები.

რის ცოდნას ისურვებდით მაშინ, როდესაც კარიერას იწყებდით?

ვისურვებდი, რომ მაშინ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მეტი რწმენა მქონოდა და ასევე მქონოდა რწმენა, რომ შევძლებდი საკუთარი ბიზნესის დაწყებას და მის აყვავებას. თავდაპირველად სულ ეჭვი მეპარებოდა საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში და რაღაც პერიოდის განმავლობაში სულ არ ვთვლიდი საკუთარ თავს ბიზნესქალბატონად. უბრალოდ ვფიქრობდი, რომ მიმართლებდა. რაც უფრო მემატება ასაკი და მუშაობის სტაჟი – უკვე ექვსი წელია ამ საქმეს ვეწევი – მით უფრო ვხვდები, რომ ეს ყველაფერი ციდან როდი ჩამოვარდა, მე ამას ჩემი შრომისმოყვარეობით, დაჟინებითა და საქმისადმი თავდადებით მივაღწიე.

რომელი იყო საუკეთესო რჩევა, რომელიც თქვენ ოდესმე მიგიღიათ?

შეიძლება ეს, ცოტა არ იყოს, კლიშედ ჟღერდეს, მაგრამ საუკეთესო რჩევა, რომელიც ოდესმე მიმიღია, გახლდათ „იყავი ის, ვინც ხარ“. ამ კონკურენტულ სამყაროში აუცილებელია, ნაკლებად შევადაროთ საკუთარი თავი სხვებს და ვიყოთ კმაყოფილი ჩვენი თავით და ცხოვრებით. როდესაც წავიკითხე წიგნი „შენ ხარ არაჩვეულებრივი: როგორ გადავეჩვიოთ საკუთარ თავში ეჭვის შეტანას და დავიწყოთ ცხოვრება“, ამ წიგნმა მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება.

რა ბიზნესრჩევას მისცემდით ახალგაზრდა პროფესიონალ ქალბატონებს?

გჯეროდეთ საკუთარი თავის. ნუ შეგეშინდებათ რისკზე წასვლის, ენდეთ საკუთარ ინტუიციას და ეცადეთ, თქვენს წარმოსახვაში დაინახოთ საკუთარი წარმატება. გჯეროდეთ, რომ სამყარო აუცილებლად მიგიყვანთ იმ წარმატებამდე, რომელიც საკუთარ წარმოსახვაში შექმენით. ჩვენ თავად ვქმნით ჩვენს რეალობას. FW

25 საუკეთესო სანაპირო ევროპაში

ვიდრე ქვეყანა ქარიშხალ „ემასა“ და ციმბირული „მხეცივით“ მოვარდნილი ყინვების შემდეგ თანდათანობით გონს მოდის, ჩვენ თბილ დღეებზე ვოცნებობთ და ვარჩევთ საუკეთესო სანაპიროებს ესპანეთში, პურტუგალიაში, იტალიაში, საფრანგეთში, საბერძნეთსა და ხორვატიაში.

ფოტო: CHOR HUNG TSANG

პორტუგალია

ტროია-გალე (TRÓIA GALÉ), ლისაბონის მახლობლად

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი
მაშველები: დიახ
კაფე/კიოსკი: დიახ

ტროიას ნახევარკუნძული, თავისი 1.600 კილომეტრის სიგრძის თეთრქვიშიანი სანაპიროთი, ლისაბონის სამხრეთით დაახლოებით ერთი საათის სავალზე მდებარეობს. აქ მოსახვედრად ყველაზე მარტივი გზა ქალაქ სეტუბალიდან ბორნით მგზავრობაა, რომლის დროსაც შეიძლება დელფინებსაც მოჰკრათ თვალი. ასევე შესაძლებელია კომპორტას კურორტის გავლით მანქანით მგზავრობა, რაც ერთ საათზე ცოტათი მეტ დროს წაგართმევთ. ტროია-გალეს სანაპირო გამოირჩევა თავისი სიმშვიდით, არაჩვეულებრივი ადგილმდებარეობით და არაბიდას მთების თვალწარმტაცი ხედით. ტროიას ყურეში ატლანტის ოკეანე სხვა ადგილებთან შედარებით უფრო მშვიდია და საცურაოდ შესაფერი. ოკეანის მახლობლად მდებარეობს **Tróia Residence**-ი, სადაც ივნისში აპარტამენტების ფასი €107-დან იწყება.

სამოკეირა (SAMOQUEIRA), ალენტეჟუ

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი
მაშველები: არა
კაფე/კიოსკი: არა

ეს პატარა პლაჟი ალენტეჟუს სამხრეთ სანაპიროზე გადათეთრებული სოფელ პორტო-კოვოს ჩრდილოეთით, კლდოვან ყურეში მდებარეობს. ზოგიერთი ამ ადგილს ფრიალო კლდის გრძელი ბილიკის გამო თავს არიდებს, მაგრამ სწორედ ამიტომაა, რომ აქ გაცილებით მეტი სიმშვიდეა, ვიდრე სოფლის მთავარ სანაპიროზე. როდესაც ტალღები დაბალია, ლაგუნებში გუბეები ჩნდება, სადაც ბავშვები სიამოვნებით წუწაობენ. ზღვიდან 500 მეტრის დაშორებით საკუთარი საცურაო აუზის მქონე **Camping Porto Covo** მდებარეობს, სადაც ორკაციანი კარვის ადგილი ღამეში €12-დან იწყება, ხოლო ბუნგალოების ფასი – €50-დან.

კულატრა (CULATRA), ალგარვე

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი
მაშველები: დიახ
კაფე/კიოსკი: სანაპირო კაფე/ბარი MarAmais

კულატრა ალგარვეს აღმოსავლეთით მდებარე ერთ-ერთი ოქროსფერქვიშიანი სანაპიროა, რომელიც მეტწილად მეთევზეებით არის დასახლებული. კულატრაში მოხვედრა შესაძლებელია ბორნით

ფოტო: SHUTTERSTOCK

ოლჰაოდან ან ფაროდან. მის ჩრდილოეთ ლაგუნაზე უამრავი თევზსაჭერი კატარღა და სახლია, მაგრამ ოკეანის მხარეს ულამაზეს სანაპიროზე მაინც შესაძლებელია ბევრი მყუდრო ადგილის პოვნა. ოლჰაოს ძველ ქალაქში, ადგილობრივ ბაზართან და სანაპიროსთან ახლოს მდებარეობს სასტუმრო **O Convento** (ორადგილიანი ნომრის ფასი საუზმის ჩათვლით ივნისში €125-დან იწყება). სასტუმროში ცხრა დიდი, თეთრად შეღებილი ოთახია. სასტუმროს შიდა ეზოში ქვის კლაკნილი კიბეა, რომელიც სახურავზე მდებარე აუზთან მიგიყვანთ. აქედან შეგიძლიათ ლაგუნაზე მზის ჩასვლის დატკბეთ.

ფიგეირა-და-ფოში (FIGUEIRA DA FOZ), ცენტრო

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი
მაშველები: დიახ
კაფე/კიოსკი: სანაპირო ბარი Din's Bar

ეს ყველაზე დიდი სანაპიროა პორტუგალიაში. ზღვაზე მისასვლელად ხის საფეხმავლო გრძელ ბილიკზე მოგიწევთ წავარჯიშება. ქალაქ კოიმბრას დასავლეთით დაახლოებით 40 კილომეტრში მდებარე ფიგეირა-და-ფოში ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი სანაპიროა, სადაც მარილის ორმოები და მარილის მუზეუმია. სანაპიროს მახლობლად სერა-და-ბოა-ვიაჯემის ქედი მდებარეობს, სადაც ბევრი კარგი ადგილია პიკნიკისათვის. ქალაქის ცენტრში, სანაპიროსთან და კაზინოსთან ახლოს დგას პატარა საოჯახო სასტუმრო **Central Guest House**-ი, აქ ივნისში ორადგილიანი ნომრის ფასი საუზმის ჩათვლით €40-დან იწყება.

ესპანეთი

პლაია-დე-კარნოტა (PLAYA DE CARNOTA), გალისია

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი
მაშველები: არა
კაფე/კიოსკი: სანაპირო კაფე A Morosa

ნახევარმთვარის ფორმის ეს 7-კილომეტრიანი პლაჟი გალისიის მხარეში ყველაზე გრძელ სანაპიროდ არის მიჩნეული. ურბანული დასახლებიდან მოშორებით მდებარე პლაია-დე-კარნოტაზე მოხვედრილ დამსვენებელს თოვლივით ქათქათა ქვიშითა და მთების ხედით დატკბობის საშუალება აქვს. სანაპირო შედარებით უშფოთველი და ხალხისაგან დაცლილია, მათ შორის – ადგილობრივებისაგან. აქ მისვლა შესაძლებელია მანქანითაც, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ პლაჟზე საშხაპეები არ არის. აუცილებლად გასინჯეთ სანაპიროს ზევით, მთავარი გზიდან მოშორებით მდებარე კაფე **A Morosa**-ში მომზადებული მოლუსკები და კალმარები. დასარჩენად გირჩევთ სასტუმრო **Casa Rural San Cibran**-ს, რომელიც 15 წუთის სავალზეა (ორადგილიანი ნომრის ფასი საუზმის ჩათვლით €50-დან).

პლაია-დე-ლა-ფრანკა (PLAYA DE LA FRANCA), ასტურია

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი
მაშველები: დიახ
კაფე/კიოსკი: სანაპირო კაფე Los Emilios

მდინარე კაბრას შესართავთან მდებარე სანაპირო გამწვანებული კლდეებით არის გარშემორტყმული. ქვიშა აქ წვრილი და ოქროსფერია, ხოლო როცა ტალღები გადადის, ელ-ოსოსა და ელ-ვივერუს ყურეში ფეხითაც შეიძლება გადასვლა. სასტუმრო **Mirador de La Franca**-ში ორადგილიანი ნომრების საწყისი ფასი სულ რაღაც €59-ა. აქ დიდი, კომფორტული ოთახები და რესტორანია, საიდანაც ულამაზესი ხედები იშლება. ლანჩის დროს ეწვიეთ სანაპიროზე მდებარე ბარ **Los Emilios**-ს და შერეული პაელა შეუკვეთეთ.

SHUTTERSTOCK

კლაია-დე-კალბლანკი (PLAYA DE CALBLANQUE), მურსია

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი
მაშველები: 11:00 -20:00
კაფე/კიოსკი: არა

კართაგენადან ნახევარი საათის სავალზე მდებარე პლაია-დე-კალბლანკი იმ ნაკრძალის ნაწილია, რომელიც 1987 წელს თავისი მდიდარი ფაუნისა და ფლორის წყალობით დაცულ ზონად გამოცხადდა. თოლიები და წინტალები უშვიათესი სახეობის წყლის მცენარეებთან თანაარსებობენ. მთელი მიდამო გარშემორტყმულია კრისტალივით კამკამა წყლით, ოქროსფერი ქვიშითა და გამწვანებული გორაკებით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხმელთაშუა ზღვის ბევრი სანაპიროსაგან განსხვავებით, კალბლანკი არასოდეს არის გადავსებული (გაითვალისწინეთ, რომ ივლისსა და აგვისტოში აქ მანქანით გადაადგილება იკრძალება). საჭმელად პაია-ჰონდას ჩრდილოეთით, მანქანით 15 წუთის სავალზე მდებარე **Restaurante Malvasia**-ს ეწვიეთ. მართალია, ეს ცოტა არ იყოს ძვირი რესტორანია, სამაგიეროდ ისეთი კლასიკური კერძები, როგორიცაა შაშხი, ფუა-გრა (ბატის ან იხვის ღვიძლის პაშტეტი) და არტიშოკი არასოდეს გაგიცრუებთ იმედს. ქალაქში მდებარე სასტუმრო **NH Cartagena**-ში ორადგილიანი ნომრის საწყისი ფასი (საუზმის გარეშე) €90-ა.

ლოს-ჯენოვეზე (LOS GENOVESES), ალმერია

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი
მაშველები: არა
კაფე/კიოსკი: არა

პლაია-დე-ლოს-ჯენოვეზეს სახელი უკავშირდება 1147 წელს ესპანეთის მეფე ალფონსო VII-ის დასახმარებლად ჩამოსულ ჯენოვეზიურ ხომალდს, რომელიც მურიის ქალაქ ალმერიის გასათავისუფლებლად იბრძოდა. სანაპიროს სიგრძე ერთ კილომეტრს აღემატება. იგი გარშემორტყმულია ოქროსფერი დიუნებით, სადაც ადგილობრივი ფლორის ისეთ ნიმუშებს იხილავთ, როგორიცაა ოპუნციები. წყალი კამკამა და მშვიდია. აქ არც შენობებია, არც კაფე-ბარები, არც გზები და საერთოდ ურბანიზაციის არანაირი ნიშანი არ შეინიშნება. ერთადერთი ადგილი, სადაც ზაფხულის მხურვალე მზისგან შეგიძლიათ შეაფაროთ თავი, სანაპიროს ჩრდილოეთ ბოლოში ჩამწკრივებული ხეების რიგია. ლოს-ჯენოვეზეს სანაპიროზე მოხვედრა შესაძლებელია მანქანით, გარდა ივლისისა და აგვისტ-

ოსი, როდესაც დამსვენებელთა უმეტესობა უფრო ხშირად ფეხით, ზოგჯერ კი ავტობუსით ჩამოდის. გემრიელი ზღვის პროდუქტებისათვის ეწვიეთ გზიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით სან-ხოსეში მდებარე რესტორან **4 Nudos**-ს. აქვე მდებარეობს სასტუმრო **Doña Pakyta**, სადაც ორადგილიანი ნომრის საწყისი ფასი საუზმის ჩათვლით €77-ა. სასტუმროს თეთრად შეღებილი ოთახებიდან ზღვის ხედი იშლება.

კალა-სა-ტუნა (CALA SA TUNA), კატალონია

სანაპიროს ტიპი: კენჭიანი
მაშველები: დიახ
კაფე/კიოსკი: Hotel Sa Tuna

ბეგურის ჩრდილოეთით, კოსტა-ბრავას მეთევზეთა ძველ უბანში მდებარე კალა-სა-ტუნა, თავისი ვიწრო, შელახული სახლებითა და კლდოვანი სანაპიროთი, უცხოელის წარმოსახვაში არსებულ ხმელთაშუა ზღვის კურორტის იდეალურ მაგალითს წარმოადგენს. ეს არის დიდი ოჯახური სადილების, წელში მოხრილი მოხუცებისა და ფერად-ფერადი სათევზაო ნავების სოფელი, ზუსტად ისეთი, როგორიც სამოგზაურო ბროშურებშია დახატული, მაგრამ რეალურად იშვიათად თუ ნახავთ სადმე მსგავს ადგილს. ხოლო როდესაც ეს 80 მეტრის სიგრძის კენჭიანი სანაპირო ხალხით არ არის გადავსებული, ის საუკეთესოა ესპანეთში თავისი კამკამა და მშვიდი წყლით, სადაც პატარა თევზმჭერი ნავები დაცურავს. აქ სპეციალური მისასვლელებია დამონტაჟებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის, აქვეა რესტორნები და ფეხით სასიარულო ბილიკები შესანიშნავი ხედებით. სასტუმრო **Hotel Sa Tuna** სანაპიროს გადაჰყურებს. სასტუმროს რესტორანში ზღვის პროდუქტებისაგან უგემრიელეს კერძებს ამზადებენ. სასტუმროში ხუთი ორადგილიანი ნომერია, რომელთა საწყისი ფასი საუზმის ჩათვლით €150-ა.

იტალია

ლა-ფენილია (LA FENIGLIA), ტოსკანა

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი
მაშველები: ზოგიერთ ადგილას
კაფე/კიოსკი: უამრავი

მიბაძეთ ადგილობრივებს, მზეზე გახუნებული ნაფოტებისაგან და სარონგისაგან ბალდახინი ააშენეთ და მის ქვეშ მოთმინებით დაელოდეთ საზამთროს გამყიდველის მოსვლას. არჯენტარიოს მხარეს, კერძოდ **Country Relais La Mortella**-ში არის პატარა ვილა ბაღებით, საცურაო აუზით, ველოსიპედებით სანაპიროზე მისასვლელად და ორადგილიანი ნომრებით, რომელთა საწყისი ფასი საუზმის ჩათვლით €130-ა.

ლა-სკალა-დეი-ტურკი (LA SCALA DEI TURCHI), სიცილია (აგრიჯენტოს მახლობლად)

სანაპიროს ტიპი: კლდიანი
მაშველები: არა
კაფე/კიოსკი: არა

ტალღებმა ლა-სკალა-დეი-ტურკის კირქვის სანაპირო ჰაეროვანი ბეზეს ბუნებრივ კიბეებად აქციეს, რომლებიც პირდაპირ ლაჟვარდისფერ წყალში ჩადის. სანაპიროზე მისვლა, ცოტა არ იყოს, საშიშია, რადგან სანაპიროს გასწვრივ ბილიკები, ტალღებმა ბუნებრივ ქვად რომ გადაქცია, ძალიან ვიწროა. თავად სანაპირო ბუნების უდიდესი არქიტექტურული შედევრია და აუცილებლად ღირს მისი ნახვა, თუმცა ამისათვის სათანადოდ უნდა მოემზადოთ: აუცილებლად წაიღეთ თან ბევრი წყალი და მზის ქუდი ან რაიმე სხვა სახის მზისაგან დამცავი საშუალება. გასაჩერებლად გირჩევთ რამდენ-

SHUTTERSTOCK

იმე კილომეტრის მოშორებით მდებარე სასტუმრო **Masseria Agnello**-ს, სადაც ორადგილიანი ნომრის საწყისი ფასი €150-ა. მართალია, სასტუმრო სანაპიროსაგან მოშორებით მდებარეობს, მაგრამ იქ დაბინავებას ნამდვილად არ ინანებთ.

პორტო-ბადისკო (PORTO BADISCO), აპულია

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი/კლდიანი
მაშველები: არა
კაფე/კიოსკი: L'Approdo d Enea

პორტო-ბადისკოს ეს პატარა ყურე, რომელიც ულამაზესი ქალაქ ლეჩეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, 50 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, პორტუგალიის ყველაზე კარგად შემონახული საიდუმლოა. სანაპირო გარშემორტყმულია დაბალი კლდეებით, რომელთა წყალობითაც წყალში ჩასვლისას ან კლდიდან გადახტომისას ისეთი შეგრძნება გეუფლებათ, თითქოს დახურულ აუზში ცურავთ. მის კამკამა წყალში ანჩოუსები და ვერცხლისფერი კოპლიანი სარდინები დაცურავენ. ამ ბუნებრივ სილამაზესთან ერთად, შეგიძლიათ რესტორან **Trattoria Le Taiate**-ში ადგილობრივ მეთევზეებთან ერთად მიირთვათ კიბორჩხალა, სპაგეტი მოლუსკებით და სხვა უგემრიელესი კერძები. ლეჩეს გაღმა არის ოჯახური ტიპის სასტუმრო Villa I 2 Leoni დიდი ოთახებით, სადაც საუზმედ ხაჭოს ღვეზელს ადგილობრივი რეცეპტით მოგიმზადებენ.

ბანი-დი-რეჯინა-ჯოვანა (BAGNI DI REGINA GIOVANNA), სორენტო

სანაპიროს ტიპი: კლდიანი
მაშველები: არა
კაფე/კიოსკი: არა

სორენტოს მახლობლად მდებარე პლაჟები, რომლებიც ამალფის სანაპიროს კარიბჭეს წარმოადგენენ, ხალხმრავალი ადგილებია. სამაგიეროდ, ამ ადგილიდან ავტობუსით მოკლე სავალზე, კაპო-დი-სორენტოსთან ახლოს ნახევარკუნძულის ყველაზე მშვიდი და ხელუხლებელი ყურეებია. სთხოვეთ მძღოლს, ჩამოგსვათ **i bagni**-სთან მიმავალ ბილიკთან ახლოს. ეს ადგილი ავხორცი ნეაპოლიტანელი დედოფლის სახელთან არის დაკავშირებული, რომელსაც თავისი საყვარლები დროის გასატარებლად და კლდეებით გარშემორტყმული ბუნებრივი აუზის ფორმის ყურეში საცურაოდ ჩამოჰყავდა. ავტობუსის გაჩერების მახლობლად მაღაზიაში შეგიძლიათ პიკნიკისათვის საჭირო ისეთი პროდუქტები იყიდოთ, როგორიცაა ზეთისხილი, მოცარელა და პროვალას ყველი აგერ-ოლას მთიანი სოფლიდან და ვეზუვიური ცივი თეთრი ღვინო. ნახევარი საათის ფეხით სავალზე მდებარეობს სასტუმრო **Maison Lauren**-ი, სადაც ივნისში ორადგილიანი ნომრების საწყისი ფასი საუზმის ჩათვლით €90-ა. ასევე შეგიძლიათ **Santa Fortunata**-ს ბანაკში ორადგილიანი კარვის დასადგამი ადგილი (მინიმუმ ორი ღამით) იქირაოთ €26-დ.

საფრანგეთი

პლაჟ-დე-ლუილი (PLAGE DE L'OUILLE), პერპინიანის მახლობლად

სანაპიროს ტიპი: კენჭიანი
მაშველები: არა
კაფე/კიოსკი: L'Imprévu

კოტ-ვერმეილეში მდებარე კოლიურ-დაარჟელესის პლაჟები ზაფხულში ტურისტებით არის სავსე, სამაგიეროდ, მათ შორის განლაგებული კლდოვანი **Plage de l'Ouille** შედარებით ხელუხლებელი ყურეა თავისი ქვიშიანი და კენჭებიანი სანაპიროთი. კლდიდან სანაპიროზე ბილიკით ჩამოდიხართ, სადაც 1905 წლის ზაფხულს მატისი კიმონოში გამოწყობილ თავის ცოლს – ამელის ხატავდა. შეგიძლიათ სანაპიროს ფერდობზე, კერძოდ **Camping La Girelle**-ში საპიკნიკე ადგილი იქირაოთ €17.50-დ, ან **Argelès-**

sur-Mer-ის გზაზე მდებარე სასტუმრო **Les Mouettes**-ში გაჩერდეთ, სადაც ორადგილიანი ნომრის ფასი საუზმის გარეშე €81-დან იწყება. შეგიძლიათ ეწვიოთ ბარ **L'Imprévu**-ს და გრილზე შემწვარი სარდინები მიირთვათ.

პლაჟ-დე-ლიონი (PLAGE DU LION), ჟირონდა

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი
მაშველები: დიახ
კაფე/კიოსკი: Truck du Lion

Lacanau-Océan-ი საფრანგეთის ატლანტის ოკეანის სანაპიროებს შორის სერფერების ყველაზე საყვარელი კურორტია. თუ გსურთ სერფერებს თავი დააღწიოთ, სამხრეთით მდებარე პლაჟ-დე-ლიონს მიაშურეთ, რომელიც პლაჟ-სუდისა და პლაჟ-სუპერსუდის მიღმა მდებარეობს. ფიჭვნარს შორის ველოსიპედის ბილიკი და დიუნებია, რომლებიც პირდაპირ სანაპიროსაკენ მიდის. ეს ადგილი ბუნების მოყვარულთა და ნატურალისტთა ნამდვილი სამოთხეა. შეგიძლიათ გაჩერდეთ სასტუმრო **Villa Zénith**-ში, სადაც ორადგილიანი ნომრების ფასი სულ რაღაც €55-ა, ხოლო საერთო საცხოვრებელში საწოლი €23 ღირს. პლაჟ-სუდთან ახლოს მდებარე **Rainbow Café**-ში საუზმეზე ჰავაიურ ავოკადოს ტოსტებს ამზადებენ.

ბან-მილიტე (BAINS MILITAIRES), ნიცა

სანაპიროს ტიპი: კენჭიანი
მაშველები: არა
კაფე/კიოსკი: Club Nautique

ნიცის ხალხმრავალი სანაპიროებისაგან მოშორებით მდებარე ეს ქვიანი ყურე წარსულში სამხედროების დასაბინავებლად იყო განკუთვნილი. ახლა ეს სანაპირო თავისუფალია სამხედროებისაგან, ხოლო მისი კამკამა და ღრმა წყალი დიდი პოპულარობით სარგებლობს გამოცდილ მცურავებს, რუჯის მოყვარულებს, ახლომდებარე **Club Nautique**-ის იახტის მფლობელებსა და ჩვამებს შორის. ერთადერთი, რის შესახებაც აქ დიდი აბრა გაფრთხილებთ, არის ის, რომ ღრმად არ უნდა შეცუროთ, როდესაც კორსიკიდან მომავალი უზარმაზარი ბორანი ნაპირს მოუახლოვდება. შეგიძლიათ €110-დ სტუდიოს ტიპის ორადგილიანი ნომერი იქირაოთ **Villa Léonie**-ში. **Club Nautique**-ში სასმელები და უგემრიელესი ფრანგული სალათის – "ნისუას" ფასი €8-დან იწყება. შედარებით ძვირია სადილი სანაპიროს ამაღლებულ პლატფორმაზე წყალში ხტომისათვის აგებული ულამაზესი თეთრი ტრამპლინის გვერდით მდებარე კაფე Le Plongeoir-ში.

პლაჟ-დეკოლ (PLAGE D'ÉCAULT), ბულონის მახლობლად

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი
მაშველები: არა
კაფე/კიოსკი: არა

ბულონ-სიურ-მერსა და ლე-ტუკეს შორის ორ მილზე გადაჭიმული ეკოლის თეთრქვიშიანი სანაპირო, თავისი მაღალი დიუნებითა და ფიჭვნარით, ნაკლებად არის ცნობილი დამსვენებლებისათვის. ეს ველური სანაპირო, სადაც მუდამ სასიამოვნო ნიავი უბერავს, განსაკუთრებით კარგია სირბილის მოყვარულთათვის, ძაღლების გასასეირნებლად, ფრანების გასაშვებად და **Hardelot-Plage**-ზე შორიდან დასაკვირვებლად. სანაპიროზე მისვლა შესაძლებელია ბილიკით, რომელიც **Chemin de la Warenne**-ის საინფორმაციო ცენტრთან გადის, ან ცოტათი ქვემოთ, ებრაელი ტყვეების მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს აშენებული კედლის გვერდით მიმავალი გზით. გასაჩერებლად და გამოსაკვებად ეწვიეთ მახლობელ სოფელ **Saint-Étienne-au-Mont**-ში მდებარე სასტუმრო **Hostellerie de la Rivière**-ს, სადაც ორადგილიანი ნომრის საწყისი ფასი საუზმის ჩათვლით €111-ა, ხოლო სამკერძიანი სადილის – €23.

ხორვატია

სვეტი იაკობი (SVETI JAKOB), დუბროვნიკი

სანაპიროს ტიპი: კენჭიანი

მაშველები: არა

კაფე/კიოსკი: დიახ

დუბროვნიკი, როგორც წესი, სავსეა დამსვენებლებით. სწორედ ამიტომ, ივლისსა და აგვისტოში სამხრეთით მდებარე ეს პატარა სანაპირო ხალხმრავლობისგან საუკეთესო თავშესაფარია, რომელიც დამსვენებლებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. სანაპირო **Sveti Jakob**-ი ძველი ქალაქიდან 30 წუთის ფეხით სავალზე მდებარეობს. სანაპიროზე მისასვლელად კლდეში გამოყვანილი 160 კიბის საფეხურზე უნდა ჩახვიდეთ, რის გამოც ზოგი აქ მოსვლისაგან თავს იკავებს. უწვრილესი კენჭებით მოფენილი სანაპირო ნაწილობრივ ფიჭვის ხეების ჩრდილშია მოქცეული. სანაპიროდან ქალაქის ულამაზესი ხედები მოჩანს, ხოლო ზღვისპირა რესტორანში სალათებისა და თევზის კერძების დიდი არჩევანია. ივნისში **Sveti Jakob apartments**-ში ოთახის ღირებულება €75-ს შეადგენს. ყველა ოთახს აქვს აივანი, რომელიც სანაპიროს გადაჰყურებს.

სანაპირო POSEDARJE, ზადარის მახლობლად

სანაპიროს ტიპი: კენჭიანი/კლდიანი

მაშველები: არა

კაფე/კიოსკი: დიახ

მართალია, ხორვატიაში ამაზე უფრო ლამაზი ადგილებიც არსებობს, მაგრამ ზადარიდან 25 კილომეტრის მოშორებით, ველებიტის მთების ჩრდილში მდებარე ეს მშვიდი სანაპირო გამოირჩევა თავისი ოჯახური ატმოსფეროთი და ულამაზესი კამკამა წყლით. შეგიძლიათ ორადგილიანი ნომერი იქირაოთ სანაპიროსხედიანი აივნით ამ მიდამოში ერთადერთ სასტუმრო **Lucija**-ში, სადაც ოთახის ფასი საუზმის ჩათვლით დაახლოებით €80-ა. სასტუმროს უბრალო ოთახებიდან პირდაპირ გადიხართ კერძო, კენჭიან საცურაო და გასარუჯ ადგილას. სანაპიროს ბულვართან მდებარე ბისტრო **Pizza Luna**-ში საკმაოდ დიდი ზომის ნოყიერ პიცას ამზადებენ.

პუპნაცკა-ლუკა (PUPNATSKA LUKA), კორჩულა

სანაპიროს ტიპი: კენჭიანი/კლდიანი

მაშველები: არა

SHUTTERSTOCK

კაფე/კიოსკი: Konoba Mijo
კორჩულას კლდიან სამხრეთ სანაპიროზე ბევრი პლაჟია, რომელთა შორის პუპნ-აცკა-ლუკა არაამქვეყნიური სილამაზით გამოირჩევა. სანაპირო ტყიანი ქედით გარშემორტყმული ღრმა ყურის სათავეში მდებარეობს. ამ მშვიდი სანაპიროს თეთრ კენჭებსა და ცქრიალა წყალში თავს ისე გრძნობთ, თითქოს აკვამარინის მშვენიერებაში ხართ გახვეული. გასაგრილებლად ეწვიეთ გადახურულ ტერასაზე მდებარე კაფე **Konoba Mijo**-ს და მიირთვით რვაფეხას სალათი. აქ ძალიან ცოტა სასტუმროა, სამაგიეროდ, შეგიძლიათ იქირაოთ ბინა ღამეში დაახლოებით €50-დ. **Žrnovska Banja**-ს ჩრდილოეთ სანაპიროზე არის თანამედროვე, ელეგანტური სასტუმრო **Tara's Lodge**, სადაც ივნისში ორადგილიანი ნომრის ფასი საუზმის გარეშე €152-დან იწყება.

ლივაჩინა (LIVAČINA), რაბი

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი
მაშველები: არა
კაფე/კიოსკი: Santa Marija
ეს შედარებით განმარტოებული ყურე რაბის ყველაზე პოპულარული სანაპიროს **Rajska**-ს გვერდით მდებარეობს. ხორვატიაში არცთუ ბევრი ქვიშიანი სანაპიროა, მაგრამ კვარნერის ყურეში მდებარე რაბის ეს პატარა კუნძული 30 ქვიშიანი სანაპიროთი იწონებს თავს. ფიჭვის ხეებით მდიდარი **Livačina**-ს სანაპირო სიცოცხლით სავსე და სახალისო ადგილია. მისი არაღრმა წყალი თითქოს უსასრულობამდე გრძელდება. გაგანია სეზონის დროს აქაურობა დამსვენებლებით არის ხოლმე გადავსებული. სანაპიროს ბარ **Santa Marija**-ში შეგიძლიათ სალათები და პიცა მიირთვათ, მაგრამ **Rajska**-ს ყურეში კერძების მეტი არჩევანია. სანაპიროს ზევით მდებარეობს საოჯახო სასტუმრო **Bellevue Lopar**-ი, სადაც საცურაო აუზი და სპაა. ივნისის დასაწყისში ერთი ღამის საფასური (ერთ პერსონაზე) €60-ა.

საბერძნეთი

პლაკა (PLAKA), ნაქსოსი

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი
მაშველები: დიახ
კაფე/კიოსკი: Misha
კიკლადების ყველაზე დიდ კუნძულ ნაქსოსზე ბევრი არაჩვეულებრივი და ერთმანეთისაგან განსხვავებული სანაპიროა: ველური ყურეები სერფერებისთვის, ქვიშიანი დიუნები პატარებისთვის, წყლის სპორტის სახეობებისთვის მოსახერხებელი ადგილები ტინეიჯერებისათვის და განმარტოებული ყურეები ნუდისტებისათვის. ორი მილის სიგრძეზე გადაჭიმულ პლაკას თეთრქვიშიან სანაპიროზე ცოტ-ცოტა ყველაფერია: წყლის ველოსიპედები, კანოეები, ხალხმრავალი სანაპირო ბარები, უამრავი ტავერნა (აუცილებლად შეიარეთ სანაპირო ბარ **Misha**-ში) და რამდენიმე ნუდისტი უფრო მშვიდ, სამხრეთ კიდეში. სწორედ აქ მდებარეობს სასტუმრო კომპლექსი **Medusa Resort**-ი, სადაც ორადგილიანი ნომრის საწყისი ფასი €138-ა. ზედ სანაპიროზე, პალმის ხეებს შორის განლაგებული სასტუმროდან შეგიძლიათ დააკვირდეთ, რა საოცრად ლამაზად ჩადის მზე. ასევე გასაოცრად გემრიელი, ადგილობრივი ორგანული ინგრედიენტებით მომზადებული ბერძნული კერძებისათვის (გამომცხვარი ლეღვი თხის ყველით) ესტუმრეთ კასტრაკის მახლობლად მდებარე რესტორან **Axiotissa**-ს.

გრამვუსა (GRAMVOUSA), ამორგოსი

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი
მაშველები: არა
კაფე/კიოსკი: არა
ამორგოსი კიკლადის აღმოსავლეთით მდებარე კუნძულია, სადაც ფრანგმა კინორეჟისორმა ლიუკ ბესონმა თავისი ცნობილი ფილმი „ცისფერი უფსკრული“

SHUTTERSTOCK

გადაიღო. კალოტარიტისადან დასავლეთით მიმავალ გზაზე თვალს მოფარებული ნალის ფორმის მქონე ყურეა. სანაპიროზე მდებარე ჯიხურში შეიძინეთ ცივი წყალი და ახლად შემწვარი ყველის ღვეზელი, შემდეგ მიდით ნავსაყუდელთან და სთხოვეთ ნავების გამქირავებელს 10 წუთის სავალზე მდებარე გრამვუსას პატარა უდაბურ კუნძულზე გადაყვანა. ამ ოქროსფერ-ქვიშიან ყურეში შეგიძლიათ მთელი დღე გაატაროთ ისე, თითქოს ტალღებმა უკაცრიელ კუნძულზე გამოგრიყათ. უახლოესი ადგილი, სადაც გაჩერება შეიძლება, პორტ კატაპოლადან 45 წუთის მანქანით სავალზე მდებარე **Hotel Minoa**-ა, სადაც ორადგილიანი ნომრის საწყისი ფასი საუზმის გარეშე €45-ა. ეს არის ოჯახური ტიპის ძალიან მყუდრო პანსიონატი, რომელიც ზედ სანაპიროზე მდებარეობს.

ვატი (VATHY), სიფნოსი

სანაპიროს ტიპი: ქვიშიანი
მაშველები: არა
კაფე/კიოსკი: O Manolis and Tsikali

სიფნოსი ნამდვილად არ გამოირჩევა საუკეთესო პლაჟებით კიკლადის სანაპიროზე. ბერძნები ხშირად ჩივიან, რომ შესანიშნავი სამზარეულოსა და ულამაზესი სოფლების მიუხედავად, აქაური ყურეები ძალიან პატარა და უსახურია. მათ შორის ვატი ბრწყინვალე გამონაკლისია: ნახევარრკალის ფორმის ქვიშიანი ყურე გარშემორტყმულია ქედებით, რომლებიც მას სრულიად იცავს ჩრდილოეთის ქარისაგან. მყუდრო და უშფოთველი ადგილი, თავისი არაღრმა წყლებით საუკეთესოა ოჯახთან ერთად დასასვენებლად. სანაპიროს გასწვრივ ქირავდება უბრალო ოთახები: **Archipelago**-ში ცისფრად და თეთრად შეღებილი სტუდიოს ტიპის ოთახების ფასი €70-დან იწყება. ტავერნებიდან გირჩევთ Tsikali-სა და O Manolis-ს, სადაც ძველებური ტავერნის მაგიდები პირდაპირ ქვიშაში უდგათ. ეს ის ადგილია, სადაც მთელი კვირა შეგიძლიათ საცურაო კოსტიუმში გაატაროთ და ფეხსაცმლის ჩაცმაც კი არ დაგჭირდეთ.

ნანუ (NANOU), სიმი

სანაპიროს ტიპი: კენჭიანი
მაშველები: არა
კაფე/კიოსკი: Nanou Maria

სიმის ნეოკლასიკური ნავსადგომიდან ფერად-ფერადი კატერები სულ რაღაც €10-დ მადისაღმძვრელ პლაჟებზე გადაგიყვანენ. ნანუს სანაპიროს მრგვალი თეთრი კენჭები ამ ლაჟვარდისფერ წყალს კიდევ უფრო მეტ ელვარებას ანიჭებს, ხოლო კლდეებით გარშემორტყმული აუზი შესანიშნავი ადგილია ყვინთვის მოყვარულთათვის. სანაპიროზე არის შეზლონგები და ქოლგები, მაგრამ უფრთხილდით მოხეტიალე თხებს, რადგან სანამ თქვენ წყალში ცურავთ, მათ შესაძლოა საპიკნიკე ნობათი მოგპარონ. გირჩევთ ძველებურ, კარგად ნაცად ტავერნას მიაშუროთ და ზედიზედ რამდენიმე თეფში ხრაშუნა კალმარი, კრევეტები და ბერძნული სალათი შეუკვეთოთ. სიმიში, ნიმბორიოს სანაპიროზე, ახალი, ძალიან მიმზიდველი სასტუმრო **Emporio** გაიხსნა, სადაც ორადგილიანი ნომრის საწყისი ფასი €200-ა. ხოლო ქალაქში საოჯახო ტიპის სასტუმროებია, სადაც ოთახს ერთი ღამით €40-ზე ნაკლებად იქირავებთ. FW

რეჟისორი ქალების გადარჩენილი ახალი ქართული კინო

ავტორი: ბექა მაისურაძე

ქალი პერსონაჟების გამოჩენა ქართულ კინოში ანტონინა აბელიშვილის სახელით იწყება. ის იყო ქალი, რომელიც პირველ ქართულ მხატვრულ ფილმში, „ქრისტინეში“, გადაიღეს, თუმცა ამ ფილმის შემდეგ აღარავის უნახავს. დიახ, ქალი პერსონაჟების ხვედრი ქართულ კინოში აქედან იწყება, ისინი კი მხოლოდ უბედურები და დაჩაგრულები არიან. „ქრისტინედან“ დაიწყო ქართული კინოს პატრიარქალური ხედვა და სიმბოლურია, რომ პირველი მსახიობი ქალიც უკვალოდ დაიკარგა.

ქართული კინოისტორია დაჩაგრული ქალის არქეტიპით დაიწყო და დიდი ხნის განმავლობაში ასეც გრძელდებოდა. ქალი პერსონაჟები იბრძვიან, მაგრამ დამოუკიდებლობა არ გამოსდით და ძალას ისევ კაცებისგან იღებენ.

ამ იდეას ქართული კინოს ახალი ტალღის რეჟისორებმა ერთგვარად ბოლო მოუღეს. ამ ტალღის სათავეში კი ქართველი რეჟისორი ქალები და მათი შექმნილი ქალი პერსონაჟები მოექცნენ.

ჩვენმა რეჟისორებმა პათოსისთვის თავის არიდებით და ხანდახან იუმორის მოშველიებით, გვიჩვენეს სამყარო, სადაც კაცები და მამები ან გარდაცვლილები არიან, ან არ არსებობენ, ან პასიურ როლს ითავსებენ, მათ ნაცვლად კი ოჯახურ თუ ფინანსურ სადავეებს ქალები იღებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული კინო განებივრებულია რეჟისორი ქალების სიმრავლით, დღეს მხოლოდ სამი მათგანის – ელენე ნავერიანის, ნანა ექვთიმიშვილისა და ანა ურუშაძის შესახებ მოგითხრობთ. სწორედ ამ სამი რეჟისორის ფილმებმა მიიქციეს საერთაშორისო მედიისა და მაყურებლის ყურადღება გასულ წელს და გარდა იმისა, რომ ქართული კინოს ისტორია ძლიერი, გამბედავი და დამოუკიდებელი ქალი პერსონაჟებით გაამდიდრეს, მათი პროექტები გარკვეულწილად ფინანსურად წარმატებულიც აღმოჩნდა. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ქართველმა რეჟისორმა და ზოგადად კი ქართულმა კინომ მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი კინო- და ტელეპროგრამების მწარმოებელი და გამქირავებელი კომპანიის – „ნეტფლიქსის“ ყურადღება დაიმსახურა. „ნეტფლიქსს“ მსოფლიოს 200-მდე ქვეყნის 120 მილიონზე მეტი აბონენტი ჰყავს, რომელთაც შეუზღუდავი წვდომა აქვთ მის კონტენტზე, რაც მოიცავს ასობით კინოს და ტელეშოუს, რომელთა სია მუდმივად ახლდება. სულ ახლახან კი ის მედიასამყაროს ახალი კანონმდებლის სტატუსით მოევლინა – „ნეტფლიქსმა“ შემოსავლებით დისნეის გადაუსწრო, რაც ნამდვილად ისტორიული და უპრეცედენტო მოვლენაა.

ელენე ნავერიანი „მე მზის წვეთი ვარ დედამიწაზე"

ელენე ნავერიანი ამბობს, რომ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ზუსტად იცოდა – აუცილებლად უნდა წასულიყო ქვეყნიდან და ასეც მოიქცა – რამდენიმე თვეში სასწავლებლად გერმანიაში გაემგზავრა.

„კინომდე როგორ მივედი? ჩემთვის ორგანული პროცესი იყო, რომ კინოში ვიპოვე ის, რაც მაინტერესებდა და მაინტერესებს. ძალიან ბევრი რეჟისორი მაძლევს ინსპირაციას, მათ შორის კლერ დენი, ალის დიოპი, ალაჰ ხალიკი, ვალერი მასადიანი, დი რისი, ჯული დეში, ლუკრეცია მარტელი და კიდე უამრავი თანამედროვე რეჟისორი, რომლებიც დღეს კინოს ახალ ხედვას ამკვიდრებენ", – ამბობს ელენე ნავერიანი.

ელენეს ფილმი, „მე მზის წვეთი ვარ დედამიწაზე", არის დენონსიაცია იმისა, რაც ხდება და იმის მხილება, თუ რა

პოსტერი: სოფი ვალიანი

საზოგადოებაში ვცხოვრობთ. ეს არის ფილმი რასიზმზე, სექსიზმზე, ჰომოფობიასა და მიზოგინიაზე, ეს არის მხატვრული ფილმი, რომელიც დაიწერა იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ამ რეალობის ნაწილი არიან.

„ხშირად დავდიოდი და დავდივარ რედისონის მიწისქვეშა კლუბებში. ეს ის ადგილია თბილისში, სადაც რეალობასთან კავშირს აღვადგენ ხოლმე, ეს ის ადგილია, სადაც ადამიანებთან ურთიერთობა შესაძლებელია. შთაგონება იმ რეალობიდან მივიღე, რომელშიც თავი ამოვყავი, იმ რეალობიდან, რომელიც მიჩქმალული და უხილავია, შემაწუხებელი იმისთვის, რომ უფრო მაჟორულ რეალობად გადაიქცეს ქალაქისთვის", – ამბობს ელენე ნავერიანი.

რა თქმა უნდა, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ქალ რეჟისორებს პრობლემები საქართველოშიც ექმნებათ.

„ვიტყოდი, რომ კანონზომიერია ის, რომ დღეს ბევრი ქალი და მათი ფილმები წარმატებულია. დაბრკოლება შემხვედრია, თან ბევრი... ეს დაბრკოლება არის დამოკიდებულება ქალის მიმართ, უგუნურება და უუნაროობა იმ ადამიანებისა, რომლებსაც არ შეუძლიათ, რომ მოგისმინონ, ყოველთვის უნდა გასწავლონ, რა და როგორ უნდა გააკეთო, რადგან ფიქრობენ, რომ ყველაფერი იციან, ყველაფერზე ლაპარაკი შეუძლიათ, ყოველთვის მართლები არიან – ამას ჰქვია წმინდა სექსიზმი. ძალიან მაგარია, რომ ბევრი ქალის ბევრი ნარატივი დღეს ხელმისაწვდომია. იმედია, რომ უფრო და უფრო მეტი ქალი, ტრანს-ქალი, უხილავი ადამიანი შეძლებს საკუთარი ნარატივების ხილვადად ქცევას", – ამბობს რეჟისორი.

ანა ურუშაძე „საშიში დედა"

ანა ურუშაძის „საშიში დედა" ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული კინოსურათია.

ურუშაძის ფილმი აკრძალვებსა და სტერეოტიპებზე, მორალურ ნორმებსა და სოციალურ პასუხისმგებლობაზე მოგვითხრობს. „საშიში დედა" 50 წლის ქალის – მანანას ცხოვრებას ასახავს. დედა და დიასახლისი დილემის წინაშე დგას, მას ოჯახურ ცხოვრებასა და დიდი ხნის ვნებიან გატაცებას შორის არჩევანის გაკეთება უწევს. მანანა ცხოვრების აზრს წერაში პოულობს.

ფოტო: დინა ოგანოვა

„საშიში დედა“ ნამდვილად გაბედული დებიუტია, რომელიც განსხვავებული ფორმებითაა გადმოცემული, თუმცა არ კარგავს იმ რეალობის შეგრძნებას, რომელიც საქართველოშია გამეფებული. ფილმი იდეალურად გადმოსცემს პოსტსაბჭოთა ქვეყნის დესპოტურ გარემოს.

„ფილმი იღბლიანი გამოდგა და ბევრ ფესტივალზე წასვლა და ბევრი კითხვისთვის პასუხის გაცემა მომიწია. ბუნებრივია, ყველგან გისვამენ შეკითხვას, თუ როგორ გაჩნდა იდეა და როგორ შეიქმნა პერსონაჟი, ამ შეკითხვებისთვის პასუხის გაცემა ყოველთვის მიჭირს, რადგან მართლა არ მახსოვს, ზუსტად საიდან, როგორ და როდის, უბრალოდ დამაინტერესა პერსონაჟმა, რომელიც ამოვარდნილი იყო რომელიღაც ჯგუფის ყოველდღიური რუტინიდან, ჯგუფად ავირჩიე ოჯახი და პროტაგონისტად – დედა“, – ამბობს ანა ურუშაძე ჩვენთან ინტერვიუში.

რეჟისორი აღნიშნავს იმასაც, რომ არასდროს გაუაზრებია, იყო თუ არა „საშიში დედა“ ფემინისტური ფილმი.

„პერიოდია ასეთი, ახლა ვსაუბრობთ, ხაზს ვუსვამთ პრობლემებს, სხვადასხვა ფორმით, გააზრებულად თუ გაუაზრებლად, რადგან ეს პრობლემები გვაწუხებს, ხოლო ის, რაც გაწუხებს, ხშირ შემთხვევაში, გამოძრავებს. არასდროს გამიაზრებია, რომ „საშიში დედა“ ფემინისტური ფილმია, მანამდე, სანამ მსგავსი შეკითხვები არ დამისვეს. მთავარი ფერსონაჟი ქალია, დედა, რომელიც ცდილობს, აკეთოს საყვარელი საქმე, რისთვისაც სჭირდება აბსოლუტური იზოლაცია და ფოკუსირება მხოლოდ წერაზე – შედეგად, ყურადღების ნაკლებობა ოჯახის წევრების მიმართ გარკვეულ პრობლემებს იწვევს. ბუნებრივია, როცა ფილმს მსგავს თემაზე იღებ, ის ავტომატურად გადის ფემინისტურ კატეგორიაშიც. თუ გინდა, რომ იყოს ფემინისტური ფილმი, შეუძლია, იყოს ფემინისტური ფილმი“.

გარდა ამისა, ანა ურუშაძე გამოთქვამს იმედს, რომ მოვა დრო, როდესაც რეჟისორი ქალების სიმრავლე კინოში ჩვეულებრივი ამბავი იქნება.

„რეჟისორი ქალების აქტიურობა სიახლეა, სიახლე კი ყოველთვის ყურადღების ეპიცენტრშია. დიდი იმედი მაქვს, რომ მივდივართ იქითკენ, სადაც ამ თემაზე აღარ ვისაუბრებთ, რადგან სიახლე აღარ იქნება, ბუნებრივ, ჩვეულებრივ თემად იქცევა, რომელიც აღარავის გააკვირვებს. არასდროს მიფიქრია იმაზე, რომ ვარ „რეჟისორი ქალი“ და მხოლოდ მაშინ მახსენდებოდა, როცა სწორედ იმ მიზეზის გამო – რომ სიახლეა და სიახლე ბევრს აღიზიანებს – საკმაოდ სარკასტული და უხეში რეაქციები მიმიღია, მაგრამ ამავდროულად, მეორე მხრივ, ამ ფაქტის ზედმეტად დადებითად და სიხარულით აღნიშვნა ასევე პრობლემაზე მიუთითებს“, – ამბობს ანა ურუშაძე

ფოტო: სიმონ ბრესი

ნანა ექვთიმიშვილი „ჩემი ბედნიერი ოჯახი"

ნანა ექვთიმიშვილი ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი რეჟისორი ქალია. მისი და სიმონ გროსის ფილმი „ჩემი ბედნიერი ოჯახი" მრავალი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი გახდა და, რაც ყველაზე მთავარია, ფილმის დისტრიბუციის უფლება, არც მეტი, არც ნაკლები, „ნეტფლიქსმა" შეიძინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული ფილმი ხელმისაწვდომია მსოფლიოს 200-მდე ქვეყნის 70 მილიონზე მეტი მაყურებლისთვის. გარდა ამისა, ფილმი მოხვდა ყველაზე გავლენიანი კინოგამოცემების The Playlist-ის, The Wrap-ის, IndiWire-ისა და Vulture-ს საუკეთესო ფილმების სიაში. თუმცა ეს ყველაფერი როდია: წარმატებებს შორის შეიძლება მოვიაზროთ როჯერ ებერტის საიტზე გამოქვეყნებული რევიუ „ჩემი ბედნიერი ოჯახის» შესახებ. როჯერ ებერტი ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სახელოვანი კრიტიკოსი, ისტორიკოსი, სცენარისტი და მწერალია, რომელიც საკუთარ ნაშრომებს Chicago Sun-Times-ში აქვეყნებდა და იყო პირველი კინოკრიტიკოსი, რომელსაც პულიცერის პრემია მიანიჭეს. მიუხედავად იმისა, რომ ებერტი 2013 წელს გარდაიცვალა, მისმა საიტმა მუშაობა აქტიურად განაგრძო და იქ ეტაპობრივად ქვეყნდება რეცენზიები სხვადასხვა ფილმზე, რომლებსაც ხარისხის მიხედვით ვარსკვლავებსაც ანიჭებენ. ნანასა და სიმონის ფილმმა ებერტის საიტზე უმაღლესი შეფასება – 4 ვარსკვლავი დაიმსახურა. მაგალითად იმის მოყვანა შეიძლება, რომ „ოსკარის" მფლობელი გილერმო დელ ტოროს წლის კინოსურათად აღიარებულ The Shape of Water-ს აქ მხოლოდ 2,5 ქულა აქვს, კანის კინოფესტივალის შარშანდელი ოქროს პალმის რტოს მფლობელ The Square-ს კი – 1,5.

ნანა ექვთიმიშვილი თავად გვიამბობს, როგორ გაჩნდა „ჩემი ბედნიერი ოჯახის» შექმნის იდეა.

„შთაგონების წყარო ერთი ჩემი ძალიან ახლობელი ადამიანი გახდა, რომელსაც ქმართან გაშორება სურდა, მაგრამ ყველა მის წინააღმდეგ იყო. ეს ყველაფერი ერთდროულად ძალიან სასაცილოც იყო და ძალიან მტკივნეულიც. რა ხდება მაშინ, როცა შენი თავი არ გეკუთვნის, როცა შენი მარტო ცხოვრების სურვილი გარშემო მყოფებს აბსურდად ეჩვენებათ. ბევრი რამ ჩემი ოჯახისგანაცაა ინსპირირებული – დიალოგები, გაუგებრობები, ერთად ყოფნა, ერთმანეთზე ნერვიულობა, ზრუნვა და სიყვარული", – ამბობს ნანა ექვთიმიშვილი.

უწოდებს თუ არა საკუთარ თავს ფემინისტს და მიაჩნია თუ არა, რომ „ჩემი ბედნიერი ოჯახი» ფემინისტური ფილმია, რეჟისორი ასე გვპასუხობს:

„ვაზროვნებ, მაშასადამე კი არ ვარსებობ, არამედ – ვარ ფემინისტი. ფემინიზმის ეშინიათ, ადამიანებს ყველანაირი „იზმი" აშინებთ. ალბათ რაღაც ახალი უნდა მოვიგონოთ, რაც ფემინიზმის იდეას უფრო პოპულარულს გახდის და ადამიანებს სიკეთისა და თანასწორობის სურვილს გაუჩენს".

„ჩემი ბედნიერი ოჯახის" რეჟისორი გვიყვება, რას ნიშნავს, იყო რეჟისორი ქალი:

„ისეთი დამოკიდებულება ნამდვილად აღარ არის, როგორიც ადრე იყო, ჩემს ბავშვობაში, როცა რეჟისორობა

ქალის პროფესიად არ ითვლებოდა. მაშინ რეჟისორი ქალი არაქალურობის განსხეულებას და ქილიკის ობიექტს წარმოადგენდა. ამ ყველაფერმა დღეს სხვა ფორმა მიიღო. დღეს არავინ არაფერს გიშლის, მაგრამ მაინც გიწევს ადამიანების გარკვეულ წარმოდგენებთან ბროლა.

ერთი ისტორია მახსენდება: ერთხელ, როცა ერთ-ერთ ფესტივალზე ჩავედით, აეროპორტში ფესტივალის წარმომადგენელი დაგვხვდა. ერთი და იმავე თვითმფრინავით ჩავფრინდით მე და სიმონი, ბელა ტარი თავისი მეუღლით და ორი პოლონელი ქალი, ერთი რეჟისორი და ერთი მსახიობი, რომლებიც ჩვენნაირად ასევე ფილმს წარადგენდნენ ფესტივალზე, ბელა ტარი კი ჟიურიში იყო. ახალგაზრდა კაცი, რომელიც დაგვხვდა, ძალიან გახარებული იყო, ზრდილობიანიც ეთქმოდა, თუმცა მისალმების ნიშნად ხელი მხოლოდ სიმონს და ბელა ტარს ჩამოართვა და მათთან გააბა საუბარი ფრენაზე, მგზავრობაზე, სასტუმროზე... მე და ბელა ტარის მეუღლემ, რომელსაც გაწვდილი ხელი ჰაერში დარჩა, ერთმანეთს გადავხედეთ და უხერხულად გავიღიმეთ, მაგრამ პოლონელი ქალბატონები საკმაოდ აღელდნენ და ფესტივალის წარმომადგენელი იქვე გამოლანძღეს. როგორ, თუ ზედაც არ გვიყურებ და ხელს არ გვართმევო... შეწუხდა ეს კაცი, ბოდიშები იხადა, აღარ იცოდა, რა ექნა. ბელა და სიმონი იდგნენ და ხმას ვერ იღებნენ, ვერც მე ვიღებდი ხმას. ძალიან უხერხული იყო... მოკლედ, ყველგან, ყველა სფეროში და მათ შორის კინოშიც, სულ ერთია, ფილმის შექმნის თუ შემდეგ მასთან მოგზაურობის დროს, შეიძლება გადაეყარო ადამიანს, რომელსაც ქალის ადგილი მაინც სხვაგან ჰგონია. ეს გლობალური პრობლემა უფროა, ვიდრე მხოლოდ კინოსი. ქალისათვის კი რეჟისორობა, როგორც ასეთი, მასკულინურ სამყაროში უფრო დიდი გამოწვევაა, რადგან ეს პროფესია თავის თავში მოიცავს იმას, რომ ადამიანები, და მათ შორის კაცებიც, შენს ნებას უნდა დაჰყვნენ და შენი უნდა სჯეროდეთ", – ამბობს ნანა ექვთიმიშვილი.

ქართული კინო უკვე 110 წლის არის. ამ დროის განამავლობაში ქართველმა თუ უცხოელმა მაყურებელმა არაერთი საინტერესო ფილმი და კიდევ უფრო მეტი საინტერესო პერსონაჟი გაიცნო. ჩვენი კინემატოგრაფი, რომელმაც უამრავი დაბრკოლება გადალახა, დღეს ერთ-ერთი მოწინავე და მნიშვნელოვანი მოთამაშეა ევროპულ ბაზარზე. აქ შეხვდებით ბულინგს, პიროვნების დაკნინებას, უიმედობას, ოჯახურ პრობლემებს, ქუჩას, სკოლას, აუხდენელ ოცნებებს, გზააბნეულობას, რაც ნაივური ცინიზმითა და ახალგაზრდული ენერგით არის კინოფირზე გადმოტანილი. FW

დაიკარგა თორმეტი ქალი

ვინ რჩება ისტორიაში და ვინ – მის გარეთ?

ავტორი: სოფო ოგოლაშვილი

ფოტო: მიხეილ გოჭაძე

ვერა ფაღავა

თამუნა სირბილაძე

თანამედროვე ხელოვნება არ მიეკუთვნება გეოგრაფიულ ფარგლებს, ის ვითარდება ადამიანთან ერთად, ყველგან, სადაც ეს ადამიანი წავა. წელს საქართველო დამოუკიდებლობის ასი წლისთავს აღნიშნავს. ის საკუთარი ისტორიის გადააზრების პროცესშია, მასთან ერთად კი კულტურა, რომელსაც საბჭოთა კავშირმა ბევრი სტერეოტიპული ნიში აჰკიდა. იყო დრო, როდესაც ფემინისტური იდეა საზოგადოებაში დისკრედიტირებული იყო, ხელოვან ქალებს კი მათი უფლებებისა და პრობლემების წინ წამოწევა ეშინოდათ. თუმცა დრო შეიცვალა. დღეს ჩვენ შევეცდებით, ეს შეცდომა გამოვასწოროთ იმ ათი ქართველი ხელოვანი ქალის მაგალითზე, რომლებმაც სტერეოტიპული ტყვეობისგან თავის დაღწევა და პატრიარქალურ ხელოვნებასთან ოპონირება შეძლეს.

გამოფენა „დაიკარგა თორმეტი ქალი“ ელენე აბაშიძის კურატორობით მოეწყო. სათაურს კი იღებს მაია ნავერიანის ნამუშევრების სერიიდან და წარმოადგენს გამოფენის კონცეპტუალურ და სიმბოლურ ღერძს. თორმეტი განსხვავებული პოზიცია და ათი ხელოვანი ქალბატონი ერთიანდება იმ კულტურისა და ინტერნაციონალური ხედვის გარშემო, რომელშიც ასე ნათლად აისახება ტრავმები ქართული ისტორიიდან, აგრესია, იმედგაცრუება, წყენა თუ ბრძოლა. ბრძოლა საკუთარი იდენტობისა და „მე“-ს შესანარჩუნებლად.

გამოფენაზე წარმოდგენილია ის ათი განსხვავებული შემოქმედებითი პრაქტიკა, რომელთაც ავითარებს

ქეთი კაპანაძე

ემიგრაციაში მყოფი ხელოვანი ქალების სამი თაობა მეოცე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე: ვერა ფაღავა, თეა გვეტაძე, ქეთი კაპანაძე, ანნა კ.ე., თამარა კ.ე., სალომე მაჩაიძე, სოფიო მედოიძე, მაია ნავერიანი, თამუნა სირბილაძე და ქეთუთა ალექსიმესხიშვილი – ქართული კულტურის კვალდაკვალ. დანარჩენი ორი კი რჩება დამთვალიერებლის წარმოსახვას, რომელმაც დამოუკიდებლად უნდა შეავსოს თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიის გამოტოვებული მომენტები.

ვერა ფაღავა
ქართული ფერწერის უიშვიათესი სიმდიდრე

ჩვენს სიას ვიწყებთ თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ქალბატონით. ვერა ფაღავამ საქართველო 20-იან წლებში, 12 წლის ასაკში, მშობლებთან ერთად დატოვა

ანნა კ.ე.

და თითქმის მთელი ცხოვრება საფრანგეთში გაატარა. მისი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი გზა მრავალფეროვანი თემატიკისა და მისტიკის შემცველია. ვერას ნამუშევრებში მძაფრად იგრძნობა ქალური შტრიხები, ფერების ჰაეროვნება და სიმსუბუქე. ხელოვანი თავისუფალია კომპოზიციაში, თითქოს ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია, ფორმებს თავიანთი ადგილი აქვთ ლირიკულ ნამუშევრებში, თუმცა ისინი დამოუკიდებლად ვითარდებიან მთლიან სურათში. მხატვარმა 1966 წელს 33-ე ვენეციის ბიენალეზე საფრანგეთი წარადგინა. და, მართალია, მისი შემოქმედება ფრანგული კულტურის ნაწილი უფროა, ვიდრე ქართულის, ვერა ფაღავა ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ მას თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიაშიც ჰქონდეს თავისი ადგილი.

მაია ნავერიანი

თამუნა სირბილაძის
დაუმთავრებელი სათქმელი

თამუნა სირბილაძემ ხატვა ადრეულ ასაკში დაიწყო. სკოლა რომ დაამთავრა, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ თამუნა ომებსა და სიძნელეებს ხელიდან გაუსხლტა და საზღვარგარეთ გაემგზავრა, სადაც 1997 წელს ვენის სამხატვრო აკადემიაში მოხვდა.

თამუნა არის მხატვარი, რომელსაც სჩვევია სათქმელის დაუმთავრებელად დატოვება, თითქოსდა სურს, რომ დამთვალიერებელმა თავად იპოვოს პასუხი მის ჩანაფიქრზე.

ჟესტის აბსტრაქცია, რომელიც სივრცეს არ ფარავს, თამუნას

ქეთუთა ალექსი-მესხიშვილი

თეა გვეტაძე

ნახატებში ყოველთვის იგრძნობა და ყოველთვის მოხერხებულად აკავებს მხატვრის ადამიანურ ინსტინქტს, მუდამ რაღაც ჩახატოს, რაღაც მიაჩხაპნოს ან დალაქოს ტილოს ცარიელ სივრცეზე.

ქეთი კაპანაძე
რადიკალური ხელოვნების მიმდევარი

ქეთი კაპანაძე გერმანიაში მცხოვრები ქართველი მხატვარია, რომელიც აქტიურად მუშაობს თანამედროვე რადიკალური ხელოვნების პრობლემებზე. 80-იანი წლები ქეთის, როგორც მხატვრის, შემოქმედების დასაწყისია. ის პირველი მხატვარი ქალია, ვინც საქართველოში კონცეპტუალურ ფოტოგრაფიაზე დაიწყო მუშაობა. თავის ნამუშევრებში ის განზრახ სვამს კითხვას ინდივიდის შესახებ. სწორედ ეს ფორმა ხდება მისი კონცეპტუალური მეთოდი, სადაც ფოტოგრაფია მხატვრული გამოხატვის ხერხია.

ამერიკელი არტკრიტიკოსი ჰარი შუოლბი 90-იანების დასაწყისში ქეთიზე წერდა:

„თანამედროვე მიწისქვეშა ხელოვნების ცენტრმა რუსეთიდან საქართველოში გადაინაცვლა და მისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წარმომადგენელი, რომელიც ამ ახალ სცენაზე გამოჩნდა, ქეთი კაპანაძეა – პირველი ქართველი მხატვარი, რომელიც ფემინისტურ თემებზე მუშაობს“.

სალომე მაჩაიძე

ანნა კ.ე.-ს
პერფორმანსული ხელოვნება

ქეთი კაპანაძის ქალიშვილის, 32 წლის ანა ეძგვერაძე–კაპანაძის შემოქმედებითი გზაც საკმაოდ შთამბეჭდავია: გამოფენები ბერლინში, დიუსელდორფში, ჩიკაგოში, ნიუ-იორკში, ისრაელში. ანა ამჟამად ამერიკაშია, მანამდე გერმანიაში ცხოვრობდა და სამხატვრო აკადემიაც იქ დაამთავრა, მანამდე კი – საქართველოში, სადაც ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სკოლაში სწავლობდა.

ანნა კ.ე.-ს შემოქმედებაში ფერწერა, ინსტალაცია, პერფორმანსი და ვიდეო ხშირად ერთ ნამუშევარში ერთიანდება. ფორმისა და მასალის მრავალფეროვნება, საგამოფენო სივრცეებზე რეფლექსირება, საგნობრიობაზე ყურადღების გამახვილება და არაცნობიერის ენობრივ წარმონაქმნებზე მუდმივი რეაგირება, მისი შემოქმედების ტიპური მახასიათებლებია — შემოქმედების, რომელსაც კონკრეტული ტერიტორია, ანუ ოდესღაც ასე ღირებული „საკუთარი სტილი“ არ გააჩნია.

მაია ნავერიანის
მინიშნებები

მაია ნავერიანი ცხოვრობს და მუშაობს თბილისსა და ლონდონში. მისი აქტიური პროფესიული კარიერა 1999 წლიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც Vordemberger Gildewart Foundation-ის საერთაშორისო კონკურსის ფერწერის პირველი პრიზი აიღო. იმ დროიდან მოყოლებული, მაია ნავერიანის ნამუშევრები გამოიფინა დასავლეთის სხვადასხვა სამუზეუმო და კომერციულ სივრცეში.

მაიას შემოქმედება სავსეა ტექსტებითა და მინიშნებებით. მისი ნამუშევრები ტექსტს დაყრდნობილ ხელოვნების ნაწილადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა მაიას შემოქმედება უფრო ფართო და მრავალშრიანია იმისთვის, რომ ის ერთ კონკრეტულ მიმდინარეობაში მოვათავსოთ.

ქეთუთა ალექსიმესხიშვილის
ფერწერული რეალობა

ყოფილი მოდელი და ემიგრანტების

სოფო მედოლიძე

ქალიშვილი, რომლებიც 90-იანების დასასრულს ნიუ-იორკში დასახლდნენ, ამჟამად ბერლინში ცხოვრობს. მისი ბოლო პერსონალური გამოფენები მოეწყო ნიუ-იორკში, კიოლნსა და ბერლინში.

ქეთუთა ალექსი-მესხიშვილი თავისი ხედვის გადმოსაცემად ხშირად მიმართავს მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც მის ფოტოებში ჩვეულებრივი ობიექტები განსაკუთრებული ხდება. ასევე საინტერესოა მისი მიდგომა ფოტოგრაფიის ტექნიკური მხარისადმი, რომელსაც ქეთუთას ნამუშევრებში ისეთივე მნიშვნელოვანი როლი უჭირავს, როგორიც მოტივებს. ხშირია საკუთარი იმიჯის გამოყენებაც. ზოგადად ქეთუთას ნამუშევრები ვიზუალური ფრაგმენტების კოლექციაა, რომელიც განუსაზღვრელ და გაურკვეველ სივრცეში არსებობს და თითქოსდა არაამქვეყნიურ სამყაროზე მოგვითხრობს.

თეა გვეტაძეს ჰეტეროგენური სტილი

რიგაში დაბადებული ქართველი მხატვრის, თეა გვეტაძის შემოქმედება გამოირჩევა თავისი ჰეტეროგენურობით. მხატვრის ხედვა მოიცავს შემოთავაზებების ფართო სპექტრს, რაც დამთვალიერებელს უქმნის შეგრძნებას, თითქოსდა ნახატი რამდენიმე ხელოვანის მიერ არის შექმნილი.

თეას მიღებული აქვს მონაწილეობა მრავალ – როგორც პერსონალურ, ისე ჯგუფურ – გამოფენაში. მათ შორისაა: „შავი შოთები“ (2012, Galerie Rupert Pfab, დიუსელდორფი, გერმანია), „დროოთეა“ (2010, Galerie Ruzicska/Weiss, დიუსელდორფი, გერმანია), „დონ-ჟუანისთვის“ (2007, Galerie Markus Winter, ბერლინი, გერმანია). პარალელურად ამისა, თეამ თამარ ხუნდაძესთან ერთად 2003 წელს საქართველო ვენეციის 50-ე ბიენალეზე წარადგინა.

სალომე მაჩაიძე ღრმა ემოციებითა და მოგონებებით შთაგონებული ხელოვნება

სალომე მაჩაიძე – 1990-იანი წლების ბოლოს ბერლინში წასული ხელოვანი და ექსპერიმენტული კინოს რეჟისორია, რომელმაც თბილისის სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ სწავლა ბერლინის

ხელოვნების აკადემიაში განაგრძო.

მის შემოქმედებაში იკვეთება ქართული ვიზუალური კულტურის ნიშნები – ხალხური ხელოვნება, რელიგიური მოტივები. ზოგადად სალომეს ნამუშევრებში გამოსახულია მოგონებები, გრძნობები, ოცნებები. ის სცენარის ავტორი, დამდგმელი რეჟისორი და დამდგმელი მხატვარია ფილმისა „საშიში ვეფხვი“.

სოფო მედოიძეს
მრავალი რეალობა

სოფო მედოიძე ლონდონში მცხოვრები ქართველი არტისტია, რომელმაც საქართველო 2001 წელს დატოვა. გოლდსმიტის კოლეჯის დამთავრების შემდეგ ხელოვნების მაგისტრის წოდება მიენიჭა. პარალელურად ამისა, მან მაგისტრის ხარისხი მოიპოვა ფოტოხელოვნებაშიც ლონდონის ხელოვნების ინსიტუტში, მანამდე კი თბილისის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში სწავლობდა.

სოფოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მოკლემეტრაჟიან ფილმ „ანდროპოვის ყურებში“ წარმოდგენილია საბჭოთა მოდერნისტული არქიტექტურის სილუეტი, შენობა, რომელიც დღეს აღარ არსებობს. ზოგადად ფილმის მზადებისას სოფოს ახასიათებს თემის დეტალური შესწავლა და მისი საინტერესო, უნიკალური ფორმით გადმოცემა.

თამარა კ.ე.-ს
ფერთა ჰალუცინატორული სპექტრი

თამარა კ.ე. – ამ სახელით იცნობენ ხელოვანთა წრეში თამუნა ხუნდაძეს. მისი ნამუშევრები ასახავს ფემინურობის ცნებას, რომელიც ფერთა ჰალუცინატორული გამით ითრევს მაყურებელს. თამარა კ.ე.-ს შემოქმედება შეიცავს მაცდუნებელ, თვალისმომჭრელ მოტივებს, რომელიც რეალიზმისა და ირონიის მიქსია.

1997 წელს მოეწყო მისი პერსონალური გამოფენები Ostwall Dortmund-ის მუზეუმში, Whitechapel Gallery London-ში, Sprengel Museum Hannover-ში, მოსკოვის ხელოვანთა ცენტრალურ სახლში. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ თამარ ხუნდაძემ, თეა გვეტაძესთან ერთად წარადგინა საქართველო ვენეციის 50-ე ბიენალეზე, სადაც წარმოდგენილი იყო მისი დიდმასშტაბიანი კომპლექსური ინსტალაციები. იმავე წელს თამარა კ.ე. პრაღის პირველ ბიენალეზე მიიწვიეს. FW

სარა მუნი:

„არასდროს არ ვცდილობ, ჩემი ფოტომოდელები ლამაზად წარმოვაჩინო – ისინი ისედაც ლამაზები არიან. ჩემი საქმე შუქ-ჩრდილზე მუშაობაა“.

რეკლამა რომ ბიზნესის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალაა, ამ ფაქტზე არავინ დავობს, რეკლამის ქმედითობას კი მნიშვნელოვანწილად მისი ვიზუალური აღქმა განაპირობებს და თუ ადრე სარეკლამო პროდუქცია ძირითადად გრაფიკის მეშვეობით იქმნებოდა, ფოტოგრაფიის გაჩენამ სულ მალე რადიკალურად შეცვალა კურსიც და რაკურსიც. მე-20 საუკუნის ოციან წლებში კი ფოტოგრაფიის ახალი მიმართულება – ფეშნ-ფოტოგრაფია მძლავრად იკიდებს ფეხს და, რასაკვირველია, დღემდე არ თმობს პოზიციებს.

ფეშნ-ფოტოგრაფიის ერთ-ერთი პატრიარქის, 1897 წელს დაბადებული ერვინ ბლუმენფელდის შემდეგ მოდის რეკლამის სამყაროს არაერთი გამორჩეული ხელოვანი მოევლინა, მაგრამ Forbes Woman-ი, ცხადია, ამ გვერდს ქალ ფოტოგრაფს, ფრანგ სარა მუნს უთმობს, რომლის შემოქმედების გაცნობის საშუალება ქართველ საზოგადოებას უკვე ჰქონდა თბილისში ახლახან გამართულ გამოფენაზე.

მიუხედავად იმისა, თუ სწორედ იმის დამსახურებით, რომ სარა მუნი მუშაობისას უახლეს ფოტოტექნიკასა და ოპტიკას იყენებს, ის სასურველ სიძველის ეფექტს აღწევს. მისი დაბინდული, თითქოს კამერის გაუმართაობისა თუ სხვა მიზეზით არაფოკუსირებული გამოსახულებები ქმნიან იმ ნახევრად მისტიკურ, მოუხელთებელ სამყაროს, რომელსაც მხოლოდ ძველ ფოტოფირებსა და ფოტოგრაფიებზე თუ ნახავთ და რომელიც ასე გამოარჩევს სარა მუნის შემოქმედებას სხვა, მისი პერიოდისა თუ ადრინდელი ფეშნ-ფოტოგრაფების კაშკაშა, სარეკლამო პლაკატებისთვის დამახასიათებელი და ხშირად დამკვეთის მიერ აუცილებელად მოთხოვნილი სტილისგან. სარა მუნი პირველი ფოტოგრაფი ქალი იყო, რომელსაც 1972 წელს პარიზში Pirelli-ს კალენდრის გადაღება შესთავაზეს და არც შეცდნენ: სარა მუნმა ფოტოკამერით იმპრესიონისტული ტილოები შექმნა. სწორედ სამყაროს გამორჩეული ხედვის განვრცობის სურვილმა განაპირობა სარა მუნის შემოქმედებაში ახალი ტალღის გაჩენა – ხელოვანი მხატვრულ, ძირითადად შავ-თეთრ ფოტოგრაფიაზე გადაერთო, შემდეგ მოკლემეტრაჟიანმა ფილმებმა გაიტაცა, 1990 წელს გადაღებული მისი პირველი მხატვრული ფილმი „მისისიპი 1“ კი იაპონიაში საკულტო ფილმად იქცა. FW